პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

# კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—26
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასის იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 30 მაისი 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 123 (2166)

## დ ღ ი უ რ ი

- — ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ზრდა.
- — გერმანიის მენშევიკებმა გაინაწილეს პორტფელები მომავალ მთავრობაში.
- — ბოლდუინი განიარაღების შესახებ.
- — გაიხსნა საფრანგეთის „სოციალისტური" პარტიის ყრილობა.
- — ამანულა-ხანი გაემგზავრა ანგორიდან.
- — რუმინეთის მემაღაროეთა ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის.
- — საბჭოთა ესკადრა სტამბოლში.
- — დირიჟაბლი „იტალია" ჯერ არ აღმოუჩენიათ.
- — საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ნორვეგიის კომუნალურ მუშაკთა დელეგაცია.

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის ცეკას
მესამე პლენუმი
გაიხსნება ა. წ. 8 ივნისს, სა. 6 საათ.
სახ. კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

# კოლექტიურ მეურნეობათა საკავშირო ყრილობა

დღეს მოსკოვში გაიხსნება კოლექტიურ მეურნეობათა სრულიად საკავშირო ყრილობა. ჩვენი სამეურნეო ორგანოები პრაქტიკულად და ენერგიულად შეუდგენ საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან დირექტივის ცხოვრებაში გატარებას.

განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც პარტია და ხელისუფლება იჩენს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისადმი, აიხსნება მთელ რიგ ეკონომიური და პოლიტიკურ ხასიათის მოსაზრებებით. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს მსხვილი სამეურნეო ერთეულების შექმნა. ამის გარეშე წარმოუდგენელია გლეხის მეურნეობის მექანიზაცია და, მაშასადამე, ამ მეურნეობის პროდუქციის ისეთი ხარისხოვანი და რაოდენობითი ზრდა, როგორსაც მოითხოვს ჩვენი სამეურნეო განვითარება.

კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც ძლიერია ლტოლვა მსხვილ მიწადმფლობელობისაკენ, რადგან მხოლოდ ამაში ხედავენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას, მაგრამ მსხვილი მიწად-მფლობელობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე როგორც ყოველი მსხვილი კერძო საკუთრება, დაუზოგავ ექსპლოატაციის საშუალებას წარმოადგენს მემამულეების ხელში. ისინი თანდათან ავიწროებენ წვრილ მიწად-მფლობელობას, აპარტახებენ ეკონომიურად ისედაც სუსტ გლეხურ მეურნეობებს და კიდევ უფრო აჩქარებენ სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციას.

ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით სდგას სოფლად მსხვილ მეურნეობათა შექმნის საკითხი. ჩვენ მთლიანად და სავსებით ვატარებთ მას ცხოვრებაში ხოლო ერთი აუცილებელი მიზნით. ჩვენი მსხვილი მეურნეობანი უნდა წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ სოფლად სოციალისტურ აღმშენებლობის კერას, ისინი აერთიანებენ ღარიბ-ღატაკ მოსახლეობას, ავიწროებენ კულაკურ და ექსპლოატატორულ მეურნეობებს და საიმედო დასაყრდენს ქმნიან სოფლის მექანიზაციის დარგში.

მიმდინარე პერიოდში, როცა ენერგიული შეტევა კერძო კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ იწვევს ერთ გვარ ჩუმ ეკონომიურ საბოტაჟს სოფლის კულაკურ მეურნეობების მხრივ, კოლექტიურ აღმშენებლობის გაფართოებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. კოლექტიური მეურნეობანი უნდა გადაიქცნენ სოფლის პროდუქციის მძლავრ მწარმოებლებათ.

კოლმეურნეობათა ეხლანდელი მდგომარეობა საზოგადოთ საბჭოთა კავშირში და კიდევ უფრო საქართველოში ისეთია, რომ საჭიროა სისტემატიური და ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა სათანადო ადგილი დაიჭირონ ჩვენს ეკონომიკაში. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი. ეს არის სუსტი ხელმძღვანელობა უკვე არსებულ კოლექტიურ მეურნეობებზე და ამდენადვე სუსტი მზრუნველობა ახალ კოლმეურნეობათა მოწყობა - განმტკიცებისათვის. ამ სენით ერთნაირად დაავადებულია ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა და სხვა ორგანოები. მხოლოდ ხუთი თვე თუ იქნება, რაც სას. - სამეურნეო კოოპერაციამ გამოჰყო კოლმეურნეობათა სექცია და შეუდგა ამ დარგში გეგმიან მუშაობას და ამ ღონისძიებამ უკვე მოგვცა ნაყოფი. გამოცოცხლდა მუშაობა მთელ რიგ კოლექტივებში და დაარსდა რამდენიმე ახალი კოლექტივებიც. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ კოლმეურნეობათა აღმშენებლობის გაფართოებას დიდათ აფერხებდა და დღესაც აფერხებს ხელმძღვანელობის სისუსტე. ამ ნაკლის აღმოფხვრას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

არის მთელი რიგი მწვავე საკითხები, რომელთა გადაჭრაც კოლექტიურ მეურნეობებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ. ასეთია მაგალითად, საკითხი მიწად-მოწყობის შესახებ. დაქუცმაცებულ, მიწაზე არ გამოადგება კოლექტივს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები და მანქანები. მექანიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს მიწათ - მოწყობის დროულათ ჩატარება. ჩვენ გვაქვს მრავალი შემთხვევები, როცა ისედაც მცირერიცხოვან კოლექტიურ მეურნეობათა ზრდა-განვითარებას დიდათ აფერხებს მიწათმოწყობის დაგვიანება. სათანადო ორგანოებმა ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ. ყოველნაირად დაჩქარებულ უნდა იქნას კოლექტიურ მეურნეობათა მიწათ - მოწყობის საქმე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ მეურნეობათა წარმატებით განვითარებისათვის აგრონომიულ დახმარების გაძლიერებას. დღემდე კოლექტიური მეურნეობანი ხშირად სრულიად მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ აგროდახმარებას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ ეწვეოდა ზოგიერთ მათგანს აგრონომი. არ არის შესწავლილი მიწის თვისება, არ არის შერჩეული მცენარეულობა, არ არის გამოკვლეული სად როგორი შინაური ცხოველის მოშენება მეტ სარგებს იძლევა, სად როგორი სამეურნეო მანქანა გამოდგება და სხვა.

მეტად მწვავედ სდგას კოლმეურნეობათა წინაშე პრაქტიკულ ტეხნიკურ მუშაკების და ხელმძღვანელების გამონახვის საკითხიც. როგორც არსებულ კოლმეურნეობათა გამოკვლევამ ცხადჰყო, ბევრ ამ მეურნეობებში სრულიად არ გააჩნიათ საკუთარი ძალები ანგარიშწარმოებისათვის. საანგარიშო საქმის თავის დონეზე დაყენებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლექტივის ნორმალურ მუშაობისათვის. მართალია დროებით ეს ფუნქცია დავალებული აქვს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს, მაგრამ ეს საკითხის გადაჭრა არაა. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები კოლექტიურ მეურნეობათა პრაქტიკულ მუშაკების კადრის შესაქმნელად. ამ მიზნით საჭიროა მოეწყოს სპეციალური გადასამზადებელი კურსები და მუდმივად მომქმედი სკოლები.

საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ მოგვცა გარკვეული დირექტივა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. კოლმეურნეობათა ახლად დასრულებულ რესპუბლიკების და სრულიად საკავშირო ყრილობა პრაქტიკულად დაამუშავებს კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებს. ამ ყრილობათა დადგენილებები უთუოდ დიდ ადგილს დაიჭერენ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დარგში.

# მძლავრი იარაღი

„პრავდა"-ს კვირის ნომერში გამოქვეყნდა კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის პროექტი, რომელიც წარედგინება მომავალ მე-6 კონგრესს.

ამ პროექტის როლის სათანადოდ შეუფასებლობა შეუძლებელია. ლაპარაკია ნამდვილად მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტზე. უკვე თვით ის ფაქტი, რომ კომინტერნის მე-6 კონგრესზე მიღებული იქნება პროგრამა, ე. ი. მოკლედ იქნება მოცემული მშრომელთა მსოფლიო რევოლიუციონური ორგანიზაციის იდეურ პრინციპიალურ სტრატეგიულ და ტაქტიკურ დებულებათა სისტემა, უკვე თვით ეს ფაქტი უდავოდ არის ისტორიული ფაქტი. რევოლიუციონური ორგანიზაციების ცხრა წლის უდიდესი ბრძოლის შედეგად, უმდიდრესი კოლექტიური კომუნისტური მოძრაობის და დიდი კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში გამოწრთობის საფუძველზე ჩვენ დაბოლოს ვღებულობთ კომუნისტური მოძრაობის პროგრამულ, ე. ი. უმაღლეს იდეოლოგიურ ჩამოყალიბებას.

ის გარემოება, რომ რეალურმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ „წინ გაუსწრო" პროგრამას 9 წლით, აგრეთვე არ შეიძლება არ ჩაითვალოს დამახასიათებლად. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ისეთი ორგანიზაციის პროგრამის შედგენა, როგორიც არის კომინტერნი, არ არის სახუმარო და ადვილი საქმე, რომ პროგრამის დებულებები არ შეიძლება მიღებულ იქნას კაბინეტური აზროვნების ნიადაგზე და რომ პროგრამის შედგენის წინასწარი პირობები ყოველმხრივ უნდა იქნას გამოცდილი თვით ცხოვრებით. გავიხსენოთ, რომ ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა პროგრამის შედგენის სიძნელეს, ვინაიდან აქ ლაპარაკია სწორედ ჩვენს პროგრამაზე, კომუნისტების საერთაშორისო პროგრამაზე. ხოლო ამ პროგრამაში გაერთიანებული უნდა იყოს ულრმესი თეორიული განზოგადება, ცხოველმყოფლობის მაქსიმუმი და ძლიერი რევოლიუციონური ეფექტი.

მთელ მსოფლიოს კომუნისტებს უფლება აქვთ იფიქრონ, რომ კომინტერნის არსებობის ცხრა წლის შემდეგ ეს დიადი „ნაყოფი" მომწიფდა. რევოლიუციონური ბრძოლის უმდიდრესი მსოფლიო გამოცდილება, კერძოდ უკანასკნელი წლების გამოცდილება საშუალებას გვაძლევს მაქსიმალური სიმახვილით გავლესოთ ჩვენი პროგრამული იარაღი, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას მიმართული ყველა ჩვენი მტრების წინააღმდეგ და შეიძლება იქნეს კომუნისტური რაზმების შეკავშირების მძლავრი ბერკეტი.

კომინტერნს უხდება ნამდვილ მსოფლიო ისტორიულ გაქანების გამოცდილების განზოგადება, სრულიად ახალ უნახავ და ისტორიულად ორიგინალური ტიპის მოვლენებში გარკვევა, უაღრესად საპასუხისმგებლო დირექტივების მიცემა ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ ავანგარდებისათვის და ფართო მასებში ისეთი ლოზუნგების გადასროლა, რომლებმაც უნდა „გადააკეთონ" მსოფლიო.

კომუნისტების საერთაშორისო პროგრამა ძირფესვიანად განსხვავდება საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის პროგრამისაგან არა მარტო თავის ცენტრალურ დებულებათა შინაარსით, არამედ აგრეთვე თავისი აგებულების დამახასიათებელი ინტერნაციონალიზმითაც. საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის „ფართო" პროგრამულ დებულებებში თავსდება ურიცხვი შოვინისტურ - ნაციონალურ ელფერის „მიმდინარეობანი", ერთი-ერთმანეთში გადახლართული ყოველგვარი ოპორტიუნისტული „სწორი" და მრუდე მიმართულებანი. აქ არის სოციალ - პუანკარიზმი, მაკდონალდოვშჩინა, პარლამენტარული კრეტინიზმი, ნახევრად ანარქისტული ლაყბობა, ზევერინგის საპოლიციო ინსტრუქციები, ფორდის იმედი, აპოკალიპსისის რწმენა, გაბრჭყვიალებული ოტობაუეროვშჩინა, სისხლში ამოსვრილი „ნოსკიზმი". თავის საერთაშორისო ყრილობებსა და კონგრესებზე ყველა ქვეყნის ოპორტიუნისტული ლიდერები მისალმების შემდეგ ლოცავენ ერთმანეთს „საგმირო საქმეებისათვის" შემდეგი პრინციპის მიხედვით: „უღალატე მუშებს, მოატყუე, ისინი, როგორ უფრო მოსახერხებელია შენთვის, როგორც უფრო ხელსაყრელია შენი ბურჟუაზიისათვის. თუ საჭიროა — კოალიციაში შედი, თუ საჭიროა — მემარცხენე პოზა მიიღე, შემთხვევის დროს კი შეგიძლია ტყვიებიც არ დაზოგო".

კომუნისტების საერთაშორისო პროგრამა უნდა გამოხატავდეს პროლეტარიატის რევოლიუციონურ თეორიულ და პრაქტიკულ თანამიმდევრობას და მის მისწრაფებას განსაზღვრულ მიზნისაკენ. აქ ადგილი არა აქვს იდეურ და პოლიტიკურ არევდარევას. აქ უწინარესყოვლისა ადგილი აქვს ბოლშევიკური რევოლიუციონური აზრის და რევოლიუციონური მოქმედების მთლიანობას. მთელი ჩვენი პროგრამა დამყარებული უნდა იყოს წმინდა მარქსისტულ - ლენინურ თეორიულ საძირკველზე და უნდა ატარებდეს მთელ მსოფლიოს რევოლიუციონურ მუშების ნამდვილად გამაერთიანებელ ხასიათს, საერთო ინტერნაციონალურ საფუძველზე უნდა ათანხმებდეს ერთმანეთთან ცალკე ქვეყნების რევოლიუციონური რაზმების პრაქტიკულ საქმიანობას.

პროგრამის იმ პროექტში, რომელიც საფუძვლად მიიღო კომინტერნის მე-5 კონგრესმა. კომინტერნის აღმასკომის საპროგრამო კომისიამ შეიტანა და უნდა შეეტანა ბევრი ახალი რამ. 1924 წლიდან განვლილ დროში მოხდა უაღრესად სერიოზული ცვლილებები საერთაშორისო მდგომარეობაში და უდიდესი რევოლიუციონური ამბები. უკანასკნელი დროის მოვლენათა საფუძველზე, ომის და ომის შემდგომი წლების უფრო ნაყოფიერად შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმპერიალისტური კაპიტალიზმის კრიზისის უფრო გარკვეული დახასიათების მოცემა, მსოფლიო რევოლიუციონური პროცესის განვითარების უთანაბრობის ნათელყოფა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის საფუძველზე, აგრარულ - გლეხური პრობლემის მნიშვნელობის გარკვევა, კოლონიალური და ჩინეთის დიდი რევოლიუციის გამოცდილების განზოგადება, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური ორგანიზატორული როლის კიდევ უფრო სრულად ნათელყოფა, სოციალ - დემოკრატიის სამარცხვინო როლის და მისი მოღალატური „გამოცდილების" კიდევ უფრო სრულად დახასიათება, ფაშიზმის და ომის საფრთხის ზრდის გამოაშკარავება და მთელ რიგ სტრატეგიულ და ტაქტიკურ პრობლემების უფრო გარკვევით გადაწყვეტა.

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის ბუმბერაზების — მარქსის, ენგელსის და ლენინის რევოლიუციონურ ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშების საშუალებით მჭიდროდ არის დაკავშირებული მარქსის და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის" ხანასთან. ამასთან ერთად კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა მთლიანად მიმართულია ჩვენი სახელოვანი მომავლისაკენ, ის უნდა გახდეს და გახდება მასიურ რევოლიუციონურ მოქმედების პირველხარისხოვან იარაღად ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნებში. ის არის ჩვენი მძლავრი ძლევამოსილი იარაღი, ის სასიკვდილო ლახვარია კაპიტალისტურ რეჟიმისათვის.

პროგრამის პროექტის ყურადღებით შესწავლისა, შეთვისებისა და განხილვისათვის თავისი ძალღონე და ყურადღება არ უნდა დაიშუროს არც ერთმა პროლეტარულმა რევოლიუციონერმა, პროლეტარული დიქტატურისა და კომუნისტური ინტერნაციონალის არც ერთმა მომხრემ.

„პრავდა", 29 მაისი.

# იაპონია-ამერიკის უთანხმოება ჩინეთის საკითხში

## ამერიკა არ სცნობს იაპონიის „განსაკუთრებულ უფლებებს" მანჯურიაში

## კელნში შესდგა საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო კონფერენცია

## ინგლის-საბჭ. ვაჭრობის ზრდა.—ინგლისური ფირმები გრძელვადიან კრედიტს აძლევენ საბჭ. კავშირს

## საბჭოთა კავშირის მეგობართა კონფერენცია კელნში

**კელნი**, 28 მაისი. 27 მაისს კელნში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის ინგლისელ მეგობართა საზოგადოების ინიციატივით. კონფერენციას დაესწრო 28 დელეგატი და აგრეთვე მრავალი სტუმარი მთელ რიგ ქვეყნებიდან. კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ომის საფრთხე და საბჭოთა კავშირის დაცვა, საკითხი საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ, საბჭოთა კავშირის დაცვის საერთაშორისო კომიტეტის არჩევა და ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის, ანგარიში საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებების მუშაობის შესახებ ცალკე ქვეყნებში. დელეგატებს შორის არიან სოციალ-დემოკრატებიც. დელეგატების უმრავლესობა პროფკავშირთა პასუხისმგებელი მუშაკებია. კონფერენციის პრეზიდიუმი არჩეულ იქნა შემდეგ პირთა შემადგენლობით: **ხევერტ**—გერმანიის მუშათა მეორე და მესამე დელეგაციის (საბჭოთა კავშირში) მდივანი, **ლოუტერ**—დერგემის (ინგლისი) სამთამადნო მუშათა კავშირის გამგეობის წევრი და **კანიონ**—საფრანგეთის კომვოთაღორების კავშირის მეთაური.

კონფერენციის დელეგატებს შორის დიდი აღელვება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ გერმანიის მთავრობამ არ მისცა ვიზა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს წარმომადგენლებს, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ კონფერენციას.

კონფერენცია ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც პროტესტს აცხადებს გერმანიის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ.

„გერმანიის მთავრობის მიერ საბჭოთა დელეგაციისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმა—ნათქვამია რეზოლიუციაში—კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ გერმანიის გაბატონებული კლასი თანდათან უფრო ემხრობა იმპერიალისტურ სახელმწიფოების მთლიან ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

კონფერენციამ მოისმინა წერილობითი მისალმება საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსაგან.

ომის საფრთხის შესახებ მოხსენება გააკეთა **ლოუტერმა**. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის შემდეგ (მოსკოვში 1927 წელს) ომის საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა. ამის დასამტკიცებლად მომხსენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ბოლო დროს გაძლიერდა ცდები გერმანიის ჩასაბმელად ანტისაბჭოთა ბლოკში. შემდეგ მომხსენებელი ეხება შიფის წერილს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დაიბეჭდა „ფორვერტს"-ში. შიფი ეურდნობოდა რა თავის საუბარს პუანკარესთან, აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის წრეები ძირითად წინასწარ პირობათ საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებისათვის სთვლიან გერმანიის პოლიტიკის შეცვლას აღმოსავლეთში.

შემდეგ ორატორი ჩერდება შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის კელოგის პროექტზე „ომის ამკრძალავ" ხელშეკრულების დადების შესახებ. მომხსენებლის აზრით, ეს პროექტი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას აშკარად ამტკიცებს შენიშვნები, რომლებსაც პროექტს უკეთებს ინგლისის მთავრობა საპასუხო ნოტაში. მხოლოდ საბჭოთა კავშირი მისწრაფვის ნამდვილ მშვიდობიანობისაკენ. საყოველთაო განიარაღების საბჭოთა პროექტს, რომელიც წარდგენილ იქნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესიაზე, უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდენ მთელი ქვეყნის მშრომელნი. ამ პროექტმა ამხილა იმპერიალისტური სახელმწიფოების და საერთაშორისო სოციალ დემოკრატიის თვალთმაქცობა. საერთაშორისო მუშათა კლასის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: ბრძოლა მთელი ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს—საბჭოთა კავშირის—დასაცავად, ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოების საომარ მზადების წინააღმდეგ, კოლონიალურ ერების ჩაგვრისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

კამათში გამოსული ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ მუშათა კლასმა ხელში უნდა აიღოს იარაღი, რომელსაც მას მისცემს ბურჟუაზია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად და უნდა მიმართოს ეს იარაღი თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ბეკმა**.

მოთხოვნილება პროფმოძრაობის მთლიანობის დაუყოვნებლივ განხორციელების შესახებ—მომხსენებლის აზრით—წამოყენებულ უნდა იქნეს ქვევიდან. საჭიროა გეგმაშეწონილი აგიტაცია იმისათვის, რომ დადებულ იქნეს მეგობრული შეთანხმებები კაპიტალისტურ ქვეყნების ცალკე პროფკავშირებსა და საბჭოთა კავშირის სათანადო პროფორგანიზაციებს შორის.

„ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის—აცხადებს მომხსენებელი—დაკავშირებული უნდა იქნეს ბრძოლასთან კლასობრივ მტრებთან ყოველგვარ შეთანხმებების წინააღმდეგ, სამრეწველო მშვიდობიანობისა და იძულებითი არბიტრაჟის წინააღმდეგ".

კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია სამხედრო საფრთხის შესახებ.

რეზოლიუცია მიმართავს, მთელი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს მოწოდებით დადგენ მოწინავე რიგებში საბჭოთა კავშირის დასაცავად და მომავალი კონტრ-რევოლიუციონური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. რეზოლიუცია მოუწოდებს დაარსონ საბჭოთა კავშირის მეგობართა კომიტეტები ყველა ქვეყნებში იმ მიზნით, რომ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ ომის მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მეგობართა კომიტეტები ცალკე ქვეყნებში უნდა გაერთიანდენ საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო კავშირში.

შემდეგ რეზოლიუცია მიმართავს ყველა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს მოწოდებით მოაწყონ 4 ან 5 აგვისტოს (მსოფლიო ომის გამოცხადების წლისთავი) მასიური საპროტესტო დემონსტრაციები ომის საფრთხის წინააღმდეგ.

შემდეგ რეზოლიუცია აცხადებს, რომ **იმ შემთხვევაში, თუ ომი მაინც დაიწყო, საერთაშორისო მუშათა კლასმა უნდა გადააქციოს ის საერთაშორისო ომათ კაპიტალისტებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ.**

შემდეგ რეზოლიუცია ძმური სალამით მიმართავს საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს.

რეზოლიუცია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობის შესახებ, შედგენილი მომხსენებლის ძირითად დებულებების მიხედვით, მიღებულ იქნა ერთხმად. თავი შეიკავა მხოლოდ ბელგიის დელეგატმა.

შემდეგ კონფერენციამ აირჩია დროებითი ბიურო ორი ინგლისელი, ორი ფრანგი და ორი გერმანელ დელეგატის შემადგენლობით. ამ ორგანოს კონფერენციამ დაავალა ყოველკვირეული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა და ორგანიზაციული კავშირის დამყარება ყველა ორგანიზაციებს შორის, რომლებიც შეიძლება ჩაბმულ იქნენ მოძრაობაში საბჭოთა კავშირის დაცვის სასარგებლოდ.

კონფერენციამ დაავალა ბიუროს დაუყოვნებლივ შეუდგეს საბჭოთა კავშირის მეგობართა მეორე კონგრესის მოწვევას.

დასასრულ, კონფერენციამ მოისმინა **როსის** საინფორმაციო მოხსენება ფაშისტურ ტერორის შესახებ იტალიაში.

კონფერენციის დახურვის წინ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა **ლოუტერმა**.

დროის უქონლობის გამო საანგარიშო მოხსენებები ცალკე ქვეყნებში მუშაობის შესახებ მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ანგარიშები გამოქვეყნებულ იქნება პრესაში (დას).

## ამანულა-ხანი თურქეთში

**ანგორა**, 28 მაისი. სტამბოლის რეიდზე მოვიდა ორი საბჭოთა კრეისერი და სამი ნაღმოსანი, რომლებიც ავღანისტანის ფადიშაჰს მიაცილებენ ბათომში. ფადიშაჰი ავღანისტანში ბრუნდება ბათომ-პეხლევი-თეირან-გერატის გზით. გერატიდან ქაბულამდე ფადიშაჰი გადაფრინდება აეროპლანით.

ოფიციოზ „ხაკიმიეტ მილიე"-ს წარმომადგენელთან საუბარში ფადიშაჰმა განაცხადა, რომ ის ძლიერ კმაყოფილია გულწრფელი და მეგობრული შეხვედრით ანგორაში და აღნიშნა, რომ ის ამაყობს თანამედროვე უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის—ქემალ ფაშის გაცნობით. ფადიშაჰმა ქებით მოიხსენია თურქეთის სახელმწიფო დაწესებულებები. (ადს).

### ამანულა გაემგზავრა სტამბოლში

**ანგორა**, 28 მაისი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ავღანისტანის ფადიშაჰი მეუღლით და ამალის თანხლებით გაემგზავრა სტამბოლში, სადგურზე ავღანისტანის ფადიშაჰი გააცილა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, კაბინეთის წევრებმა და დიპლომატიური კორპუსის წევრებმა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფადიშაჰი გააცილა სადგურ გაზიმდე.

## ბ რ ძ ო ლ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

### შეერთებული შტატები იაპონიის წინააღმდეგ

**შანხაი**, 28 მაისი. ნანკინის მთავრობის ვაშინგტონელ წარმომადგენლისაგან მიღებულ ცნობით, შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა შეერთებულ შტატების პოზიცია მანჯურიის საკითხში: **შეერთებულ შტატები მანჯურიას სთვლის ჩინეთის ტერიტორიათ, შეერთებულ შტატების აზრით იაპონიას არ აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლებები და ინტერესები მანჯურიაში**, შეერთებულ შტატებს ვაშინგტონის კონფერენციის (ცხრა სახელმწიფოს კონფერენცია) დადგენილებანი სავალდებულოთ მიაჩნია იაპონიისა და ყველა სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას. (ადს)

### იაპონელების გამოსვლა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ

**ტოკიო**, 28 მაისი. დაბრუნდა პარლამენტის წევრებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო შანდუნში ცზინანის ამბების მიზეზების გამოსარკვევად.

კომისიის წევრებმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადეს:

„თავდაპირველად სამხრეთელებს განზრახული ჰქონდათ ამოეჟლიტათ ჩინეთში მცხოვრები 2.300 იაპონელი, მაგრამ ამ გეგმას ხელი შეუშალა იაპონიის ჯარების თავის დროზე გაგზავნამ შანდუნში. საჭიროა აღინიშნოს, რომ იარაღი და სამხედრო მოწყობილება სამხრეთელებს მიღებული აქვთ ამერიკელებისაგან. საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ხელში ჩაუვარდათ იაპონელებს, მოწმობს, რომ შეერთებული შტატები დახმარებას აწვდიან სამხრეთელებს". (ადს)

### იაპონელები ცინდაოში

**შანხაი**, 28 მაისი. რეიტერის ცნობით, იაპონიის ჯარების სარდალმა ცინდაოში მოითხოვა როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის ჯარებისაგან, რომ მათ დასცალონ რაიონი, რომელიც მდებარეობს ცინდაოს და შანდუნის რკ. გზის გასწვრივ, რადიუსით 11 კილომეტრამდე. იაპონიის ჯარების სარდალმა აღნიშნა, რომ თუ ჩინელებმა არ დასცალეს აღნიშნული რაიონი, იაპონელები მიმართავენ „სხვა ღონისძიებებს". (ადს)

### იაპონია აშკარად მხარს უჭერს ჩან-ძო-ლინს

**შანხაი**, 28 მაისი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო გომინის ცნობით, **იაპონიამ ჩან-ძო-ლინს მისცა პირობა, რომ დასცლის შანდუნის პროვინციას და გადასცემს მას ჩრდილ. ჯარებს** იმ შემთხვევაში, თუ იაპონია შანდუნში მიიღებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს და თუ ანტიიაპონური მოძრაობა, რომელიც დაიწყო ცზინანის ამბებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ იქნება მოსპობილი.

შემდეგ აღნიშნავენ, რომ იაპონიამ ჩან-ძო-ლინს აღუთქვა სამხედრო დახმარება სამხრეთლების წინააღმდეგ ბრძოლაში. (ადს)

### ფინის წერილი იოსიზავასადმი

**ტოკიო**, 28 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ფინ-იუ-სიანმა იაპონიის ელჩს ჩინეთში იოსიზავას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ ის არის წითლების მტერი და იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას პეკინში მშვიდობიანობისა და წესრიგის შენარჩუნებისათვის მისი ჯარების მიერ ქალაქის დაკავების შემდეგ. (ადს)

### იაპონიის ინტერვენცია

**პეკინი**, 28 მაისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, **იაპონელებმა 25 მაისს ცზინანში ააფეთქეს სამხ. მასალების საწყობი**. ტიანძინში მოვიდა იაპონელების 6 ჰაეროპლანი. (ადს)

### ანტიიაპონური მოძრაობა ჩინეთში

**შანხაი**, 28 მაისი. ცზინანში მომხდარმა ამბებმა და იაპონიის მემორანდუმმა არაჩვეულებრივი აღშფოთება გამოიწვია მთელ ჩინეთში იაპონიის წინააღმდეგ. მთელ რიგ ქალაქებში და მრავალ სოფლებში გაიმართა სტიქიური დემონსტრაციები და მიტინგები. ხანკოუში გამოდის სპეციალური ანტიიაპონური ჟურნალი. გონკონგში ბრიტანეთის ხელისუფლებამ აკრძალა ანტიიაპონური დემონსტრაციები. ნანკინის მთავრობის რწმუნებულმა შანხაიში გამოაქვეყნა მიმართვა იაპონიის მოქალაქეთადმი, რომელშიაც წინადადება ეძლევა მათ არ გაშორდნენ ქალაქის საზღვარს. მრავალ ნავთსადგურებში იაპონიის გემები ტვირთავენ იაპონელი ჯარისკაცების დახმარებით, ვინაიდან ჩინელმა მტვირთველებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე. კანტონში მოსახლეობა უარს აცხადებს იაპონელ ექიმებთან და იაპონელთა სავადმყოფოებში მკურნალობაზე. შანხაიში ფოსტას არ მიაქვს წერილები იაპონელთათვის. იაპონელთა ბანკებში შეტანილი ფული უკან გამოაქვთ. მხოლოდ შანხაიში ათი დღის განმავლობაში იაპონელთა ბანკებიდან უკან გამოიტანეს 10 მილიონი დოლარი. კანტონში საფეიქრო ფაბრიკებმა შესწყვიტეს იაპონური ნართის ხმარება. შანხაიში ბევრმა ფაბრიკანტებმა შესწყვიტა იაპონელთა ქვა-ნახშირის შესყიდვა. (ადს).

## ჰინდენბურგის ერთგული მსახურები

### მენშევიკური ბელადები პორტფელებს ინაწილებენ. — „შრომის მინისტრობა სახიფათოა"

**ბერლინი**. 28 მაისი. სოციალ - დემოკრატიული პარტიის ლიდერებს ხშირი თათბირი აქვთ მომავალი მთავრობის შემადგენლობისა და მისი პროგრამის შესახებ.

ერთმა ასეთმა თათბირმა დადგენილება მიიღო პორტფელების განაწილების შესახებ. რეიხსკანცლერად დასახელებულია პრუსიის ახლანდელი პრემიერი **ბრაუნი**, რომელიც ორსავე თანამდებობას შეათავსებს. თათბირის ზოგიერთი მონაწილე ასეთი შეთავსების წინააღმდეგი იყო, რაზედაც ბრაუნმა განაცხადა: „მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ჰინდენბურგი თანაუგრძნობს ასეთ გეგმას და იგი დაითანხმებს სხვა ფრაქციებსაც, როგორც რეიხსტაგში, ისე ლანდტაგებში".

შემდეგ სოციალ - დემოკრატებს განზრახული აქვთ მოითხოვონ თავისთვის შინაგან საქმეთა, გზათა, მომარაგებისა, სახალხო მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრების პორთფელები. შრომის სამინისტრო სოციალ - დემოკრატებს არ სურთ, რადგან შიშობენ, რომ სოციალ - დემოკრატი ეკონომიური კონფლიქტების მომგვარებლის როლში საბოლოოდ სახელს გაუტეხს პარტიას მუშების თვალში. (ადს)

## სად არის „იტალია"?

### დირიჟაბლ „იტალია"-ს ძებნა

**მოსკოვი**, 29 მაისი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმში არავითარი ცნობა არ არის მიღებული ნობილეს დირიჟაბლ „იტალიის" შესახებ. რადგან შესაძლებელია, რომ ძლიერმა ქარმა დირიჟაბლი წამოიღო საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნაპირებისაკენ, თავდაცვა-ავიაქიმმა ზომები მიიღო, რომ მოსძებნოს და დახმარება აღმოუჩინოს ნობილეს დირიჟაბლს.

**ვლადივოსტოკი**, 29 მაისი. ნობილეს დირიჟაბლის ავარიასთან დაკავშირებით კამჩატკასა და ოხოტსკის ნაპირების გემებს, აგრეთვე იმ გემებს, რომლებიც ჩრდილოეთის რეისზე დგანან, დაევალათ განუწყვეტლივ იმორიგეონ რადიოსთან და მზად იყვნენ ნობილესათვის დახმარების აღმოსაჩენად.

### „იტალია" ჯერ ვერ აღმოაჩინეს

**ოსლო**, 28 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: დირიჟაბლი „იტალიის" ბედის შესახებ არავითარი ახალი ცნობები არ მოსულა. (ადს).

### არავითარი ცნობა

**ოსლო**, 27 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ იტალიის ელჩმა ოსლოში გემ „ჩიტადი მილანო"-დან (ნობილეს ექსპედიციის ბაზა) მიიღო დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ ნობილედან არავითარი ცნობა არ არისო (ადს).

### ამუნდსენის აზრი

**ოსლო**, 28 მაისი. კინგსბეიდან მიღებულ დეპეშებში ნათქვამია, რომ არავითარი ცნობა არ არის დირიჟაბლ „იტალია"-ს შესახებ. უკანასკნელი ცნობა „იტალია"-ს შესახებ მიღებულ იქნა პარასკევს, დილით.

პოლიარული ქვეყნების ცნობილმა მკვლევარმა ამუნდსენმა განაცხადა:

„თუ „იტალია"-მ ვერ მოახერხა დაბლა დაშვება, მას, ყოველ შემთხვევაში შეუძლია 4 კვირამდე დარჩეს ჰაერში. დირიჟაბლს აქვს 6 კვირის მარაგი. ამ ხნის განმავლობაში დირიჟაბლი შესძლებს კავშირის დამყარებას დასახლებულ რაიონებთან" (ადს).

### „იტალიას" მოსაძებნათ

**ოსლო**, 27 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „გადაწყდა, რომ ლეიტენანტი ხოლმი 28 მაისს გაფრინდება ტრომსეში, სადაც გემ „ხობი"-თ გაემგზავრება კინგსბეიში. კინგსბეიდან ხოლმი ჰაეროპლანით გაფრინდება „იტალია"-ს მოსაძებნათ, შპიცბერგენიდან ჩრდილო - დასავლეთით მდებარე რაიონში (ადს).

## უკანასკნელი ცნობები

### წითელფრონტელების შეკრება

**ბერლინი**, 29 მაისი. წითელფრონტელების შეკრების მეორე დღე ჩატარდა პროგრამის თანახმად. წითელფრონტელებმა ინახულეს რევოლუციის მსხვერპლთა სასაფლაო და აგრეთვე მოაწყვეს მანიფესტაციები ბერლინის ყველა რაიონებში. მანიფესტაციის დროს მუშები მხურვალედ ემშვიდობებოდნენ შეკრების მონაწილეებს. წითელფრონტელები გაემგზავრენ 82 სპეციალური მატარებლით და მრავალი საბარგო ავტომობილით.

შეკრებამ ბურჟუაზიაზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ჩანს ბურჟუაზიულ გაზეთებისა და სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსის" წერილებიდან:

მემარცხენე-ბურჟუაზიული „ველტ ამ მონტაგ"-ი სწერს: „ორი დღის განმავლობაში დედა ქალაქი მოქცეული იყო წითელფრონტელების კავშირის ძალების დიადი დათვალიერებისა. შეკრება არაჩვეულებრივი წესრიგით ჩატარდა".

გაზეთის სიტყვით შეკრებაში 90,000 კაცი ღებულობდა მონაწილეობას.

„ფორვერტს"-ი აღიარებს, რომ წელს შარშანდელთან შედარებით მეტი იყო შეკრების მონაწილე. (ადს).

### ტროიანოვსკის საუბარი ტანაკასთან

**ტოკიო**, 29 მაისი. სიმბუნ-რენგოს სააგენტო იუწყება: „პრემიერმა ტანაკამ მიიწვია საბჭოთა ელჩი ტროიანოვსკი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან მიმდინარე ამბების შესახებ".

### საბჭოთა კინო-სურათები უცხოეთში

**ნიუ-იორკი**, 29 მაისი. კინო-ცენზურამ აკრძალა საბჭოთა კინო-სურათის—„სანკტ-პეტერბურგის აღსასრულის" ჩვენება მანამდე, სანამ მიღებული არ იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვა.

### ტრიანონის ხელშეკრულების გადასინჯვისათვის

**ვენა**, 29 მაისი. როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, პრემიერმა ბეტლენმა პარლამენტში განაცხადა, რომ უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია საგარეო პოლიტიკის დარგში ეთანხმება მთავრობის პოზიციას. ბეტლენმა მოუწოდა სოციალ-დემოკრატების მოღვაწეებს, რომლებიც უცხოეთში იმყოფებიან, მხარი დაუჭირონ იმ ბრძოლას, რომელსაც უნგრეთი აწარმოებს ტრიანონის ხელშეკრულების გადასინჯვისათვის.

### დემონსტრაციის დაშლა

**რიგა**, 29 მაისი. მემარცხენე პროფკავშირების მიერ გამოწვეულ საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის ფაშისტური პოლიტიკის წინააღმდეგ იარაღით დაშალა პოლიციამ. დაპატიმრებულია კრების 7 მონაწილე.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ კრების იარაღით დაშლა პირველი შემთხვევაა ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. (ადს).

### ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის

**ვენა**, 28 მაისი. რუმინეთის პრესის ცნობით, ჟილიას მიდამოების ქვა-ნახშირის რაიონში დაიწყო მემაღაროეთა ძლიერი მოძრაობა ხელფასის გადიდებისათვის. მემაღაროეთა ბრძოლას მეთაურობს მემაღაროეთა უნიტარული რევოლიუციონური პროფკავშირი. პოლიციამ ჟილიის მიდამოებში დააპატიმრა რამდენიმე პირი. (და).

### ჩემბერლენის უგუნური ნაბიჯი

**ლონდონი**, 28 მაისი. „დეილი ჰერალდ" იგონებს, რომ 27 მაისს შესრულდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის წლის თავი. ამასთან დაკავშირებით გაზეთი სწერს:

„ჩემბერლენის უგუნური თეატრალური ჟესტი კი არ შეასუსტებს, არამედ გაამაგრებს საბჭოთა რეჟიმს. ამ უგუნური ნაბიჯის შედეგი იყო ის, რომ ინგლისმა დაჰკარგა მილიონიანი საბჭოთა დაკვეთები".

### „სირცხვილი"

**ლონდონი**, 28 მაისი. გაიხსნა ინგლისის კოოპერატივთა მესამოცე წლიური ყრილობა, რომელსაც ესწრება 1.850 დელეგატი. თავმჯდომარემ აცნობა დელეგატებს, რომ ინგლისის კოოპერატივთა გაერთიანებამ ვერ შესძლო ვიზის მიღება საბჭოთა დელეგატებისათვის.

ამ ცნობას დელეგატები შეხვდენ ძახილით: „სირცხვილი".

### ანტი-იტალიური დემონსტრაციები

**ვენა**, 29 მაისი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, ზაგრებში და სამხრეთ-სლავიის სხვა ქალაქებში კვლავ გაიმართა ანტი-იტალიური დემონსტრაციები, რომლის დროს ფანჯრები ჩაამტვრიეს იტალიის საკონსულოებში. პოლიციამ იარაღს მიმართა. მრავალია დაჭრილი. იტალიის ელჩმა სამხრეთ-სლავიის მთავრობას გადასცა საპროტესტო ნოტა.

სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ამბების გამო და აღუთქვა ელჩს, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს დემონსტრანტების წინააღმდეგ.

### მთლიანი ფრონტის მტრები

**ჰელსინგფორსი**, 28 მაისი. ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანების აღმასკომმა, განიხილა რა საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის და ფინეთის პროფორგანიზაციების კოპენჰაგენის შეთანხმების (საერთო მოქმედების შესახებ) საკითხი, დაადგინა: აღმასკომში, „თვალისწინებს რა არსებულ მდგომარეობას", საჭიროდ სცნობს გადადოს ამ შეთანხმების რატიფიკაცია. (ადს).

### სეკელის განთავისუფლება

**ვენა**, 28 მაისი. გაანთავისუფლეს უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ყოფილი სახალხო კომისარი სეკელი, რომელიც დაპატიმრებული იყო ბელა კუნთან ერთად. (ადს).

### ზალესკის ტრაბახი

**ვარშავა**, 28 მაისი. სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა **ზალესკიმ** ილაპარაკა პოლონეთის როლის შესახებ „მშვიდობის დამყარების" საქმეში და აღნიშნა, რომ პოლონეთი ანგარიშს უწევდა თავის ამოცანებს აღმოსავლეთ ევროპაში და ამიტომ მან რიგის ხელშეკრულება დასდო. „პოლონეთი,—სთქვა ზალესკიმ,—ვერ გაიტაცა ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებამ, იგი ხელმძღვანელობდა ზომიერებით, ეურდნობოდა მოწინააღმდეგის დანდობის პრინციპს და ამის მიხედვით დასდო ხელშეკრულება" (ადს).

### ნობილეს საძებნელად

**ხაბაროვსკი**, 29 მაისი. ხაბაროვსკის რადიო-სადგურმა გადასცა ხუთ ენაზე ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჩუცკაევის მიმართვა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებისადმი და აგრეთვე კამჩატკის მოსახლეობისადმი, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილ იქნას დირიჟაბლი „იტალია" მფრინავებს აღმოუჩინონ დახმარება და მიიღონ ზომები დირიჟაბლის დასაცავად (ადს).

## საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ვაჭრობა

**ლონდონი**, 28 მაისი. ლონდონის საქმიან წრეებში და აგრეთვე ინგლისის პრესის ერთ ნაწილში დიდი ინტერესი გამოიწვია „დეილ ექსპრესის" ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებმა ინგლისის ფირმებს შეუკვეთეს 4 მილიონი გირვანქა სტერლინგზე მეტი ღირებულების საქონელი.

„დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ ორივე ქვეყნის გაურკვეველი პოლიტიკური ურთიერთობის მიუხედავად, ინგლისის მრეწველები საბჭოთა ორგანიზაციებს კრედიტს აძლევენ 5 წლის ვადით, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ოფიციალური ურთიერთობის პერიოდში კი კრედიტი არასოდეს არ აღემატებოდა ორ წელიწადს.

ამას იმით ხსნიან, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის დღიდან ბრიტანეთის არცერთი ფირმა არ დაზარალებულა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის დროს. (ადს)

## მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### მ. გორკი მოსკოვის შესახებ

#### პირველი შთაბეჭდილება

**მოსკოვი**, 29 მაისი. გუშინ, 28 მაისს ღამის 11 საათის შემდეგ მაქსიმ გორკიმ ამხანაგების თანხლებით დაათვალიერა მოსკოვი.

პირველყოვლისა გორკი გაემართა წითელ მოედნისაკენ, სადაც ინახულა ლენინის აკლდამა. აქედან გადავიდა მდინარე მოსკვას იქითა ნაპირას და დაათვალიერა ზამოსკვორეჩიეს რაიონი.

ამის შემდეგ მაქსიმ გორკი დაბრუნდა მოსკოვის ცენტრალურ უბნებში, სადაც ინახულა ტელეგრაფის ახალი, უზარმაზარი შენობა. ეს სახლი აგებულია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ტვერის ქუჩისა და ოგარევის (ყოფილ გაზეტნი) შესახვევის კუთხეში. თავის კონსტრუქციით, ნათელი ოთახებით და სიდიადით, ტელეგრაფის ახალი შენობა განსაკუთრებით განირჩევა მოსკოვის დანარჩენ ნაგებობათა შორის. თუ რამდენად დიდია ტელეგრაფის ახალი სახლი, ეს სჩანს იქედან, რომ ის ერთ და იმავე დროს გამოდის ოთხ ქუჩაზე.

ტელეგრაფის ახალ შენობაში უკვე მოთავსებულია ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი. ამ უწყების დანარჩენი ორგანოები თანდათან გადმოდიან ახალ ბინაზე.

პნევმატიური (შეკუმშული ჰაერის) ფოსტის მოწყობა მოსკოვში დაკავშირებულია ტელეგრაფის ახალი შენობის საბოლოოდ დასრულებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმ გორკი გვიან ეწვია ტელეგრაფს და არავინ იყო გაფრთხილებული მისი მოსვლის შესახებ, საპატიო სტუმარს დიდი ხალისით შეეგებენ მორიგე მუშამოსამსახურეები, პროფკავშირი და ადმინისტრაცია.

ტელეგრაფის შენობის დათვალიერების შემდეგ მაქსიმ გორკი გაემართა სახელმწიფო ვაჭრობის ახალი სახლის დასათვალიერებლად, რომელიც აგრეთვე განირჩევა თავის გრანდიოზობით და არქიტექტორული ღირსებით.

აქედან გორკიმ გაიარა მოსკოვის მთავარი ქუჩები: ტვერსკაია, მიასნიცკაია, კუზნეცკი და სხვ.

თავის ნაცნობ მეგობრებთან საუბარში გორკიმ განაცხადა, რომ მოსკოვმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი ცნობა მეტად ძნელია სამოქალაქო ომის წლების შემდეგო.

#### სახელმწიფო გამომცემლობაში

**მოსკოვი**, 28 მაისი. დღეს მაქსიმ გორკი ეწვია რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობას, გამომცემლობის გამგე ამხ. ხალატოვმა, მოკლეთ გააცნო მწერალს სახელმწიფო გამომცემლობის მიღწევები. მაქსიმ გორკი მეტად ნასიამოვნები დარჩა იმ მიღწევებით, რომელნიც აქვს სახელმწიფო გამომცემლობას ბეჭვდითი ლიტერატურის წარმოება - გავრცელების დარგში.

#### „ორი შეხვედრა"

**მოსკოვი**, 28 მაისი. მოსკოვის გაზეთები მაქსიმ გორკის ჩამოსვლის გამო დიდ ადგილს უთმობენ მწერლის ბიოგრაფიას, მის ლიტერატურულ დამსახურებას, მოგონებებს გორკის შესახებ და სხვ.

„იზვესტია"-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ორი შეხვედრა". წერილის ავტორი ეხება მაქსიმ გორკის მოთხრობას: „ჩემი თანამგზავრი", სადაც მწერალს მოთხრობილი აქვს მისი პირველი ფეხით ჩამოსვლა თბილისში. წერილის ავტორს გაჰყავს პარალელი გორკის ორ შეხვედრას შორის; ერთია — გორკის ჩასვლა თბილისში და მეფის პოლიციის შეხვედრა, მეორე — გორკის ჩამოსვლა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების, მსოფლიო რევოლიუციის გულში — მოსკოვში.

მოსკოვის გაზეთებში მოყვანილია აგრეთვე ეპიზოდი იმის შესახებ, რომ თბილისში ყოფნის დროს გორკი გამოესარჩლა გოროდოვოების მიერ უდანაშაულოდ დახვეჭილს და ამის გამო დაპატიმრებულ იქნა პოლიციელების მიერ.

### პარტახტიან ტიფის შემთხვევები მოსკოვში

**მოსკოვი**, 28 მაისი. მოსკოვში უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა პარტახტიანი ტიფით დაავადების რამდენიმე შემთხვევას. ამის გამო ქალაქის ჯანმრთელობის ორგანოებმა მიიღო სასწრაფო ზომები. პირველ რიგში შემოწმებულ იქნა საზოგადო საცხოვრებელი ბინები. შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ მოსკოვის ბევრ საზოგადო საცხოვრებელ ბინებში სრულიადაც არ არის დაცული სანიტარული პირობები, რასაც შეუძლია ტიფის გავრცელებას შეუწყოს ხელი. ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად მიღებულია ენერგიული ზომები.

ირკვევა, რომ პარტახტიანი ტიფი მოსკოვში შემოიტანა პენზის და რიაზანის გუბერნიიდან ჩამოსულ სეზონის მუშებმა, აღნიშნულ გუბერნიებშიც აღრიცხულია პარტახტიან ტიფით დაავადების რამოდენიმე მაგალითი.

საქართვ. ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნო
ამით აცხადებს, რომ
პარასკევს ა/წ. ივნისის 1-ლს. საღ. 6 ს. სასახლეში (წითელ დარბ.)
შესდგება
აფხაზეთის ს. ს. რ. და აჭარისტანის სახკომსაბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ცაკის და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა
თათბირი
დღის წესრიგი დაეგზავნათ თათბირის მონაწილეთ.
საქართველოს ს. ს. რ. სახკომსაბჭოს სამდივნო

# საფრანგეთის „სოციალისტური" პარტიის ყრილობა

### რენოდელი „მწუხარებას" გამოთქვამს

**პარიზი**, 28 მაისი. ტულუზაში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა. ყრილობაზე **რენოდელმა** მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ სოციალისტური პარტიის წინა ყრილობამ გარკვეული დადგენილება არ გამოიტანა დემოკრატიულ პარტიებთან ბლოკის საჭიროების შესახებ; მან მწუხარება გამოსთქვა იმის გამოც, რომ საარჩევნო თათბირზე ვერ მოხერხდა სოციალისტური პარტიისა და რადიკალების ლიდერების შეთანხმება. რენოდელის უკანასკნელმა სიტყვებმა დარბაზში ხმაურობა გამოიწვია, ვინაიდან ბევრმა არაფერი იცოდა სოციალისტებისა და რადიკალების საარჩევნო თათბირის შესახებ.

**ლორანმა** წინადადება შეიტანა, რომ ყრილობას განეხილა სოც. პარტიიდან მორგანის მემარცხენე ჯგუფის გამორიცხვის საკითხი. ამავე დროს მან მოითხოვა ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ **ალბერტ ტომამ** ქება მიუძღვნა ფაშიზმს. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობის მეორე დღე მიეძღვნა პარტიის ტაქტიკის საკითხს.

კამათს საფუძვლად დაედო სენის ფედერაციის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ბრძოლას როგორც კომუნისტებთან, ისე რადიკალებთან; ამასთანავე იგი ითვალისწინებდა, რომ კომუნიზმისა და სოციალიზმის საბოლოო მიზნები ერთი და იგივეა".

რეზოლუცია მოითხოვდა, რომ დეპუტატთა პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ გაატაროს „მტკიცე გაბედული ოპოზიციის" ტაქტიკა.

პარტიის ტაქტიკის შესახებ დიდი სიტყვა წარმოსთქვა **ბლიუმმა**. მან განაცხადა, რომ სოციალისტები ამჟამად ვერ მიემხრობიან უმრავლესობას, რომელიც მხარს უჭერს პუანკარეს. მაგრამ ამ ოპოზიციონურ ტაქტიკას ბლიუმი დიდი ხნით არ ვარაუდობს.

დასასრულ ბლიუმმა მკაცრად გაილაშქრა კომპარტიის წინააღმდეგ და განაცხადა:

„ჩვენ ბოლომდე უნდა ვებრძოლოთ კომუნისტებსაო". (ადს).

# ბოლდუინი განიარაღებას არ აპირებს

**ლონდონი**, 28 მაისი. პრემიერმა ბოლდუინმა გამოაქვეყნა პასუხი იმ პეტიციაზე, რომელიც მან მიიღო ეგრეთ წოდებულ „ომის აცილებისათვის მომუშავე ეროვნულ საბჭოსაგან და რომელსაც ხელს აწერს 100 ათასი პირი.

ეს პეტიცია მოუწოდებდა ინგლისის მთავრობას, რომ მას მიეღო ზომები, რათა 1919 წლის შეიარაღებათა დონე აღიარებული ყოფილიყო, როგორც საფუძველი საყოველთაო განიარაღებისათვის. ბოლდუინმა პასუხად განაცხადა, რომ ინგლისი უკვე იმდენად განიარაღდა, რომ მისი შეიარაღების დონე უფრო ნაკლებია, ვიდრე ომის წინა ხანებში იყო; ინგლისს აღარ შეუძლია შემდგომი განიარაღების „რისკი" გასწიოს, ვინაიდან გარანტია არა აქვს, რომ მის მაგალითს სხვა ქვეყნებიც მიჰბაძავენ.

# საბჭოთა ესკადრა სტამბოლში

**სტამბოლი**, 28 მაისი. ნავთსადგურში მოვიდა შავი ზღვის საბჭოთა ესკადრა ორლოვის უფროსობით. ესკადრა შესდგება კრეისერ „ჩერვონნა უკრაინა"-საგან და სამი ნაღმოსანი საგან—„პეტროვსკი", „ფრუნზე" და „შაუმიანი". ესკადრას შეხვდა თურქეთის ნაღმოსნები.

შავი ზღვის საბჭოთა ფლოტის სარდალმა ორლოვმა ინახულა თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. კრეისერი „ჩერვონნა უკრაინა" დაათვალიერეს თურქეთის საზღვაო სარდლობის წარმომადგენლებმა და თურქეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ტევფიკ-ბეიმ. (ადს).

# წყლის ნაყვა ვარშავაში

**ვარშავა**, 28 მაისი. პოლონეთ-ლიტვის კომისიის სხდომები, რომელზედაც ირჩეოდა ეკონომიური ურთიერთობის, ტრანსპორტის და სანაპირო ხაზზე მიმოსვლის საკითხები, უშედეგოთ დამთავრდა. როგორც კი დელეგატები უშუალოდ გადავიდნენ კონკრეტულ საკითხებზე, მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. კომისიის უკანასკნელი პლენარული სხდომები მეტად ნერვიულ ატმოსფერაში მიმდინარეობდა, რაც აიხსნება ერთის მხრივ ლიტვის დელეგაციის შეურიგებლობით (დელეგაციას არ სურდა დათმობებზე წასვლა), ხოლო მეორეს მხრივ — ვილნოს გამოცხადებით ლიტვის სატახტო ქალაქად.

პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ შუმლიაკოვსკიმ ინტერვიუში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ლიტვასთან მოლაპარაკება საერთოდ მეტად „ძნელი საქმეა" და აღნიშნა, რომ „ორი დღე დაიკარგა პოლიტიკურ დისპუტზე ვილნოს საკითხის გარშემო".

პოლონეთის პრესა აღიარებს მოლაპარაკების პირველი ფაზის უშედეგობას.

მოლაპარაკება განახლდება 28 ივნისს. (ადს)

# სტარჩეას სიკვდილი

**ვენა**, 28 მაისი. ბუდაპეშტში უეცრად გარდაიცვალა რუმინეთის ელჩი ტრაიან-სტირჩეა. გავრცელდა ხმები, რომ ის მოწამლეს. ბუდაპეშტის პროკურატურამ უარყო რუმინულ ექიმის წინადადება გვამის გაკვეთის შესახებ, მაგრამ გარდაცვლილის ოჯახი მოითხოვს გაკვეთას, რათა გამორკვეულ იქნეს სიკვდილის მიზეზი. (ადს).

# სოციალ-ფაშისტები და ფაშისტები

**ბერლინი**, 28 მაისი. არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატები და „რესპუბლიკანური დროშის" კავშირის ორგანიზაციები თანამშრომლობენ ფაშისტურ „ფოლადის მუზარადის" ორგანიზაციებთან. ამგვარი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითი მოჰყავს „მორგენ-პოსტ"-ს. „რესპუბლიკანური დროშის", „ფოლადის მუზარადის" და „ახალგაზრდა გერმანიის" ორდენის ადგილობრივმა ჯგუფებმა გოლცმინდენში გადასწყვიტეს ააგონ „ებერტ ჰინდენბურგის სახლი". (ადს).

# საბერძნეთის კაბინეტი

**ათინა**, 28 მაისი. მთავრობის კრიზისი საბერძნეთში შეიძლება განვლილად ჩაითვალოს, ვინაიდან პრეზიდენტმა კონდურიოტისმა არ დაადასტურა მთავრობის გადადგომა და წინადადება მისცა მას წინანდელი შემადგენლობით განაგრძოს მუშაობა. (ადს).

# მაქსიმ გორკი მოსკოვში

### შეხვედრა

**მოსკოვი**, 29 მაისი. გორკი მოსკოვში ჩამოვიდა 28 მაისს, შუადღის 1 ს. 10 წუთზე. სადგურის ბაქანზე შეიკრიბნენ სამხედრო ყარაული, ნორჩ პიონერთა დელეგაცია, პარტიული, საბჭოთა, მწერალთა და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მატარებლის გაჩერების შემდეგ ორკესტრმა დაუკრა „ინტერნაციონალი". აღელვებული გორკი ხელს ართმევს.

ვაგონში შევიდნენ ამხ. **ბუხარინი, ლუნაჩარსკი, ენუქიძე, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, იაროსლავსკი, უგლანოვი, ბუბნოვი, ხალატოვი** და სხვ. გორკის თან მოჰყვა მისი შვილი მაქსიმე. გორკის დაუსრულებელი „ურას" ძახილით შეეგებნენ და ხელში ატაცებული გამოიყვანეს მოედანზე, სადაც ის დადგა ხელდახელ მოწყობილ ტრიბუნა-ავტომობილზე. გორკის გამოჩენამ გამოიწვია მოედანზე თავმოყრილი მრავალათასიანი მასის ოვაცია. აქ გორკის მიესალმნენ ამხ. **სმიდოვიჩი** და მოსკოვის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მიხაილოვი**. მისალმებათა პასუხად გორკიმ სთქვა:

„მე იმდენად აღელვებული ვარ, რომ სრულიად არ ძალმიძს იმ გრძნობების გამოთქმა, რომლებსაც მე განვიცდი". სიტყვის დასრულების შემდეგ გორკი და ბუხარინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და დაჰკოცნეს, რამაც აღტაცების საერთო გუგუნი გამოიწვია.

მრავალათასიანი მასის თანდასწრებით გორკი და მისი შვილი ავტომობილში ჩასხდნენ და ბინაზე წავიდნენ (ადს).

### მ. გორკის წერილი საბჭოთა პრესას

**მოსკოვი**, 29 მაისი. „ბოდიშს ვიხდი პრესის მუშაკების წინაშე, რომ ვერ შევუსრულე სურვილი და ვერ უთხარი „რამდენიმე სიტყვა". შეხვედრის სილამაზით განცვიფრებული, მისი ენტუზიაზმით აღელვებული, მე აქაც ვერ ვახერხებ ჩემი გრძნობების ჩამოყალიბებას სიტყვებად. არ ვიცი, შეხვედრიან თუ არა როდესმე ან სადმე მკითხველები მწერალს ასე მეგობრულად, ასეთის სიხარულით. ამ სიხარულმა გამაბრუა. მე დიდი წარმოდგენისა არა ვარ ჩემს თავზე და არა მგონია, რომ ჩემს მუშაობას ასეთი დიდი შეფასება დაემსახურებინოს. მე ამას სრულიად გულწრფელად ვამბობ და მზად ვარ ათასჯერ გავიმეორო. ამ გასაოცარს შეხვედრაში ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო ის არის, რაც მე დავინახე, რაც ვიგრძენ: საბჭოთა კავშირის ნორჩმა ძალებმა იციან მუშაობის დაფასება, იციან ამ მუშაობით აღტაცება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე შეიგნეს და გრძნობენ იმ მუშაობის უაღრესად ინტერნაციონალურ მსოფლიო მნიშვნელობას, რომლისთვისაც ისინი ემზადებიან და რომელსაც უკვე აწარმოებენ. სიტყვებით ვერ გამოიხატება ამის ცოდნით გამოწვეული სიხარული, ძვირფასო ამხანაგებო.

მ. გორკი.

1928 წლის 28 მაისი.

### გორკის მუზეუმი

**მოსკოვი**, 29 მაისი. ლენინის ბიბლიოთეკაში ზეიმით გაიხსნა მაქსიმ გორკის სახელობის მუზეუმი.

### გორკის მიწვევა კოლექტიურ მეურნეობათა ყრილობაზე

**მოსკოვი**, 29 მაისი. გორკის ჩამოსვლის გამო სრულიად რუსეთის კოლექტიური მეურნეობათა ყრილობამ ერთსულოვნად დაადგინა შეიყვანოს იგი ყრილობის საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

გადასწყდა გორკის მიწვევა ყრილობაზე.

### მ. გორკი—მშენებელთა კავშირის საპატიო წევრი

**მოსკოვი**, 29 მაისი. საბჭოთა კავშირის მშენებელთა კავშირის ყრილობამ გამოჰყო განსაკუთრებული დელეგაცია, რომელმაც გადასცა გორკის მშენებელთა კავშირის საპატიო წევრობის ბილეთი. დელეგაციამ გადასცა მწერალს ყრილობის დელეგატების თხოვნა, რომ ის დაესწროს ყრილობის ერთ-ერთ სხდომას მუშა-მშენებლებთან შესახვედრად.

# სვერდლოვის სახელობის კომუნივერსიტეტის 10 წლის თავი

### საზეიმო სხდომა.—გორკი სვერდლოველებთან

**მოსკოვი**, 29 მაისი. 28 მაისს დიდ თეატრში დიდის ზეიმით იქნა გადახდილი სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის ათი წლის თავი.

სხდომის დაწყების წინ ტრიბუნასთან გამოჩნდა მოსკოვში ჩამოსული **გორკი**. დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. ყველა ფეხზე წამოდგა. გაისმა სიტყვები: „გაუმარჯოს ჩვენს პროლეტარულ მწერალს გორკის".

მწერალი ძალიან აღელვა ასეთმა შეხვედრამ; მან გულზე ხელი მიიდო, რაღაცას ამბობდა, მაგრამ არაფერი ისმოდა. აუდიტორიამ საბჭოთა კავშირში მოსულ დიდ მწერალს ახალი მქუხარე ტაშით უპასუხა. მისალმების გუგუნი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა, როდესაც ტრიბუნაზე გამოჩნდა გორკი ამხ. ბუხარინთან და ლუნაჩარსკისთან ერთად. მათ შემდეგ პრეზიდიუმის მაგიდას შემოუსხდნენ ამხ. **სტალინი, ვოროშილოვი, უგლანოვი, კრუპსკაია, იაროსლავსკი** და სხვანი.

### ამხ. ბუხარინის სიტყვა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის სახელით უნივერსიტეტს მიესალმა ამხ. **ბუხარინი** და სთქვა:

„მუშათა კლასმა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში და მტრული გარემოცვის პირობებში უნდა შექმნას ახალი სოციალისტური მეურნეობა. ჩვენი ქვეყანა, რომელსაც არაჩვეულებრივი სიძნელენი ეღობება წინ, უნდა გადაიქცეს ახალი კულტურისა და ახალი ცხოვრების მამოძრავებლად. ჩვენს გზაზე გადაღობილ დაბრკოლებათა დაძლევა ჩვენ შეგვიძლია მუშათა კადრების კიდევ უფრო მეტი შემჭიდროების საშუალებით. ჩვენ არ უნდა დავმალოთ ჩვენი დეფექტები. ყოველ დღე და ყოველ საათს ცოდნას უნდა ვიძენდეთ. შახტის პროცესმა დაგვიმტკიცა, რომ რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვამზადოთ საკუთარი სპეციალისტები.

სოციალისტური მშენებლობის ინტერესთა უდიდესი ერთგულება შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ჩვენი კლასის წევრებს. ამჟამად სვერდლოვის უნივერსიტეტი მოგვცემს მუშაკებს პარტიული და სამეურნეო მშენებლობისათვის. მაგრამ ჩვენ ვიცით და დარწმუნებული ვართ, რომ, როდესაც გაისმის სამხედრო საყვირის ხმა, ყველა სვერდლოველი თავ-თავის [illegible] პოზიციას დაიჭერს!

### ამხ. უგლანოვის სიტყვა

ამხ. **უგლანოვმა** სიტყვა წარმოსთქვა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის სახელით. მან აღნიშნა, რომ სვერდლოვის უნივერსიტეტი ჩვენს ქვეყანას მისცემს ნამდვილ კომუნისტურ ინტელიგენციას, რომელიც ჩვენ გვჭირდება სრიხათვის, რომ ყოველდღე ვებრძოლოთ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულ ყოვლის მცოდნეობას და უმეცრებას.

შემდეგ გამოვიდა გორკი.

### მაქსიმ გორკის სიტყვა

რამდენიმე წუთის განმავლობაში მას ლაპარაკის საშუალებას არ აძლევენ. სვერდლოველები კვლავ ერთსულოვნად ეგებებიან საყვარელ მწერალს.

გორკი თავის სიტყვას იწყებს აკანკალებული ხმით.

„გარწმუნებთ,—ამბობს მწერალი,—რომ მე სრულებით არ შემიძლია ლაპარაკი. სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვსთქვა უკანასკნელ ორ დღეში დაგუბებული გრძნობები და შთაბეჭდილებანი. პირდაპირ ტანჯვაა: ვგრძნობ, რომ სათქმელი ბევრია, მაგრამ საჭირო სიტყვები კი ვერ გამომინახია...

შემიძლია მხოლოდ ვსთქვა: რა კარგია... მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს რუსეთიდან წავედი არა ექვსი წლისა, არამედ ოცი წლის წინათ. ძალიან გაახალგაზრდავდა ჩვენი ქვეყანა. სახლები ძველია, ადამიანები კი საუცხოვოდ ახლდებიან... უკვე 4 წელიწადია, რაც მე ახალგაზრდული სულით ვეცნობი: მარტო მე კი არა, არამედ ბევრი სხვაც. ეს ახალგაზრდული სული აქედან მომდინარეობს (ხელს იშვერს ნორჩი აუდიტორიისაკენ). ამხანაგებო, გისურვებთ სულის სიხალისეს. მეტს ველარაფერს ვიტყვი".

სიტყვები წარმოსთქვეს კიდევ ამხ. **ვოროშილოვმა**—წითელი არმიის სახელით, **ლუნაჩარსკიმ**—განათლების სახალხო კომისარიატის მხრივ, **კრუპსკაიამ, პოკროვსკიმ** და **კალინინმა** (ადს).

# პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის იუბილესათვის

**მოსკოვი**, 29 მაისი. ცეკას პარტისმა ადგილობრივ პარტიებს დაუგზავნა წერილი, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ დაიწყონ მზადება პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის იუბილეს კამპანიის ჩასატარებლად.

წერილში აღნიშნულია, რომ კამპანია უნდა ჩატარდეს 1900—1904 წლის ეპოქის ფართო და ყოველმხრივი გაშუქების თვალსაზრისით. კამპანიის ცენტრალური პუნქტი უნდა იქნეს „ისკრა"-ს პერიოდის გაშუქება და ლენინის როლის დახასიათება პარტიის შექმნაში და მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების ოპორტუნიზმთან ბრძოლაში.

ცეკას პარტისი იუბილისთვის ამზადებს ბროშურებს და თეზისებს მომხსენებელთათვის (ადს).

# შახტის პროცესი

### 28 მაისის საღამოს სხდომა

### კორპაკოვას ჩვენება

**მოსკოვი**, 29 მაისი. სასამართლომ დაჰკითხა დამცველების მიერ გამოწვეულ მოწმე **კორპაკოვას**.

თავმჯდომარის კითხვაზე, რა იცის მან შახტის ორგანიზაციის საქმის შესახებ, კორპაკოვა უპასუხებს:

„მე არ ვიცი".

დამცველი **კოროლენკო** ეკითხება მოწმეს—იცნობს თუ არა ის შინა მოსამსახურეს პოლინა მეშჩანსკაიას, რომელიც ცხოვრობდა კოლოდუბთან.

„პელაგეა ბიელვას, რომელიც მოჰკლეს, ვიცნობდი,—უპასუხებს მოწმე—ის შინა მოსამსახურეთ ჰყავდათ პოტატუევებს".

ბრალმდებელ ამხ. **კრილენკოს** კითხვაზე მოწმე უფრო გაურკვევლად უპასუხებს. მისი სიტყვით, პოლინას შესახებ მას მხოლოდ გაუგონია ზოგიერთი რამ, ხოლო პირადათ მას არ იცნობდა.

### ინჟენერ ნაშივოჩნიკოვის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ ინჟენერ **ნაშივოჩნიკოვის** დაკითხვაზე.

წინასწარ გამოძიების დროს ნაშივოჩნიკოვმა არ იცნო თავისი თავი დამნაშავედ დამზიანებელ მუშაობაში. და ეხლაც თავის ჩვენებებში ის ყოველმხრივ ცდილობს ხაზი გაუსვას იმას, რომ ის შორს იდგა დანარჩენ ბრალდებულებისაგან.

„მაგრამ ამავე დროს,—აღიარებს ბრალდებული,—მე უეჭველით უნდა ვყოფილიყავი მათი ამხანაგი, ვინაიდან კულტურული განვითარებით და სამსახურით ჩვენ უახლოვდებოდით ერთი მეორეს".

მიუხედავად ამისა, ნაშივოჩნიკოვი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ მას იდეოლოგიის მხრივ არაფერი საერთო არ ჰქონდა ინჟენერების დანარჩენ ჯგუფთან, რომელიც საბრალდებლო სკამზე ზის.

მაშ რით ხსნის ნაშივოჩნიკოვი თავის მონაწილეობას მუშაობაში, რომელიც შემდეგში საზიანო აღმოჩნდა?

„ჩემი საწარმო სტაჟი,—ამბობს ნაშივოჩნიკოვი,—მეტად უმნიშვნელო იყო, ამიტომ ჩემს გარშემო მყოფი ინჟენერები ჩემი საწარმოო მასწავლებლები იყვნენ. მე ვხედავდი ზოგიერთ შეცდომებს, მაგრამ სრულიადაც არ მოფიქრია, რომ ადგილი ჰქონდა საზიანო მუშაობას".

ნაშივოჩნიკოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ, ის შეიძლება დამნაშავე იყოს მხოლოდ იმაში, რომ შეუგნებლად ხელს უწყობდა საზიანო მუშაობას.

იწყება ბრალდებულის დაკითხვა მხარეების მიერ. **კრილენკო** მთელი რიგი კითხვებით ცდილობს გამოარკვიოს—მართლა გამოიხატებოდა თუ არა ნაშივოჩნიკოვის ბოროტმოქმედება დამზიანებელთა მუშაობისათვის შეუგნებლად ხელის შეწყობაში, თუ ის შეგნებულად აწარმოებდა საზიანო მუშაობას.

სასამართლო აქვეყნებს ზოგიერთ მოწმეების ჩვენებას იმის შესახებ, რომ ნაშივოჩნიკოვი საბჭოთა ხელისუფლებას მოურიდებლად უწოდებდა „ხულიგნების ხროვას" და სხვ. ერთ-ერთმა მუშამ შემთხვევით მოისმინა მისი ლაპარაკი მის თანაშემწე კონსტენკოსთან. ლაპარაკში ნაშივოჩნიკოვი პირდაპირ აცხადებდა, რომ მონაწილეობას იღებს მაღაროების დანგრევაში კონტრ-რევოლიუციონური მიზნით. სხვა ჩვენებებიდან სჩანს, რომ ნაშივოჩნიკოვი ლაპარაკობდა სხვადასხვა დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც წინ ეღობება საბჭოთა ხელისუფლებას ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამ დაბრკოლებებიდან მას გამოჰყავდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული და საზიანო დასკვნები.

ბრალდების შუამდგომლობით ხდება ნაშივოჩნიკოვის დაპირისპირება ბრალდებულ კალგანოვთან, სამოილოვთან და ბაბენკოსთან.

**ბაბენკო** პირდაპირ ამბობს, რომ მან ნაშივოჩნიკოვი ჩააბა საზიანო მუშაობაში და რომ ნაშივოჩნიკოვი ასრულებდა ორგანიზაციის ყველა დავალებებს.

**სამოილოვი** აცხადებს, რომ უწესრიგობა ნაშივოჩნიკოვის მაღაროში არის შედეგი მისი გეგმიანი მუშაობისა ორგანიზაციაში, საზიანო მუშაობისათვის ის ფულს ღებულობდა.

**სამოილოვი, კალგანოვი** და **ბაბენკო** ნაშივოჩნიკოვს თავის თანამოაზრეთ სთვლიან.

**ნაშივოჩნიკოვი** ყველა ამ ჩვენებებს ყალბათ სთვლის.

ნაშივოჩნიკოვის დაკითხვა გრძელდება საღამოს 10 საათამდე და გრძელდება შემდეგ სხდომაზეც.

# აზერბეიჯანის ცაკის სესია

### მისალმებები

**სტეპანაკერტი**, 29 მაისი. აზერბეიჯანის ცაკის სესიის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა რესპუბლიკის შორეული რაიონებიდან ჩამოსული მუშებისა და გლეხების დელეგაციების მისალმებანი. სამხრეთის მუშათა და რკინის გზელთა დელეგაციის სახელით სესიას მიესალმა ამხ. განდილიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ აზერბეიჯანის ცაკის სესიის მოწვევა სტეპანაკერტში, სადაც მოსახლეობენ სომხები, რომლებიც აზერბეიჯანში შეადგენენ ეროვნულ უმცირესობას, ერთხელ კიდევ მოწმობს ეროვნული მშვიდობიანობის სიმტკიცეს და შეურყევლობას.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სესიის სხდომის თავმჯდომარემ ამხ. **ეფენდიევმა**, რომელმაც სთქვა: „ამჟამად ჩვენ ნათლად დავრწმუნდით, რომ ეროვნულმა მშვიდობიანობამ როგორც აზერბეიჯანში, ისე მთელ ამიერ - კავკასიაში ნამდვილი მტკიცე ბაზა მოიპოვა. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ეროვნულ შუღლს ამ.-კავკასიის ერებს შორის და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მშრომელთა ერთობას. ახლანდელი სესიის მოწვევა აზერბეიჯანის ავტონომიური ოლქის ცენტრში ამ ერთობის სიმბოლოს წარმოადგენს".

ამხ. ეფენდიევის სიტყვის და სხვა დელეგატების მისალმებას მხურვალე ტაშით შეხვდნენ (ადს).

### სესიის წევრები შუშაში

**სტეპანაკერტი**, 29 მაისი. 28 მაისს საღამოთი აზერბეიჯანის მთავრობის წევრები და აგრეთვე აზერბეიჯანის ცაკის სესიის დელეგატები ჩავიდნენ შუშაში, სადაც დაათვალიერეს ქალაქი. შემდეგ გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც სესიის წევრებს მიესალმენ თურქი და სომეხი გლეხები და აღნიშნეს, რომ ყარაბაღში სრული ეროვნული სოლიდარობა და მშვიდობიანობა დამყარდა. მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა შუშის ქალაქის საბჭოს და აზერბეიჯანის ცაკის სესიის წევრთა გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხალილოვის მოხსენება შუშის და მისი რაიონის მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ალამალი - ოღლის და გრიგორიანის სიტყვის შემდეგ გაერთიანებულმა სხდომამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი შუშის და მისი რაიონების მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ადს).

# ავღანისტანის ფადიშახის შესახვედრად

### მთავრობის კომისიის გამგზავრება ბათომში

**გუშინ**, საღამოს ავღანისტანის ფადიშახის შესახვედრათ თბილისიდან ბათომში გაემგზავრა მთავრობის კომისია, რომელშიაც შედიან: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ - კავკასიაში ამხ. **კარკლინი**, საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ს. ჯუღელი**, ა.-კ. ცაკის მდივანი ამხ. **შავერდოვი**, საქ. ცაკის მდივანი ამხ. **შ. მათიკაშვილი**, კავკასიის წითელდროშ. არმიის უფროსი ამხ. **ალაფუზო** და ა.-კ. რკ. გზების გამგეობის წევრი ამხ. **ლევაზოვი**.

კომისიის ორი წევრი — ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. **გუსეინოვი** და ა.-კ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **პოზდეევი** ბათომში გაემგზავრება დღეს საღამოს.

ფადიშახს ბათომში მოელიან 1-ლ ან 2 ივნისს. ბათომში მცირე ხნით შეჩერების შემდეგ ფადიშახი საგანგებო მატარებლით გამოემგზავრება თბილისისაკენ, ხოლო შემდეგ ბაქოში და იქიდან სპარსეთში.

შეჩერდება თუ არა ფადიშახი თბილისში ეს გამოირკვევა მისი ბათომში ჩამოსვლისას.

### ავღანისტანის ელჩი ამხ. შ. ელიავასთან

ავღანისტანის ელჩი **მირზა - მუხამედ-ხანი**, რომელიც გუშინწინ ჩამოვიდა თბილისში, ესტუმრა ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. ელიავას**, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

დარბაზობას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერკავკასიაში ამხ. **კარკლინი**.

### ავღანისტანის საელჩოს წარმომადგენლების გამგზავრება

თბილისიდან ბათომში გაემგზავრნენ ავღანისტანის საელჩოს წარმომადგენლები საბჭოთა კავშირში, რომლებიც ერთი დღის წინად ჩამოვიდნენ მოსკოვიდან თბილისში.

საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად გაემგზავრა აგრეთვე ელჩი ბ. **მირზა - მუხამედ-ხანი**.

### სპარსეთის საქმეთა რწმუნებულის ჩასვლა ბათომში

ბათომში ჩავიდა სპარსეთის საქმეთა რწმუნებული ბ. **ნურზადი**, რომელიც შეხვდება ავღანისტანის ფადიშახს.

# თათბირი საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაობის შესახებ

გუშინ საღამოს სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა საბჭოთა ძირითად ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გამოცხადდნენ თემ-საბჭოების თავმჯდომარეები და სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები. თათბირის დღის წესრიგში დასმულია ორი საკითხი: 1) მოხსენებები ადგილებიდან და 2) მოხსენება საბჭოების მუშაობისა და ამოცანების შესახებ.

# მოხსენებები ადგილებიდან

პირველ სხდომაზე დაიწყო მოხსენებების მოსმენა ადგილებიდან. პირველი მოხსენება გააკეთა ბაბუშერის თემსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კალანდიამ.

## ბაბუშერის თემსაბჭოს მუშაობა

### (მომხსენებელი ამხ. კალანდია)

ბაბუშერის თემი მდებარეობს აფხაზეთის რესპუბლიკაში. თემი შესდგება 600 კომლისაგან. უკანასკნელი არჩევნების დროს არჩეულ იქნა თემსაბჭო 54 წევრის შემადგენლობით. საბჭოს წევრთა უმრავლესობას წარმოადგენს ღარიბი და საშუალო გლეხობა. პარტიულებისა და კომკავშირელთა რიცხვი უდრის 18-ს. საბჭოში არჩეულია 6 ქალი. არსებობს ორი სექცია: კულტურულ-საგანმანათლებლო და საგზაო. საბჭოს პრაქტიკული მუშაობა მიმდინარეობს სექციების ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით. თემში, რომელშიაც სამი სოფელი შედის, არსებობს სამი სკოლა, რომელსაც მეთვალყურეობას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია. ამ სამი სკოლიდან ერთი შვიდწლედია. სექციის თაოსნობით სასკოლო შენობებს გაუკეთდა რემონტი, ხოლო შვიდწლედისათვის აგებულ იქნა ახალი შენობა. შენობის ასაგები თანხის ნაწილი—8.500 მანეთი,—შეკრებილ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, ხოლო ნაწილი 5 ათასი მანეთი გაიღო აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარიატმა. თემში არსებობს აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი და სამკითხველო, მათი მუშაობაც მიმდინარეობს განათლების სექციის ხელმძღვანელობით.

საგზაო სექციის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: შეკეთებულია საურმე გზები 30 ვერსის სიგრძეზე და გაყვანილია ახალი საურმე გზა სიგრძით 11 ვერსი. საბჭოს გამომუშავებული აქვს მუშაობის წლიური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს უმთავრესად კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხების მოწესრიგებას და საგზაო და სხვა ხასიათის სამშენებლო მუშაობას. საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით და მისი აქტიური მონაწილეობით მუშაობენ კოოპერატივი, სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობა, გლეხკომი და საექიმო დახმარების პუნქტი. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები საბჭოში შედიან წევრებად და დროგამოშვებით აკეთებენ მოხსენებას თავიანთი მუშაობის შესახებ. კოოპერატივს თემში ჰყავს 300-მდე წევრი. უკანასკნელ ხანებში კოოპერატივის მნიშვნელობა მასებში იზრდება და დღითი-დღე მატულობს წევრთა რიცხვი. სამომხმარებლო კოოპერატივის გარდა თემში არსებობს მეთამბაქოეთა ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს ჩვენი თემის მკვიდრთა გარდა, ხუთი რაიონის მეთამბაქო გლეხებსაც. ნაყოფიერად მუშაობს სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც გლეხებს აწვდის გრძელვადიან სესხს თამბაქოს მეურნეობის განსავითარებლად. გლეხკომი აერთიანებს ღარიბ გლეხობას, რომელიც მისი მუშაობით კმაყოფილია. წინად მას ჰქონდა ნაკლოვანებანი, მაგრამ ახალი გამგეობის არჩევის შემდეგ მისი მუშაობა სავსებით გამოსწორდა. გლეხკომი ნივთიერ დახმარებას უწევს ქვრივ-ობლებს და ღარიბ გლეხებს. დამაკმაყოფილებელია აგრეთვე მუშაობა საექიმო პუნქტისა, რომელიც უფასოდ მკურნალობს ღარიბ მოსახლეობას. თემსაბჭოს მიერ თავის დროზე სრულდება ცენტრის განკარგულებანი. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მიმდინარე წელს შეკრებილია სრულიად (6.400 მანეთი), გადასახადიდან სავსებით განთავისუფლებულია გლეხობის უღარიბესი ნაწილი. თემსაბჭოს მიერ გავრცელებულია საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხი 1.900 მანეთის რაოდენობით. საბჭოს მუშაობიდან აღსანიშნავია აგრეთვე ის დახმარება, რომელსაც იგი უწევს სენაკის მაზრიდან ჩამოსულ მოიჯარადეებს. საბჭო აწყობს მათ სამუშაოებზე და იცავს მათ ინტერესებს. თვითდაბეგვრას საბჭო მიმართავს განსაკუთრებულ შემთხვევებში, უმაღლეს ორგანოების ნებართვით. მაგალითად, თვითდაბეგვრის საშუალებით შეგროვილ იქნა სასკოლო შენობის ასაგები თანხა.

საბჭოს მჭიდრო ორგანიზაციული ურთიერთობა აქვს აფხაზეთის და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, რომლებიც საბჭოს მუშაობაზე ხელმძღვანელობის გასაწევად გზავნიან ინსტრუქტორებს და ხშირად თვით ცაკის წევრებიც ჩამოდიან ადგილზე. ამ ორი თვის წინად საბჭომ ჩაატარა საანგარიშო კამპანია. ამორჩეულ გლეხობას საანგარიშო მოხსენებით წარუდგნენ საბჭოს პრეზიდიუმის წევრები. მიუხედავათ ამ მიღწევებისა საბჭოს აქვს ნაკლოვანებანიც, რომელთა შორის აღსანიშნავია ქალების სუსტი მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში, ტყის დაუცველობა და უუნარობა კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საქმეში.

## გურჯაანის თემსაბჭო

### (მომხსენებელი ამხ. ხუხუნაშვილი)

გურჯაანის თემი, სიღნაღის მაზრაში ერთი ძლიერი თემთაგანია, სადაც 2.180 კომლამდე მოსახლეობს. კომლთა უმრავლესობა მისდევს მევენახეობას და პურეულის კულტურის მოყვანას. თემსაბჭოში შედის 165 წევრი. საბჭოს 1927—28 წ. ბიუჯეტი უდრის 48 ათასს მანეთს. გასულ წელს კი იგი უდრიდა 11 ათას მანეთს. საბჭოს წევრთა დიდ ნაწილს შეადგენენ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები. საბჭოს გამოყოფილი აქვს 7 სექცია: სამშენებლო, საგზაო, კოოპერატიული, საფინანსო, განათლების და სასოფლო-სამეურნეო, სანიტარული. სამშენებლო სექციის მიერ შეკეთებულია სასკოლო შენობები და დაწყებულია სახალხო სახლის აგება. თემში არსებობს 5 ოთხწლედი და ერთი შვიდწლედი. მოწაფეთა რიცხვი უდრის 1000-ს, ხოლო მასწავლებლებისა 22-ს. განათლების სექცია ვერ იჩენს მუშაობის უნარს; როგორც სასწავლებლების, ისე სხვა კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა მიმდინარეობს ამ სექციის ხელმძღვანელობის გარეშე. უფრო მეტ თაოსნობას იჩენს საფინანსო სექცია, რომლის მიერ საანგარიშო პერიოდში გარჩეულია 30 საკითხი. მისივე დახმარებით სრული ასი პროცენტით შეგროვილია სასოფლო - სამეურნეო გადასახადი. დამაკმაყოფილებელია საგზაო სექციის მუშაობა, მისი თაოსნობით შეკეთებულია საურმე გზები და სიღნაღ - თელავის გზატკეცილის ის ნაწილი, რომელიც ჩვენი თემის ტერიტორიაზე გადის. ყველა სექციებზე უფრო მეტ აქტივობას იჩენს სასოფლო-სამეურნეო სექცია, რომელიც, მის მიერ ჩატარებულ მუშაობის მიხედვით, ჩვენი თემსაბჭოს საუკეთესო სექციად უნდა ჩაითვალოს. ამ სექციის თაოსნობით და მისი აქტიური ხელმძღვანელობით თემში დაარსებულია 4 სამიწადმოქმედო არტელი, მებამბეთა არტელი და მევენახეთა ამხანაგობანი. სექციას მჭიდრო კავშირი აქვს აგრონომიულ პუნქტთან, სადაც მუდმივად მუშაობს აგრონომი, რომელიც გლეხებს შორის აწარმოებს საუბრებს და აძლევს მათ რჩევა - დარიგებებს სხვადასხვა სამეურნეო საკითხებზე. ამავე სექციის მონაწილეობით ტარდება ვენახების და ნათესების სავალდებულო დაზღვევა. გასულ წელს ჩატარებულია აგრეთვე საქონლის აცრა ჭირის წინააღმდეგ. წელს, დიდი ზამთრის გამო, თემში გაწყდა 860 სული საქონელი. სექცია ღებულობს ზომებს ამ დანაკლისის შესავსებად. ამ მხრივ დიდ შეღავათს აძლევს სოფელს ორი ტრაქტორი, რომელიც 40 გლეხისაგან შემდგარ ამხანაგობის საკუთრებას შეადგენს. წევრების კუთვნილ სახნავ - სათეს მიწებს გარდა, ტრაქტორი შეღავათიან ფასებში უხნავს ყანებს გლეხობის ღარიბ ნაწილს. ყველა ზემოხსენებულ სამეურნეო ხასიათის მუშაობაში სასოფლო-სამეურნეო სექცია მხურვალე მონაწილეობას ღებულობს, რისთვისაც იგი, სექციათა შეჯიბრების დროს, დაჯილდოვებულ იქნა პრემიით, რომელიც მან გადასცა ერთ-ერთ სამიწადმოქმედო არტელს.

თვალსაჩინოა აგრეთვე კოოპერატიული სექციის მუშაობა, რომელიც ხელმძღვანელობს ადგილობრივ კოოპერატივს და საკრედიტო ამხანაგობას. ადგილობრივი კოოპერატივი საკმაო ძლიერი ორგანიზაციაა, რომლის წლიური ბრუნვა 250.000 მანეთს უდრის. საპაიო თანხა აღწევს 14.000 მანეთს, ხოლო საკუთარი თანხა 27.000 მან., საკრედიტო ამხანაგობას შეგროვილი აქვს 18.628 მან. საპაიო თანხა და ერთი წლის განმავლობაში გაცემული აქვს გრძელვადიან სესხად 720.000 მანეთი.

თემში არსებობს გლეხკომი, რომლის ზრუნვის მთავარ საგანს შეადგენს ღარიბი და უპატრონო ქვრივ - ობლები. თემის საექიმო პუნქტზე მუშაობს ამბულატორია ერთი ექიმით და ერთი მეანე ქალით, რომლებიც შეძლებისდაგვარად საექიმო დახმარებას უწევენ მოსახლეობას. უღარიბესი გლეხობა თემსაბჭოს ხარჯზე ადგილობრივი აფთიაქიდან ღებულობს უფასოდ წამალს. დამაკმაყოფილებელია აგრეთვე ადგილობრივი ფოსტის მუშაობა. უვარგისია მხოლოდ ტელეფონის ხაზი. საბჭომ თავისი მუშაობის შესახებ დღემდე ჩაატარა ორი საანგარიშო კამპანია. სასოფლო კრებებზე მოხსენებით გამოვიდნენ საბჭოს წევრები.

# გ. ვ. პლეხანოვი

### (მისი გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო)



შესრულდა ათი წელიწადი, რაც გარდაიცვალა რუსეთის მარქსიზმის ერთი უდიდესი საფუძვლის ჩამყრელი, ერთ-ერთი მისი დამაარსებელი—**გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვი.** მისი ბედი მეტად ტრაგიკული გამოდგა. ადამიანი, რომელმაც პირველი საფუძველი ჩაუყარა რუსეთში სოც.-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც შეიქნა მუშათა კლასის პირველი მარქსისტი — იდეოლოგი, და რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თავს უყრიდა მუშებს, რევოლიუციის დროშის ქვეშ, — თავის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, როცა რუსეთში მუშათა რევოლიუციამ გაიმარჯვა და სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატმა ჩაიგდო ხელში,—მუშათა კლასისაგან დარჩა სრულიად გარიყული და მუშებისაგან დავიწყებული. იგი გარდაიცვალა არა საბჭოთა რუსეთში, არამედ თეთრ ფინლიანდიაში და მის გასვენებას დაესწრნენ მენშევიკებთან ერთად მუშ. კლასის ისეთი მტრები, როგორიც არიან მილიუკოვი, ალექსინსკი, კერენსკი და სხვები. როგორ მოხდა ეს? საერთაშორისო სოციალიზმის ისტორიაში ჩვენ ვიცით ბევრი ამგვარი გარდაქმნა და ღალატი მუშათა კლასის მიმართ. მაგრამ პლეხანოვის მაგალითი ამ მხრით სრულიად განსაკუთრებული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ პლეხანოვმა თავის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში უღალატა რევოლიუციონურ მარქსიზმს და უდიდესი სოციალისტური რევოლიუციის ხანაში (ოქტომბრის რევოლიუცია) მუშათა კლასთან ყოფნას ამჯობინა ბურჟუაზიასთან კავშირი, — მიუხედავად ამისა რუსეთის და საბჭოთა მთელი კავშირის მუშები მას მაინც ვერ დაივიწყებენ. პლეხანოვს აქვს მეტად დიდი დამსახურება არა თუ საკავშირო მუშათა კლასის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშეც. ჩვენ ვაფასებთ ღირსეულად ყველა მის დამსახურებას რევოლიუციის და მუშათა კლასის წინაშე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ გადაჭრით ვამხილებთ ყველა მის შეცდომებს და ყალბ ნაბიჯებს.

ამ პატარა წერილში მე მინდა, რაც შეიძლება მოკლედ გავაშუქო პლეხანოვის როლი მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის გარიჟრაჟზე ყოფილ რუსეთის იმპერიაში და შემდეგშიაც, როცა ამ მოძრაობამ უკვე ფეხი მოიკიდა და გაიზარდა მაშინდელ სინამდვილეში; და ამასთანავე მე შევეცდები, გავარკვიო ის, თუ რათ მოხდა, რომ, როცა მუშათა მოძრაობა მაშინდელ რუსეთში გარდაიქცა უდიდეს რევოლიუციად, ასეთ უდიადეს მომენტში გ. პლეხანოვი, ერთ დროს ამ მოძრაობის ერთ - ერთი უდიდესი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელთაგანი,—ეს შეუდარებელი რევოლიუციონერი — მარქსისტი და დიალექტიკი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასე შესამჩნევად ებრძოდა რევოლიუციონური მარქსიზმის ყოველგვარ გადამახინჯებას და ყოველგვარ ოპორტიუნიზმს, — აი სწორედ ეს ადამიანი ასეთ დროს არა თუ უკან ჩამორჩა რევოლიუციას, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობდა, არამედ იგი აღმოჩნდა მუშათა რიგების გარეშე, და თუ სრულებით არა, სანახევროდ მაინც მუშათა კლასის მტრების ბანაკში. ეს მეტად სამწუხარო გარემოებაა, მაგრამ ეს ფაქტია. რა თქმა უნდა, ჩვენ ცრემლებს არ ვღვრით ამის გამო, ჩვენ მხოლოდ უნდა შევეცადოთ ამის გაგება.

გ. ვ. პლეხანოვმა დაიწყო რევოლიუციონური მოღვაწეობა, გასული საუკუნის მესამოცდაათე წლების მეორე ნახევრიდან, როგორც „ნაროდნიკმა—ბუნტარმა", რომელიც სავსებით იზიარებდა ბაკუნინის „ბუნტარულ" თეორიას და პრაქტიკას; ეს თეორია მდგომარეობდა ხალხის, ე. ი. გლეხკაცობის უშუალოთ აჯანყების მოწყობაში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. რამდენიმე წლის განმავლობაში პლეხანოვი, როგორც მეტად ნიჭიერი და კარგად მომზადებული ახალ- უშუალო და აქტიურ მონაწილეობას; ნაროდნიკების იატაკ ქვეშ მებრძოლ ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდებოდა **„მიწა და თავისუფლება"** (**„Земля и Воля"**), და როცა 1879 წელს ნაროდნიკების ორგანიზაცია ორ ნაწილად გაითიშა: ერთი მხრით **„სახალხო თავისუფლება"**, ჟელიაბოვის და პეროვსკაიას მეთაურობით, რომელიც რევოლიუციის მოხდენის მიზნით **პოლიტიკური ტერორის გზას** დაადგა, და მეორე **„შავი გადაყოფა"** (**„Черный передел"**), ე. ი. ყველა მიწების ხელ-ახალი დაყოფა გლეხკაცობის საყოველთაო აჯანყების მეოხებით. პლეხანოვი, ზასულიჩი და დეიჩი მიემხრნენ ამ უკანასკნელს. მაგრამ ეს იყო სულ მცირე ჯგუფი, თითქმის ყოველივე გავლენას მოკლებული. რევოლიუციონერების დიდი უმეტესობა, მაშინ ემხრობოდა „სახალხო თავისუფლების" პარტიას, რომელმაც პოლიტიკური ტერორის საშუალებით გამოუცხადა რომანოვების თვითმპყრობელობას თავგანწირული გმირული ბრძოლა, რითაც მან მეტად დიდ საგონებელში ჩააგდო მთელი მაშინდელი საზოგადოება. პლეხანოვს და მის ჯგუფს მუშაობისათვის ნიადაგი აღარ ქონდათ რუსეთში. ამიტომ 1880 წლის დასაწყისში პლეხანოვი დატუსაღების თავიდან აცილების მიზნითაც იძულებული შეიქნა გაქცეულიყო საზღვარგარეთ, სადაც იგი ამას შემდეგ რჩება თითქმის სამუდამოდ, და ამ გარემოებას არ შეეძლო შემდეგში არ მოეხდინა საბედისწერო გავლენა პლეხანოვზე.

აქ უნდა აღვნიშნოთ, კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ქონდა პლეხანოვის ნაროდნიკულ შეხედულებათა შეცვლაში და იმავე დროს მარქსისტულ მსოფლმხედველობის შეთვისებაში. როგორც ვთქვით, თავდაპირველად პლეხანოვი იყო ნაროდნიკი, რომელიც მთელ თავის იმედებს გლეხების აჯანყებაზე ამყარებდა და მთელი მისი ყურადღება, მაშასადამე, მიპყრობილი იყო გლეხებისაკენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ძალაუნებლიეთ უხდებოდა საქმის დაჭერა პეტროგრადის მუშებთან, რომლებშიაც იმ ხანებში უკვე ხდებოდა ერთნაირი გარდატეხა, რადგანაც თავისი მეტად სავალალო ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იმათ უხდებოდათ გაფიცვების მოწყობა მექარხნეებისა და ფაბრიკანტების წინააღმდეგ. უკვე იწყებოდა **მუშების ბრძოლა** ჯერ მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. მაგრამ ეს ბრძოლა



გ. ვ. პლეხანოვი 1876 წ.

ძალაუნებურად იწვევდა მუშებში პოლიტიკურ შეგნებას, პოლიტიკური ბრძოლის აღმართვის საჭიროებას, თუნდაც მარტო ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშებში იმ დროს უკვე იყო რამდენიმე ცდა სხვადასხვა ადგილას (პეტერბურგში, ოდესაში და სხვ.) თავისი **საკუთარი ორგანიზაციების** შესაქმნელად, რომლებიც თავის **პროგრამით და მიზნით** რამდენიმედ უახლოვდებოდენ **სოციალდემოკრატიას**, რომელშიაც იმ დროის ყალიბდებოდა მარქსიზმი. არ უნდა დავივიწყოთ აქ ის გარემოებაც, რომ მუშათა კლასი იძლეოდა უკვე მაშინ თავის წიაღიდან ისეთ რევოლიუციონერ — გმირებს, როგორიც იყვენ **ალექსეევი, ობნორსკი, ხალტურინი** და მრავალი სხვები. მაგრამ მაშინდელი რევოლიუციონური ინტელიგენცია, რომელიც აწარმოებდა გაცხარებულ რევოლიუციონურ პროპაგანდა - აგიტაციას, გლეხკაცობაში, ან სრულებით არავითარ ყურადღებას აქცევდა მუშებში აგიტაცია - პროპაგანდის წარმოებას, ან და თუ აქცევდა, ეს ყურადღება იყო მეტად მცირე და უმნიშვნელო. მაგრამ შედეგი რევოლიუციონური პროპაგანდა - აგიტაციისა გლეხკაცობაში და მუშებში იყო სრულებით სხვადასხვა. მაშინ როცა გლეხობა ამ პროპაგანდა-აგიტაციას მაშინ მეტად გულგრილად, ალმაცერად და ხანდახან პირდაპირ უარყოფით ხვდებოდა, და, მაშასადამე, ეს პროპაგანდა - აგიტაცია უკეთეს შემთხვევაში უნაყოფოთ რჩებოდა, მუშებში, პირიქით, რევოლიუციონური პროპაგანდა - აგიტაცია პოულობდა მეტად **ნოყიერ ნიადაგს**. ეს აშკარად ჩანდა, მაგრამ ნაროდნიკებისთვის ქალაქის მუშებს მხოლოდ იმდენად ქონდათ მნიშვნელობა, რამდენადაც იმათი გამოყენება შეიძლებოდა გლეხებში პროპაგანდის და აგიტაციის გასაწევად, და თუ მიდიოდენ მათთან, მხოლოდ ამ მიზნით. ამ მიზნით მიდიოდა იმ ხანებში მუშებთან პლეხანოვიც, მაგრამ მაშინ მისთვის სრულიად გაუგებარი იყო მუშათა საკითხი, მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა, და მხოლოდ შემდეგში, როცა პლეხანოვმა სძლია ნაროდნიკულ მსოფლმხედველობას და შეითვისა მარქსიზმი, იგი იგონებს ამ ამბავს დასამტკიცებლად ნაროდნიკების სრული უნიადაგობისა ცხოვრებაში. სამაგიეროდ ამ ცდამ მას მომავალში გაუადვილა ბრძოლა თვით ნაროდნიკებთან. საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ პლეხანოვი რუსეთის სინამდვილეს სცილდება, ამით პრაქტიკული მუშაობის პირობებიც იცვლება. იგი ეძლევა ღრმა ფიქრებს რუსეთის რევოლიუციის ბედ - იღბალზე და იძულებული ხდება შეაფასოს მთელი ნაროდნიკული მსოფლმხედველობა. რა თქმა უნდა ამ მიზნით პლეხანოვი ჩქარა შეუდგა **მარქსიზმის უფრო ღრმად შესწავლას**, რომელსაც იგი რამდენიმედ წინეთაც იცნობდა. მთელ ამ მუშაობას ის შედეგი მოყვა, რომ პლეხანოვის მსოფლმხედველობაში ჩქარა ხდება ძირითადი გარდატეხა და იგი თანდათან შორდება ბუნტარულ - ნაროდნიკულ პარტიას და ბოლოს გადაჭრით ითვისებს მარქსის მოძღვრებას.

შეუძლებელია აქ დაწვრილებით შეჩერება იმაზე, თუ რა გააკეთა პლეხანოვმა რუსეთში მარქსიზმის დანერგვის საქმეში, თუ როგორ შეუწყო ხელი მარქსისტულ იდეების გავრცელებას მუშათა კლასში, თუ როგორ მოუმზადა ნიადაგი **რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის შექმნას**, თუ რა ნიჭიერად და ბრწყინვალედ დაამარცხა მან მთელი ნაროდნიკული ბანაკი (ნიკოლაი — ონ, ვორონცოვი, მიხაილოვსკი, კრივენკო და ძმანი მათნი). აქ მისი ღვაწლი დაუფასებელია. არავის არ შეეძლო იმ დროს ამ ამოცანის ისე ბრწყინვალეთ შესრულება, როგორც ეს შეძლო პლეხანოვმა. 1883 წელს **პლეხანოვი, ლ. დეიჩი, პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი** და **ვ. იგნატოვი** აარსებენ ჟენევაში **„შრომის განთავისუფლების ჯგუფს"**, **პირველ სოციალ - დემოკრატიულ, ანუ მარქსისტულ ორგანიზაციას**, რომლის დანიშნულებას შეადგენდა რუსეთში მარქსის იდეების გავრცელება. „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" დაარსების წინ პლეხანოვმა გამოაქვეყნა თავისი პირველი მარქსისტული ნაწარმოები **„სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა"**; 1885 წელს მან გამოაქვეყნა დიდი წიგნი სათაურით **„ჩვენი უთანხმოებანი"** („Наши разногласия"), სადაც იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მთელ ნაროდნიკულ „ფილოსოფიას" და სადაც იმავე დროს არკვევდა სოციალ - დემოკრატიის პროგრამას. შემდეგ წლებში პლეხანოვი განუწყვეტლივ ეწეოდა როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ პრესაში მარქსიზმის პროპაგანდას და აგიტაციას. 1895 წლის დასაწყისში ლეგალურად დაიბეჭდა პლეხანოვის წიგნი (ბელტოვს ფსევდონიმით) **„ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების შესახებ"** («К вопросу о развитии монистического взгляда на историю»). ალბად დღესაც ბევრს ახსოვს, თუ რა გავლენა იქონია მკითხველებზე ამ წიგნმა. ნაროდნიკებს სამუდამოდ ამ წიგნმა მოსტეხა ხერხემალი და გაუფუჭა სახელი. აქ საუცხოვოდ იყო ახსნილი და განმარტებული **დიალექტიური მეთოდი და ისტორიის მატერიალისტური გაგება**, — ყოველივე ეს არსებითად მიმართული იყო იმდენად არა ნაროდნიკების, რომლებიც იმ დროს ისედაც დამარცხებულნი იყვნენ, არამედ უფრო არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ; და ამას, რა თქმა უნდა, ყველანი კარგად ხედავდენ. თავისი ლიტერატურული შრომით პლეხანოვი ამზადებდა ნიადაგს რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის შესაქმნელად. თავისი ნაწერებით მან გაავრცელა მარქსისტული იდეები მუშათა ფართო მასაში, და მოამზადა ახალგაზრდა მარქსისტების მთელი თაობა. ამავე დროს დიდი ხნის განმავლობაში იგი იყო რევოლიუციონური მარქსიზმის ნამდვილი გამომხატველი და მოციქული. ასე, მაგ., როცა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსეთში სოც.-დემოკრატების ერთ ნაწილში თავი იჩინა **ოპორტიუნისტულმა მიმართულებამ** ეგრედწოდებულ **„ეკონომიზმის"** სახით, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმს და წარმოადგენდა საშიშროებას ახლად გაფურჩქვნილ მუშათა მოძრაობაში არევ-დარევის შეტანით, პლეხანოვი **ლენინთან** ერთად დაუზოგველად შეებრძოლა ამ მავნე მიმდინარეობას, რომელიც ჩქარა სასტიკად დამარცხდა, დროებით მაინც. იმავე დროს პლეხანოვი ებრძოდა მარქსის რევოლიუციონური მოძღვრების გადამახინჯებას საზღვარ-გარედაც. სწორედ იმ ხანებში გერმანელ სოც.-დემოკრატმა **ბერნშტეინმა** გამოაქვეყნა წიგნი „სოციალიზმის წინა პირობები" („Предпосылки социализма"), სადაც ამტკიცებდა კლასობრივი ბრძოლის თანდათან მორბილებას და აყენებდა მარქსიზმის თვალთახედვის წერტილად სრულიად დაუშვებელ დებულებას: „მოძრაობა ყველაფერია, ხოლო საბოლოო მიზანი არაფერიო". პლეხანოვმა, იგრძნო რა, თუ რა მავნე შედეგი მოყვებოდა მარქსიზმს ასეთ გადამახინჯებას, დაუყოვნებლივ გაილაშქრა ბერნშტეინის ახალი რევიზიონისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ ნემეცურ ჟურნალ „Neue Zeit"-ში პლეხანოვის კრიტიკამ დიდი გავლენა მოახდინა რევოლიუციონური მარქსიზმის სასარგებლოდ და ბერნშტეინის რევიზიონისტულ შეხედულებათა საზიანოდ. შემდეგ როგორც ვიცით, დაწყებული 1900 წლიდან, ვიდრე 1903 წლის ნახევრამდე, ე. ი. გაზ. „ნაპერწკლის" („ისკრა") დაარსებიდან **პარტიის მეორე ყრილობამდე** პლეხანოვი და ლენინი სოლიდარულად მუშაობდენ ერთად როგორც „ნაპერწკლის" რედაქციაში, ისე ეკონომიზმის წინააღმდეგ კამპანიაში. ისინი ერთად ეწეოდენ მეორე ყრილობის სამზადისს, და თვით ყრილობაზე პლეხანოვმა მხარი დაუჭირა პარტიის პროგრამის და წესდების მიღების დროს ლენინის წინადადებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამას შემდეგ მდგომარეობა იცვლება. პლეხანოვი ჯერ იჩენს ორჭოფობას და რყევას და შემდეგ ეფლება ჭაობში, რაც ბოლოს იწვევს მის გათიშვას მუშათა კლასისა და რევოლიუციისაგან. რაში უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? გამოწვეული იყო ეს რაიმე შემთხვევით ან პირადული მიუკარებლობით, ე. ი. ერთად მუშაობის შეუძლებლობით? რა თქმა უნდა, რომ არა. ამას ჰქონდა უფრო ღრმა და სერიოზული მიზეზები. მეოცე საუკუნის დასაწყისში მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში გაიზარდა იმ ზომამდე, რომ ის ველარ ეტეოდა უბრალო გამოსვლების (გაფიცვების, დემონსტრაციების, პროტესტების და სხვ.) ჩარჩოებში. ეს მოძრაობა თავის განვითარებისთვის თხოულობდა **სხვა ფორმებს**, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ის ებჯინებოდა **შეიარაღებულ ბრძოლას, შეიარაღებული აჯანყების მოწყობას.** ამისთვის საჭირო იყო არა უბრალო ხელმძღვანელობა, ამისთვის საჭირო იყვნენ **ბელადები**, მჭიდროდ დაკავშირებულნი ხალხის იმ ფენებთან, რომლებიც თავის მდგომარეობით რევოლიუციისაკენ მიიწევდენ და მისწრაფოდენ მიუხედავათ იმისა, სურდათ მათ ეს რევოლიუცია, თუ არ სურდათ: რუსეთში იმ დროს რევოლიუციის სუნთქვა ისმოდა; ეს იყო სრულებით სხვა ატმოსფერა, რომელიც არ გავდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში შექმნილ მდგომარეობას. იქ როგორღაც „დაკანონდა" და „ჩვეულებად" გადაიქცა მუშათა პარტიების ჩამოყალიბება და მუშაობა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ჩარჩოებში. ამგვარად იქ დამყარდა ეგრედწოდებული „მშვიდობიანი ბრძოლის" ხანა, რასაც ბურჟუაზია ურიგდებოდა. ეს ქმნიდა ილიუზიებს მუშებში და ამ ილიუზიების გავრცელებას ხელს უწყობდენ მუშათა კლასის პარტიების— ე. ი. სოც.-დემოკრატიული წარმომადგენლები და ბელადები, რომლებიც მხოლოდ სიტყვით იცნობდენ რევოლიუციას და სინამდვილეში ამას ვერ ხედავდენ ან უკეთ ვერ ამჩნევდენ. აი სწორედ ასეთ პირობებში გაატარა პლეხანოვმა ორი ათეულ წელიწადზე მეტი და ისიც

# დღეს გაიხსნება კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობა

## კოლმეურნეობათა მშენებლობის დეფექტები და მათთან ბრძოლა

არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მსხვილ კოლექტიურ წარმოების ტიპს არც მიწის ტერიტორიის სივრცით და არც ამ მეურნეობებში გაერთიანებულ წევრების რიცხვით. ასეთ პირობებში ამ მეურნეობებს არ შეუძლიათ სრული დატვირთვით გამოიყენონ წარმოების ის მცირეოდენი საშუალებებიც კი, რომლებიც მოიპოება მათს განკარგულებაში და ამიტომ მათ არ ძალუძთ ნათელჰყონ ნამდვილად მსხვილი კოლექტიური წარმოების უპირატესობანი.

კოლექტიურ მეურნეობათა უმრავლესობა მუშაობას აწარმოებს უგეგმოდ და ამ მუშაობის შედეგების აღურიცხავად.

ასეთი მდგომარეობის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს კრედიტის არასწორი და მიზანშეუწონელი გამოყენება, მეურნ. საზარალო დარგების განვითარება, მეურნეობის შემოსავლიანობის შემცირება და განვითარების პერსპექტივების უქონლობა.

კოლექტიურ მეურნეობათა წევრების კულტურული და პოლიტიკური დონე მეტისმეტად დაბალია და ჩამორჩება წარმოების ახალ ფორმებს (რაც კიდევ უფრო აძლიერებს პრიმიტიულობას კოლექტიურ წარმოების ორგანიზაციაში და ასუსტებს კოლმეურნეობათა გავლენას გლეხურ მოსახლეობაზე).

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ურთულესი საკითხები—წევრების კუთვნილი საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება, კოლექტიურ შრომის მოწყობა, კოლექტიურ ყოფა-ცხოვრების ორგანიზაცია, გლეხობასთან დაკავშირების ფორმები და სხვა—კოლექტიურ მეურნეობებში სწყდება კოლმეურნეობათა მშენებლობის გამოცდილების მხედველობაში მიუღებლად, და ამ საკითხების არასწორი გადაჭრის გამო ხშირად ფერხდება კოლმეურნეობათა განვითარების მთელი პროცესი.

კოლმეურნეობათა, განსაკუთრებით უმარტივეს კოლმეურნეობათა, კავშირი კოოპერატიულ ორგანიზაციებთან პროდუქციის გასაღების საქმეში ძლიერ სუსტია და ხშირად შეიძლება შეხვდეთ ისეთ ფაქტს, რომ კოლმეურნეობები მუშაობენ კერძო მოვაჭრეებთან.

გასაღების საქმის მოუწესრიგებლობა აფერხებს კოლმეურნეობათა საქონლიანობის განვითარებას და აგრეთვე ასუსტებს მათ გავლენას გლეხურ მოსახლეობაზე.

ყველა ეს დეფექტები კოლმეურნეობათა მშენებლობაში აუცილებლად აფერხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და წევრთა მატერიალური და კულტურული დონის აწევას. ასეთ პირობებში წევრებს ეკარგება ინტერესი კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებაში, წევრთა აქტივობა და თვითმოქმედება ხშირად იქცევა კოლმეურნეობის პასიურ წევრობად, ან ეს აქტივობა იღებს ისეთ მიმართულებას, რომ მეურნეობის კოლექტიური ფორმები და კოლმეურნეობებისათვის დაწესებული შეღავათები გამოყენებულ იქნას წევრების ინდივიდუალური გამდიდრების მიზნებისათვის (განცალკევება მოსახლეობისაგან, დაქირავებულ მუშა-ხელის კაპიტალისტური გამოყენება, მიწის იჯარით გაცემა, მუშაობა კერძო კაპიტალის წარმომადგენლებთან და სხვ.). წარმოების განსაზოგადოების თანდათან გაძლიერებისა და განსაზოგადოებული მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე გადასვლის ნაცვლად კოლმეურნეობათა უმრავლესობა უკეთეს შემთხვევაში რჩება სტაციონარულ მდგომარეობაში და ხშირად ადგილი აქვს განსაზოგადოებულ საწარმოო საშუალებათა და წევრთა შრომის ხელახლა ინდივიდუალურად განაწილებას. წინააღმდეგობანი, რომლებიც იქმნება წევრთა შორის, მეურნეობისა და შრომის არასწორი ორგანიზაციის ნიადაგზე, იწვევენ წევრთა შემადგენლობის განუწყვეტელ ცვალებადობას და ხშირად ბოლოს უღებენ კოლმეურნეობას მთლიანად.

კოლექტიურ მეურნეობათა ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა, კოოპერატიული, საკრედიტო, პოლიტგანმანათლებელი და სხვა ორგანიზაციები სათანადოთ ვერ აწარმოებენ მუშაობას. ამ ორგანიზაციების მთელი მუშაობა კოლექტიურ მეურნეობათა დარგში მე-15 პარტყრილობამდე ატარებდა შემთხვევით ხასიათს. ასეთი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ ყველა ეს ორგანიზაციები კუდში მისჩანჩალებდნენ კოლმეურნეობათა მშენებლობას და კოლმეურნეობათა მშენებლობა სტიქიურად ვითარდებოდა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ არჩევდნენ კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხებს.

საკვირველი არ არის, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში ადგილი აქვს დეფექტებს. საკვირველი ისაა, რომ ყველა იმ სიძნელეთა მიუხედავად, რომლებიც დაკავშირებულია წვრილ გლეხურ მეურნეობის გადასვლასთან მსხვილ კოლექტიურ წარმოებაზე და მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ორგანიზაციები ამ საქმეს არ უწევდნენ ორგანიზაციულ-სამეურნეო დახმარებას, ღარიბ და საშუალო გლეხობის მოწინავე ელემენტების თვითმოქმედება არა თუ არ შესუსტდა, არამედ უფრო ფართოდაც ვითარდება.

კოლმეურნეობათა მშენებლობა, რომელიც გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენების მასიური მოძრაობის ხასიათს ღებულობს, არ შეიძლება დარჩეს ძველ მდგომარეობაში. ძირითად ამოცანას კოლმეურნეობათა მშენებლობაში ამჟამად წარმოადგენს აღნიშნულ დეფექტების აღმოფხვრა და გლეხობის თვითმოქმედების მიმართვა **ნამდვილად მსხვილ სოციალისტურ კოლექტიურ წარმოების** მოწყობის საზით. ამ ამოცანის გადაჭრა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია კოლმეურნეობათა მშენებლობის **ხელმძღვანელობის ორგანიზაციის** საკითხზე. კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ძირითადი საკითხის გადაუჭრელად პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები მიზანს ვერ მიაღწევს.

ამჟამად უკვე გვაქვს ერთგვარი გამოცდილება ამ ხელმძღვანელობის საქმეში. საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 16 მარტის დადგენილების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებში მოწყობილი კოლმეურნეობათა ცენტრების სისტემა (სასოფლო სამეურნეო კოლექტივების რესპუბლიკანური კავშირი ცენტრში და კოლმეურნეობათა წესდებიანი გაერთიანებანი—იმ ქალაქებში და გუბერნიებში, სადაც განვითარებულია კოლმეურნეობათა მშენებლობა) თანდათან ანხორციელებს ორგანიზაციულ-საწარმოო ხელმძღვანელობის გაწევას კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის.

კოლმეურნეობათა ცენტრების სისტემის ორგანიზაციულ განმტკიცებასთან ერთად აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება **კოლმეურნეობათა აქტივის და კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობის ხელმძღვანელ კადრის მომზადების საკითხს.** ამ მიზნით აუცილებელია მოეწყოს სხვადასხვა კურსები და სკოლები კოლმეურნეობების მუშაკთათვის და კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხი შეტანილ იქნას სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური სასწავლებლების პროგრამებში.

კოლმეურნეობათა ცენტრების სისტემამ წესდების მიხედვით უნდა გააერთიანოს კოლექტიურ მეურნეობათა ყველა სახეები (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, სახ.-სამ. არტელები და მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელი ამხანაგობანი), მაგრამ ამასთან ერთად უნდა განავითაროს მუშაობა საორგანიზაციო-საწარმოო ხელმძღვანელობისა და სამანქანო, სამელიორაციო და სხ. ისეთ ამხანაგობათა საწარმოო გაერთიანების დარგში, რომლებიც თავის მუშაობაში იყენებენ განსაზოგადოებულ საწარმოო საშუალებებს და შრომას.

მთელი ეს მუშაობა მხოლოდ მაშინ ჩატარდება წარმატებით, თუ **გეგმიან** სამეურნეო ნიადაგზე მოეწყობა კოლმეურნეობათათვის დახმარების საქმე კრედიტების მიწოდებისა, მომარაგებისა და გასაღების დარგში. კოლმეურნეობათათვის სამეურნეო დახმარების აღმოჩენის პრაქტიკა უნდა ჩატარდეს სათანადო კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით—ამ ორგანიზაციებმა კოლმეურნეობათა ცენტრების სისტემასთან უნდა დასდონ სპეციალური ხელშეკრულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შეღავათიან პირობებს კოლმეურნეობათათვის საქონლის მიწოდებისა და მათი პროდუქციის გასაღების საქმეში.

კოლექტიურ მეურნეობათათვის გეგმიანი დახმარება მხოლოდ მაშინ ჰპოვებს თავის რეალურ გამოხატულებას, თუ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების გეგმებში შემოღებულ იქნება მტკიცე ლიმიტები საწარმოო საშუალებათა, კრედიტების მიწოდების, მიწად მოწყობის და სხვ. დარგში, და ეს ლიმიტები განსაზღვრული იქნება კოლმეურნეობათა ცენტრების სისტემის იმ საწარმოო-საფინანსო გეგმების მიხედვით, რომლებსაც დაამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

სასოფლო მეურნეობის რეორგანიზაცია სოციალისტურ საფუძველზე ამჟამად წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. ამიტომ მთელი მუშაობა კოლექტიურ მეურნეობათა შექმნა-განვითარების დარგში უნდა იქნას დაყენებული საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის უმაღლესი ორგანოების უშუალო მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ.

ნ. კ—ნი.

## კოლმეურნეობანი საქართველოში

### რა გაკეთდა--რა უნდა გაკეთდეს

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი დაარსებულ იქნა 1928 წლის 8 იანვარს.

უწინარეს ყოვლისა მთავარი ყურადღება ცენტრმა მიაპყრო ინსტრუქტორების კადრის შექმნას და აპარატის მოწყობას. პარტიული ორგანოების მიერ შერჩეული ინსტრუქტორები არ იცნობდნენ კოლმეურნეობათა მოძრაობას და პირველი თვის განმავლობაში სწარმოებდა მათი მოსამზადებელი მუშაობა. ამასთანავე პარალელურად მიმდინარეობდა სამზადისი საქართველოს კოლექტივების მასიურ გამოკვლევისათვის. ცენტრმა გადასწყვიტა პირველ რიგში შეესწავლა სტიქიურად აღორძინებულ კოლექტივების მდგომარეობა და სათანადოთ ჩამოეყალიბებინა ისინი.

ვინაიდან კოლექტივებში ინსტრუქტორები პირველად იგზავნებოდნენ, ამ გამოკვლევას დაუკავშირდა წინასწარი საორგანიზაციო მუშაობის ჩატარებაც,— როგორიცაა კოლექტივების ფორმალურად ჩამოყალიბება და სხვ.

ამ მიზნისათვის დამზადდა და დაიბეჭდა წესდებები ყველა სახის კოლმეურნეობათათვის.

საორგანიზაციო მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი მხარე არის ანგარიშწარმოების შემოღება და დაყენება. ამ მიზნით შემუშავდა და დაიბეჭდა მარტივი სახის საანგარიშო წიგნები და ინსტრუქტორების საშუალებით დარიგდა კოლექტივებში. ამრიგად ინსტრუქტორებმა პირველ გამოკვლევის დროს ჩაატარეს შემდეგი ხასიათის მუშაობა:

ა) „ველურ“ კოლექტივებს მიაღებინეს საერთო კრებებზე შესაფერი წესდება და გადმოგზავნეს სარეგისტრაციოთ; ბ) დააყენეს კოლექტივებში ანგარიშწარმოება, გახსნეს წიგნები და მისცეს სათანადო რჩევა- დარიგება უფრო მომზადებულ კოლექტივის წევრებს. ამასთანავე ანგარიშ-წარმოების სახელმძღვანელოდ კოლექტივებს დახმარებას უწევენ ადგილობრივი სას. საკრ. ამხ-ბის და სამომხმარებლო კოოპერატივების ბუღალტერ- მოანგარიშეები უსასყიდლოდ.

ვ) ინსტრუქტორებს თან ახლდა მაზრის და რაიონის აგრონომები, რომელთა დახმარებით სდგებოდა ყველა კოლექტივები წლიური სამეურნეო გეგმები, რაც წევრთა საზოგადო კრებაზე დამტკიცების შემდეგ ეძლეოდა მართველ ორგანოებს ცხოვრებაში გასატარებლად.

გ) კოლექტივების შესწავლასთან ერთად მოხდა ნაწილობრივ მათი სოციალურ შემადგენლობის წმენდაც:— გარიცხეს „კულაკური“ ელემენტები და მათი ადგილი დაიჭირა ღარიბმა და საშუალო შეძლების მშრომელმა გლეხობამ.

ყველა კოლექტივი შეყვანილ იქნა წევრებად თავის რაიონის სას. სამ. საკრ. ამხ-ბაში იმ მიზნით, რომ უკანასკნელმა ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ სამეურნეო საქმიანობაში: მიაწოდოს საქონელი, იარაღ- მანქანები და დაუნაწილოს ცენტრის მიერ გადაგზავნილი სესხები. ყველა კოლექტივი აგრეთვე შემოყვანილ იქნა წევრად საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრში.

ამავე მუშაობის დროს შედგენილი იქნა კოლექტივებისათვის საჭირო მიზნობრივი სამეურნეო სესხების და მანქანა -იარაღების მიწოდების გეგმები.

მუშაობის დასრულების შემდეგ ინსტრუქტორებმა გააკეთეს დაწვრილებითი მოხსენებები სამაზრო პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში თავ-თავის მაზრებში წარმოებულ მუშაობისა და კოლმეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნულ თათბირებზე გამოიქონდათ მთელი რიგი მითითებისა კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ რაიონების სპეციფიური პირობებისა და მუშაობის ხასიათის მიხედვით.

აღნიშნული მუშაობა ჩატარებულ იქნა სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ცენტრის --სოფლის კავშირის და სახ. სამ. ბანკის გამოცდილი ინსტრუქტორების დახმარებით, რომლებიც ამავე დროს პრაქტიკულ მუშაობაში წვრთნიდნენ კოლმეურნეობების ცენტრის ახალ ინსტრუქტორებს.

ცხადია, ზემოდ აღწერილი მუშაობა ჩატარდა მხოლოდ გამოკვლევის დროს არსებულ კოლექტივებში— ხოლო ამის შემდეგ დაარსებულ კოლმეურნეობებში ასეთივე მუშაობის ჩატარება ჩვენი ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს.

ზემოდ ჩამოთვლილი მუშაობის გარდა ცენტრის მიერ საქ. სას. სამ. ბანკთან ერთად შემუშავებულ იქნა სესხების განაწილების გეგმა, რის თანახმადაც დარიგდა სესხად ნახევარ მილიონ მანეთამდე, ნაწილობრივ ნაღდად და ნაწილობრივ მანქანა- იარაღებით.

უკანასკნელ თვეში აყვანილია 5 აგრონომი კოლმეურნეობების აგროხელმძღვანელობისათვის, რომელნიც ამჟამად მიწსახკომის სათანადო სპეციალისტებთან ერთად ამუშავებენ საკითხებს კოლმეურნეობების მშენებლობის გარშემო. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება— ღონისძიებანი დაუყოვნებლივ იქნება გატარებული ცხოვრებაში.

### ხელშემშლელი პირობები

ა) მთელ რიგ საკითხების გადაუჭრელობა ხელს უშლის კოლმეურნეობების მშენებლობის საქმეს.

ცნობილია, რომ კოლმეურნეობა მიწის მოუწყობლად ვერ შესძლებს თავის ფუნქციების წარმატებით ასრულებას. თუ მიწის ნაკვეთები არ გაერთიანდა, ვერ შემოვიღებთ ინტენსიურ მეურნეობა, ვერ გავატარებთ მანქანიზაცია -ინდუსტრიალიზაციას და სხვ. მიუხედავად ამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა და საკავშირო ორგანოების სადირექტივო მთელ რიგ მითითებისა, დღემდე ამ საქმეს ვერ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, და შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.— საჭიროა ეს საკითხი უახლოეს დროში მოგვარდეს, რაც ძლიერ შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას.

ბ) მოისუსტებს აგრო პერსონალის ხელმძღვანელობა კოლექტივების სამეურნეო საქმიანობაში. აუცილებელია მაზრის და რაიონის აგროპერსონალი მჭიდროდ დაუკავშირდეს თავისი რაიონის კოლმეურნეობებს სამეურნეო საქმიანობის გასაძღოლად, და ამასთანავე აგრო-პერსონალი გრძნობდეს პასუხისმგებლობას.

გ) კოლექტივებში ამა თუ იმ სახის მეურნეობის შემოღება- განვითარებას აქვს ქაოტიური ხასიათი, ე. ი. არ არის შერჩეული რენტაბელური მეურნეობები, შეფარდებული რაიონების ნიადაგსა და ჰავასთან. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესწავლილი. კოლმეურნეობებმა უნდა განავითარონ ინტენსიური სასარგებლო მეურნეობანი, რომ სამაგალითო გახდნენ მახლობელ მშრომელ გლეხობისათვის.

დ) დღემდე არ არის შესწავლილი რაიონები მანქანა- იარაღებით გამოყენების მიზნით. ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მარკის ტრაქტორი ან გუთანი არ უდგება ნიადაგს და უქმად დგას.— ეს საკითხიც შესწავლილ უნდა იქნას.

### გადაუდებელი ღონისძიებანი

1. მიწის მოწყობა ყველა კოლექტივებში ჩატარებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1928 წლის პირველ ოქტომბრისა.

2. უნდა გაძლიერდეს აგრო-დახმარება, რისთვისაც მიმაგრებულ უნდა იქნენ რაიაგრონომები თავის რაიონის კოლექტივთან, აგრეთვე გაძლიერდეს აგრონომების პასუხისმგებლობა კოლექტივების სამეურნეო აგრონომიულ საქმიანობაში.

3. საჭიროა შესწავლილ იქნეს რაიონები რენტაბელურ მეურნეობების შემოღების მიზნით და სათანადო ორგანოებში დამტკიცებული გეგმა გატარდეს ცხოვრებაში კოლმეურნეობის ცენტრის მიერ.

4. გამომუშავდეს რაიონების მიხედვით მანქანა- იარაღების ტიპები და გადაეცეს მომმარაგებელ ორგანიზაციას გამოუსადეგარ მანქანა- იარაღების შემოღების თავიდან ასაცილებლად.

5. უნდა მოისპოს კოლექტივიდან გასულ წევრებისათვის მიწის გამოყოფა, თუ ეს გაერთიანებულ მეურნეობას ზიანს აყენებს. ეთხოვოს სათანადო საკანონმდებლო ორგანოებს, რომ ასეთ შემთხვევაში გასულმა წევრმა მიწის ნაკვეთი მიიღოს სახელმწიფოს ფონდიდან.

6. სახელმწიფო ფონდის მიწაზე მოწყობილ კოლექტივიდან გასულ წევრს მიწა არ უნდა გამოეყოს.

7. სახელმწიფო მიწებზე მოწყობილ კოლმეურნეობების წევრებს ამხანაგობის სრული ლიკვიდაციის შემდეგ: მიწა არ დაეყოფათ, არამედ ის გადადის კოლმეურნეობათა ფონდში, რაც გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი კოლექტივის დასაარსებლად.

8. საჭიროა დამუშავდეს ტაბულათა ფორმები და სავაჭრო საანგარიშო წიგნაკები კოლექტივების წევრთა შრომის სწორად აღრიცხვის მიზნით; წევრს ანგარიში უნდა გაუსწორდეს მის მიერ გაწეულ შრომის რაოდენობისა და ხასიათის მიხედვით.

9. 1928 წლის განმავლობაში მოეწყოს მაზრის მაშტაბით მოკლე ვადიანი კურსები კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად, რისთვისაც უნდა დამუშავდეს სათანადო მასალები და პროგრამები და წარედგინოს დასამტკიცებლად სადირექტივო ორგანოებს.

10. აუცილებლად იქნას ცნობილი კოლმეურნეობის მშენებლობის შესახებ ლიტერატურის გამოცემა გლეხურ მასებისათვის. დამუშავდეს საკითხი და შეტანილ იქნეს სადირექტივო ორგანოები დასტურის მისაღებად.

11. მოეწყოს მაზრებში რამოდენიმე საცდელ- საჩვენებელი კოლექტივი მახლობელ კოლექტივებისა და გლეხობის წასახალისებლად.

ასეთ კოლექტივთა ტიპებისა და რიცხვის გამორკვევა თვითეულ მაზრისათვის მიენდოს კოლმეურნებათა ცენტრს.

12. შესწავლილ იქნეს საკითხი კოლექტივებში საკუთარი საშუალებების დაგროვების შესახებ იმ მიზნით, რომ მათში საფუძველი დაედოს სოციალისტურ დასაწყისს:

მოეწყოს საბავშო კერები, სკოლები, სამკითხველოები, შრომის უნარდაკარგულთა და მოხუცების უზრუნველყოფა და სხვა.

13. შესწავლილ იქნას კონტრაქტაციის საკითხი სათანადო ორგანიზაციებთან ერთად და სადირექტივო ორგანოების დასტურის შემდეგ ფართოდ გატარდეს კოლექტივებში. (ჩაის, თამბაქოს, ბამბის, კანაფის და სხვა სახის კულტურების შესახებ).

14 შესწავლილ იქნას მანქანა- იარაღების რენტაბელურად გამოყენებისა და დატვირთვის საკითხი, რის შესახებაც გამოიცეს სათანადო ლიტერატურა.

15. გაძლიერდეს მუშაობა არსებულ კოლექტივების განსამტკიცებლად და მარტივ სახეების უფრო სრულ ფორმებში გადასაყვანად, რაც დაუკავშირდეს მიწის მოწყობას და სესხების განაწილების საკითხს.

16. გაცხოველდეს მუშაობა ჯიშიანი საქონლისა და ფრინველების მომშენებელ კოლექტივების მოსაწყობად, რაშიაც ჩაბმულ იქნეს ადგილობრივი აგრონომიული ძალები.

17. დაუყოვნებლივ შესწავლილ იქნას საკითხი კოლმეურნეობათა ჯგუფურ გაერთიანების შესახებ და გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ამის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებანი.

18. აღიძრას საკითხი სათანადო სადირექტივო ორგანოების წინაშე,—რათა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში აგრეთვე საშუალო ტიპის სასოფლო- სამეურნეო ტექნიკუმებში შემოღებულ იქნეს კოლმეურნეობათა მშენებლობის და მასთან დაკავშირებულ საკითხების შესწავლა.

19. გაძლიერდეს კოლმეურნეობათა ცენტრი ინსტრუქტორთა ძალებით იმ დონემდე, რომ თვითეულ მაზრას, სადაც კოლმეურნეობათა მშენებლობა განვითარებულია, ჰყავდეს ერთი ინსტრუქტორი.

ამჟამად გადიდდეს ინსტრუქტორთა რიცხვი ათამდე, რომ შესაძლებელი შეიქნეს რეგულიარული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

აი ზოგადად ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის უახლოეს მუშაობაში უნდა იქნეს გადაჭრილი და ცხოვრებაში გატარებული.

ვ. ც—ლი.

ისეთ ქვეყანაში (შვეიცარია), სადაც მუშათა მოძრაობა ისედაც ყველაზე უფრო სუსტი და დაკნინებული იყო. აი, ამ „მშვიდობიანი“ ბრძოლის ატმოსფერაში იმყოფებოდა პლეხანოვი დიდი ხნის განმავლობაში, იგი სუნთქავდა ამ ჰაერით. მართალია იგი იყო მარქსიზმის შესანიშნავი მცოდნე, ნიჭიერი მარქსისტი—თეორეტიკოსი, ნიჭიერი აგიტატორი და პროპაგანდისტი, მაგრამ იგი ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა ისეთ პირობებში, სადაც რევოლიუციონური სიტუაციის ჭაჭანება არსად იყო. და როგორც კი იგი მიუახლოვდა რუსეთის რევოლიუციის საკითხების პრაქტიკულად გადაჭრას, **იგი სრულიად დაიბნა.** მთელი მარქსისტული თეორია, რომელიც მას ასე საუცხოვოდ ჰქონდა შეთვისებული, მას ბოლშევიზმისა და ლენინისაკენ მიეზიდებოდა, მაგრამ, მეორე მხრით, მთელი სინამდვილე, რომელშიაც ტრიალებდა როგორც თითონ იგი ისე მასთან ერთად მთელი მეორე ინტერნაციონალი, მას აშორებდა ბოლშევიზმიდან და ლენინიდან. პლეხანოვი იძულებული შეიქნა მიმხრობოდა მენშევიკებს, მაგრამ იგი მუდამ უხერხულად გრძნობდა თავს ამ ვაჟბატონებთან, იგი მუდამ რყევას განიცდიდა და ბევრ რამეში მათთაც არ ეთანხმებოდა (მაგ., არლეგალური პარტიის გაუქმებაში და სხვ.) ამ გარემოებაზე მიუთითა სხვათა შორის პეტროგრადის საბჭომ თავის სხდომაზე 9 ივნისს, 1918 წ., რომელიც შესდგა პლეხანოვის ხსოვნის აღსანიშნავად. იქ აღნიშნეს აი რა: „ეს არის ტრაღედია მთელი პლეადის, **მშვიდობიან სოციალისტ- განმანათლებლების, მთელი თაობის,** რომლებიც მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოებდნენ ბრძოლას რევოლიუციისათვის **კალმით ხელში,** და როცა საჭირო შეიქნა ბრძოლის წარმოება **იარაღით ხელში,** ისინი ველარ დარჩნენ თავის ადგილზე და ამნარათ აღმოჩნდენ მუშათა კლასის წინააღმდეგო“. ეს შესანიშნავი დახასიათებაა, რომელიც არ საჭიროებს განმარტებას.

როგორც ვამბობდით ზევით, რუსეთის რევოლიუციის განვითარებაში დადგა ისეთი მომენტი, როცა აუცილებელი შეიქნა **შეიარაღებული აჯანყების მომზადება.** ეს კი თხოულობდა შეიარაღებული ბრძოლის და სამოქალაქო ომის შესაფერ რევოლიუციონურ ტაქტიკას და რევოლიუციონურ სტრატეგიას. ასეთ მომენტში რევოლიუციის და მუშათა კლასის ბელადი უნდა ყოფილიყო იმავე დროს ტაქტიკის მცოდნეც და კარგი სტრატეგიც. აშკარაა ასეთ ბელადათ ვერ გამოდგებოდა პლეხანოვი, მიუხედავად იმისა, რომ მან მოამზადა რამდენიმე თაობა მარქსისტულად, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს იგი მარქსიზმის კარგი თეორეტიკოსი იყო. ასეთი ბელადი შეიძლებოდა გამოსულიყო მხოლოდ ისეთი გენიოსი--ადამიანისაგან, რომელსაც მარქსის თეორიის საფუძვლიანად ცოდნასთან ერთად ზედმიწევნით ექნებოდა შესწავლილი რუსეთის სინამდვილე, რომელიც ზედმიწევნით იქნებოდა გაცნობილი რუსეთის მოძრაობასთან და რომელიც არა მარტო **კალმით,** არამედ **ჩაქუჩით ხელში** შეუდგებოდა როგორც რევოლიუციონური შეგნების და რევოლიუციონური მოქმედების **გამოჭედას;** რომელიც არ შეუშინდებოდა არავითარ საფრთხეს, რომელიც ერთხელ აღებულ იარაღს ხელიდან არ გაუშვებდა. ისტორიამ მოგვცა ასეთი **ბელადი ლენინის** სახით. და ახლა როცა თვალს ვავლებთ წარსულ ბრძოლას, გამოვლილ რევოლიუციებს, და ვადარებთ ამ ორ დიდ პიროვნებას ერთმანეთს და იმათ როლს მუშათა კლასის რევოლიუციაში, ჩვენ ვრწმუნდებით, თუ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. ჩვენთვის უკვე დიდი ხანია აშკარაა ის, რომ რუსეთის რევოლიუციის ბელადი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ **ლენინი,** ადამიანი, რომელსაც ჰქონდა გასაოცარი შორსმხედველობის ნიჭი, რომელმაც არ იცოდა გადახრა ან რყევა ერთხელ არჩეული გზიდან, და არა შემთხვევაში **პლეხანოვი,** რომელიც რუსეთის რევოლიუციამ პირველ ხანებშივე დააფრთხო და უკან დახევინა, რომელიც მოზღვავებული რევოლიუციის პირისპირ სრულიად დაიბნა. უნდა ვთქვათ პირდაპირ: პლეხანოვმა უღალატა პროლეტარულ რევოლიუციას იმპერიალისტური ომის დროს იგი გახდა ნამდვილი სოციალ-პატრიოტი, რომ მან უღალატა თავის წინანდელ შეხედულებებს, მუშათა კლასის გეგემონობაზე რევოლიუციაში, რომელიც მან გამოთქვა ჯერ კიდევ 1889 წელს საერთაშორისო კონგრესზე შემდეგ საგულისხმიერო სიტყვებში: **„რუსეთში რევოლიუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან ის ვერ გაიმარჯვებს სრულებით“.** და რა მოხდა? როცა რუსეთში მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა იმარჯვებდა და ცოტა ხნის შემდეგ გაიმარჯვა კიდეც, პლეხანოვი თავის პოზიციას მაინც არ სთმობდა და წავიდა მუშათა კლასის დიდი უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. მუშათა რევოლიუცია თუმც ფაქტი იყო მაგრამ იგი ამას მაინც არ სცნობდა, მას სწამდა, რომ რუსეთში ჯერ უნდა მომხდარიყო ბურჟუაზიული და არა პროლეტარული რევოლიუცია. არსებითად ეს უკვე **კონტრ-რევოლიუციონური შეხედულება იყო.**

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, **პლეხანოვსა და დანარჩენ მენშევიკებს შორის** (მარტოვი, დანი, ჟორდანია და სხვები) გერმანიის გამთიშველ სოციალ- დემოკრატებს რომ თავი დავანებოთ, არის დიდი განსხვავება. მაშინ, როცა ყველა ამ ვაჟბატონებმა აქტიურად გაილაშქრეს ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ და თავი ამოყვეს პირდაპირ შავრაზმელების ბანაკში, პლეხანოვი არ აყვა იმათ ფეხის ხმას, არ წავიდა აქტიურად ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ, თუმც ამას დაჟინებით მოითხოვდნენ მისგან, და ბოლოს, როგორც იყო, მან იცნო, რომ პროლეტარიატს აქვს უფლება ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც ეს მას სურს. შექმნილ პირობებში ესეც დიდი საქმე იყო. და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თუ რომ პლეხანოვს დასცალებოდა, იგი არ მივიდოდა იმ გათახსირებამდე და გახრწნამდე, სადამდისაც მივიდენ კაუცკი, ვანდერველდე, და იმათი ქართველი და რუსი თანამოძმენი. მართალია, პლეხანოვის პოზიცია, რომელიც მან თავის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დაიჭირა, დაჩრდილა ის დამსახურება მუშათა კლასის და რევოლიუციის წინაშე, რომელიც მას ჰქონდა და აქვს წარსულში, მაგრამ მხოლოდ არა სრულებით. პლეხანოვმა დაგვიტოვა დიდი **განძი, მდიდარი, ლიტერატურული მემკვიდრეობა** მეცნიერების, ფილოსოფიის და ხელოვნების მრავალ დარგში; ყველა მის ნაწერებში საკითხები გაშუქებულია მარქსისტულად. ეს ნაწერები კიდევ დიდხანს დარჩებიან ჩვენთვის ღირსნი შესწავლისა. პლეხანოვი იყო დიდი რევოლიუციონერი მებრძოლი, დიდი ნიჭიერი მწერალი და საერთოდ მეტად შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ღრმა კვალი დასტოვა ჩვენ ისტორიაში. მუშათა კლასი და ჩვენი პარტია ქედს იხრიან პლეხანოვის რევოლიუციონური ხსოვნის წინაშე. მუშათა კლასი და კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა აფასებენ პლეხანოვს—რევოლიუციონერ მებრძოლს, რევოლიუციონური მარქსიზმის ერთ უდიდეს [illegible]. მენშევიკ პლეხანოვს [illegible] სცნობთ.

ფ. მახარაძე.

## შორაპნის მაზრაში

### „შრომა“

სოფლის კავშირის კოლმეურნეობათა სექციის დავალებით 27 თებერვლიდან ჩვენ შევუდექით კოლმეურნეობათა გამოკვლევას შორაპნის მაზრაში და ამ გამოკვლევასთან ერთად ახლების ჩამოყალიბებას.

შორაპნის მაზრაში არსებობს ორი კოლექტიური მეურნეობა, რომლებსაც აქვთ დამტკიცებული წესდებები, და რომელნიც იურიდიულათ ცნობილნი არიან.

მშრომელ მიწათმოქმედთა ამხ-ბა „შრომა“ აერთიანებს ათ მეურნეს, რომელთაც დაარსების დროს მიუღია სახაზო მიწებიდან რვა (8) ქცევა მიწა სოფ. კიცხში, ხოლო შემდეგ სკოლის საჭიროებისათვის ექვსი ქცევა ისევ ჩამოურთმევიათ და ეხლა მათ განკარგულებაში მხოლოდ ორი ქცევა. სოციალური შემადგენლობით „შრომა“-ს წევრები შესდგება ხუთი საშუალო და ხუთი ღარიბი გლეხისაგან, პარტიული მიმართულებით სამი არის კომპარტიის წევრი და დანარჩენი უპარტიონი. მშრომელთა რიცხვი ამხანაგობაში უდრის 56 სულს, რომელთა შორის 15 არის შრომის უნარიანი მამაკაცები, 13 შრომის უნარიანი დედაკაცები, 9 მოზარდი თაობა 12-18 წლამდე, 16 მცირეწლოვანი და 3 შრომის უნარ დაკარგულნი. ოჯახის წევრთა შორის 2 კომუნისტია და 4 კომკავშირელი.

ამხანაგობა საზიაროთ ამუშავებს მიწას და მათ განკარგულებაში მყოფი ორი ქცევა მიწა გამოყენებული აქვთ შემდეგნაირად: 100 საჟენი ბოსტნათ, 1550 საჟენი სახნავათ და 150 საჟენზე აქვთ ნამყენი ვაზის სანერგე.

გასულ საოპერაციო წელში ხვნა-თესვაზედ დაუხარჯავთ 80 დღე, მებოსტნეობაზედ 13 დღე და მევენახეობაზედ 40 დღე. მუშაობას აწარმოებენ მაზრის აგროდახმარების მიერ გადაცემული ორი გუთნით, ერთი ფარცხით, ერთი სიმინდის საფშვნელი მანქანით და წევრების საკუთარი იარაღებით და მუშა საქონლით. დაუთესიათ ორი ქცევა სიმინდი, საიდანაც მიუღიათ 80 ფუთი. 200 საჟენში ჩაუყრიათ 5.400 ძირი ნამყენი და მიუღიათ კი მხოლოდ 1.600 ძირი ვარგისი. მოსავლის განაწილება სწარმოებს დახარჯული შრომის მიხედვით. მოსავლის განაწილების დროს გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია.

ამხანაგობას ჰყავს გამგეობა და სარევიზიო კომისია სამ-სამი პირისაგან შემდგარი. გასულ საოპერაციო წელში ჰქონიათ 2 საერთო კრება, ერთი გამგეობის სხდომა და ორი სარევიზიო კომისიის სხდომა. კოლექტივი შედის წევრად კიცხის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში, სადაც შეტანილი აქვს 50 მანეთი საპაიო და 5 მან. საწევრო. დღიდან დაარსებისა მიუღიათ მხოლოდ 160 მანეთი მოკლევადიანი სესხი (9 თვით) ვაზის სანერგის მოსაწყობათ. წესდებით საპაიო განსაზღვრული აქვთ 10 მანეთით და საწევრო 2 მანეთით, დამატებითი პასუხისმგებლობა კი პაის ათმაგი რაოდენობით. საპაიო და საწევრო შეტანილი აქვთ 6 წევრს, 4 კი არაფერი არ შეუტანიათ.

კოლექტივის წევრთა შრომის უნარიანობა იმდენად დიდია, რომ კოლექტივს შეუძლია დაამუშაოს მიწის მეტი რაოდენობა. საჭიროა მიწით და კრედიტებით შეუწყოთ ხე- [illegible] გაუწევია ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. დღიდან კოლექტივის დაარსებისა სამაზრო აგრონომი მხოლოდ სამჯერ ყოფილა და მიუცია რჩევა-დარიგებანი მეურნეობის სხვადასხვა კითხვებზე. საჭიროა აგრეთვე სასურველ დონეზედ იქნეს ჩამოყალიბებული ანგარიშწარმოება და საქმის წარმოება; აღნიშნული დარგი ძალიან მოისუსტებს და ამხანაგობას არ აქვს რიგიანი აღრიცხვა თავისი საქმიანობის.

### „განახლება“

სოფ. დაბლა ხაჯარის მიწათმოქმედთა არტელი „განახლება“ დაარსებულია 1926 წელს. წესდება გატარებულია რეგისტრაციაში კოოპერატიულ სამმართველოში ამავე წლის 24 მარტს.

კოლექტივი მუშაობს მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელთა ამხანაგობის წესდებით და შედის წევრათ ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში, სადაც შეტანილი აქვს 50 მანეთი საპაიო და 5 მანეთი საწევრო. წესდებით საპაიო განსაზღვრული აქვ თითოეულ წევრზე ათი მანეთით და საწევრო ერთი მანეთით.

1928 წლის 9 მარტისათვის კოლექტივი აერთიანებს რვა მეურნეს, რომელთა ოჯახების წევრთა რიცხვი უდრის 37 სულს. მათ შორის შრომის უნარიანი მამაკაცებია რვა, დედაკაცები ამდენივე, მოზარდი 12—18 წლამდე 13 და მცირეწლოვანი რვა. სოციალური შემადგენლობით ყველა უპარტიო ღარიბი გლეხია. ოჯახის წევრთა შორის არის 4 კომუნისტი და სამი კომკავშირელი. მიღებულ ცნობების თანახმად კოლექტივის წევრებს გაერთიანებული აქვთ 5 ნახ. ქცევა საკუთარი მიწა სავენახეთ.

ორგანიზაციული წყობით ეს კოლექტივი სრულებით ჩამოყალიბებულია: წევრებს არ აქვთ შეტანილი არც საპაიო და არც საწევრო, არ აქვთ შემუშავებული მუშაობის და ნამუშევარის განაწილების წესები, არ ჰყავდათ სარევიზიო კომისია და არ ჰქონდათ არავითარი გეგმა მუშაობისა. საქმის წარმოება და ანგარიშ-წარმოება სრულიად არ არსებობს და შეუძლებელი გახდა იმის გამორკვევა, თუ რა უკეთებიათ წარსულში, გარდა იმისა, რომ მათ 1926 წელში მიუღიათ გრძელვადიანი სესხი ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობიდან 600 მანეთის რაოდენობით და მოკლევადიანი 400 მანეთის რაოდენობით სანერგეს მოსაწყობათ და ამ სესხებიდან დაუბრუნებიათ ამა წლის მარტში 580 მანეთი. აღებული სესხით უყიდიათ 60.000 ამერიკული ლერწი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და გადამუშავების შემდეგ მიუღიათ მხოლოდ 3000 ძირი ნამყენი ვაზის ნერგი. შეუძლებელი გახდა იმის გამორკვევა, წაღებული ათასი მანეთი სულ მოახმარეს დანიშნულებას თუ არა.

საჭირო ახსნა-განმარტების და რჩევა-დარიგების შემდეგ კოლექტივის წევრებმა გამოსთქვეს სურვილი საპაიოს და საწევროს შეგროვების შესახებ და საჭიროდ დაინახეს საქართველოს კოლმეურნეობათა სექციის წევრობაც. რადგან ადგილობრივ შეუძლებელი გახდა ისეთი პირის გამონახვა, რომელიც კოლექტივის ანგარიშ-წარმოებას იკისრებდა, ამისათვის ასეთის წარმოება მივანდეთ ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობის ბუღალტერს, რომელიც დასთანხმდა უხელმძღვანელოს მათ ამ დარგში.

აღნიშნული კოლექტივის გამოსაჯანსაღებლად და მის წევრებში კოლექტიური აზროვნების განსამტკიცებლად საჭიროა როგორც აგრონომიული დახმარება, აგრეთვე ინსტრუქტორული ხელმძღვანელობა, ისე ეს ორგანიზაცია ვერ იძლევა იმედს, რომ მოღონიერდება და გამაგრდება.

### ახალი კოლექტივები

აღნიშნულ კოლექტივების გამოკვლევის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩავატარეთ საორგანიზაციო მუშაობა ახალ კოლექტივების ჩამოსაყალიბებლად მაზრის სხვადასხვა კუთხეებში. მოვიწვიეთ საორგანიზაციო კრებები და სათანადო სიტყვიერი და წერილობითი ინსტრუქციები მივეცით გლეხებს.

16 მარტს თერჯოლის თემში მოწვეულ იქნა ერთი ასეთი კრება, რომელსაც დაესწრო 21 დამფუძნებელი, მათ შორის 6 კომპარტიის წევრი—ყველა ღარიბი გლეხებია, ამხანაგობას აქვს განზრახული ტყის გაშენება 20 ქცევა საფონდო მიწაზე.

17 მარტს სოფ. ზედვრეთში (საზანის თემი) შესდგა მევენახეთა ამხანაგობა, რომლის საორგანიზაციო კრებას დაესწრო 10 მეურნე. მათ შორის ერთი პარტიულია, დანარჩენი უპარტიო ღარიბი გლეხებია.

ლელვან-მარელისის თემში სოფ. ლელვანში 10 მარტს ჩაეყარა საფუძველი მეფუტკრეთა კოლექტივს. აღნიშნულ კოლექტივის დამფუძნებელ კრებას დაესწრო 20 მეურნე. მათ შორის 19 კომპარტიის წევრი და კანდიდატი, 6 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო სოციალური შემადგენლობით ყველა ღარიბებია.

ბოსლევის თემში სოფ. დილიკაურში 18 მარტს შესდგა მევენახეთა ამხანაგობის კრება, რომელსაც დაესწრო 9 კაცი, მათ შორის ორი კომპარტიის წევრია, სოციალური შემადგენლობით ყველა ღარიბებია. ამხანაგობას გადაცემული აქვს დასამუშავებლად ორმოცი ქცევა საფონდო მიწა.

ბორითის თემში სოფ. ბორითში 18 მარტს მოწვეულ იქნა მეფუტკრეთა კოლექტივის საორგანიზაციო კრება, კრებას დაესწრო 20 მეურნე. მათ შორის 4 კომპარტიის წევრი, 4 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო გლეხებია. სოციალური შემადგენლობით 6 ღარიბია და დანარჩენი საშუალო შეძლების. აღნიშნულ მეურნეთა შორის 14 წევრს ჰყავს 38 სკა ფუტკარი, დანარჩენ გლეხებს ფუტკარი არ ჰყავთ, მაგრამ მოწადინებულნი არიან მოჰკიდონ ხელი ამ მეურნეობას.

ჭალის თემში, სოფ. ჭალაში 14 მარტს კრებას დაესწრო 17 მეურნე, მაგრამ აღნიშნული კრება შეწყდა ვინაიდან მხოლოდ ხუთმა კაცმა განაცხადა, სურვილი საწევროსა და საპაიოს გადახდაზე. დანარჩენებმა განაცხადეს, რომ მათ არ ძალუძთ საწევროს და საპაიოს შემოტანა. კრების შეწყვეტის შემდეგ ჩვენ მოვიწვიეთ ადგილობრივი პარტიული ამხანაგი ბარათაშვილი, რომელსაც გავაცანით კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის საჭირო წინასწარი მუშაობა და დაუტოვეთ მას წერილობითი დაწვრილებითი ინსტრუქცია. ამხ. ბარათაშვილს ჩაუტარებია წინასწარი მუშაობა კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის, რაც სჩანს მის მიერ გადმოგზავნილ მასალებიდან, რომლებიდანაც ირკვევა, რომ სურვილი შეკავშირების შესახებ გამოუთქვამს 11 მეურნეს, რომელთა შორის ორი კომპარტიის წევრია. ამათგან სოციალური შემადგენლობით 5 ღარიბი და 6 საშუალო შეძლების გლეხია. აღნიშნულ წევრთა შორის 8 წევრს ჰყავს 15 სკა ფუტკარი.

ძალიან მწვავედ სდგას საკითხი საქმის და ანგარიშ-წარმოების მოწესრიგების შესახებ. მიზანშეწონილი იქნებოდაა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობათა მოანგარიშეების ჩაბმა ამ საქმეში.

რომ შორაპნის მაზრის ძველი და ახალი კოლექტივები გამაგრდნენ და წარმატებით იწყონ წინსვლა, სასწრაფოდ უნდა იქნეს მოგვარებული მიწათმოწყობის საკითხი, რათა მეურნეობანი საკმაო მიწებით იქნენ უზრუნველყოფილნი. გარდა ამისა, საჭიროა, პირველ ხანებში მაინც, გამუდმებული პრაქტიკული აგროდახმარება.

გაძლიერებულ უნდა იქნეს ინსტრუქტორული ხელმძღვანელობა, როგორც ორგანიზაციულ, ისე ანგარიშ-წარმოების დარგში.

რადგანაც საქართველოში უკვე სავსებით ჩამოყალიბდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ცენტრი საჭიროა ადგილობრივათ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები სწყდებოდეს აღნიშნულ სექციასთან შეთანხმებით და მისი დასტურით.

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორები:
ი. სეფერთულაძე, ბ. ქანდელაკი.

## ამხ. მიასნიკოვის სახელობის კომუნა

### ალბულაღი

მიასნიკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კომუნა დაარსდა 1925 წ. სექტემბერში, კომუნის წესდება გატარებულია კოოპერატიულ სამმართველოს რეგისტრაციაში.

კომუნა თბილისიდან დაშორებულია 62 ვერსით.

პირველად კომუნა 7 წევრისაგან შესდგებოდა, მეტწილად ახალგაზრდებისაგან, მაგრამ კომუნის ხელმძღვანელების მიზანშეწონილი მუშაობით წევრთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. ასე, მაგალითად, 1925 წელში კომუნაში ირიცხებოდა 7 წევრი, 1926 წ.—12, 1927 წ.—26, 1928 წლის 25 აპრილისათვის კი—36 წევრი. როგორც ვხედავთ სამი წლის განმავლობაში კომუნას 29 ახალი წევრი შეუძენია, რაც მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ღარიბ გლეხებს ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული განსაზოგადოებული დიდი მეურნეობის სარგებლიანობა ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. კომუნაში 25 წევრს ჰყავს ოჯახი. სულ კომუნაში 17 ბავშვია, რომელთაგან უმრავლესობა სასკოლო ასაკისაა და ადგილობრივ შრომის სკოლაში სწავლობს.

კომუნის 36 წევრიდან 17 შრომის უნარის მქონე მამაკაცია და 14 შრომის უნარის მქონე ქალი, 3 მოზარდი და 2 მოხუცებული შრომის უნარმოკლებული ქალი და კაცი.

კომუნაში ქალები თითქმის მამაკაცების თანაბრად არიან ჩაბმული (20 მამაკაცი და 16 ქალი), ამ მხრით ალბულაღის კომუნამ მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ თბილისის მაზრაში არსებულ დანარჩენ კოლექტიურ მეურნეობებს. კომუნის ყველა წევრები—ღარიბი გლეხებია. კომუნაში მხოლოდ ორია მოსამსახურე, დანარჩენნი სასოფლო მეურნეობას მისდევენ. კომუნის წევრთა უმრავლესობა—24 კაცი,—უპარტიოა, 3 პარტიული და 9 კომკავშირელი.

### კომუნის შემადგენლობა

კომუნის წევრთა შემადგენლობა ეროვნებების მიხედვით ასეთია: ქართველები—4, რუსები—4, სომხები—21 ბერძნები—9.

მიუხედავად კომუნის ინტერნაციონალური შემადგენლობისა, წევრთა შორის სრული ერთსულოვნებაა.

კომუნაში დღემდე 5 წერა-კითხვის უცოდინარია, საერთოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კომუნაში სუსტადაა დაყენებული. ამ სუსტ მხარეს თვით კომუნის ხელმძღვანელიც აღნიშნავს და უსაყვედურებს განათლების მუშაკთა კავშირს, რომელიც არ ღებულობს ცხოველ მონაწილეობას კულტურულ მუშაობაში (სკოლის მოწყობა კომუნასთან, კლუბის, წითელი კუთხის და ბიბლიოთეკის გახსნა და სხ.), თუმცა კომუნას არა ერთხელ მიუმართავს მისთვის. მთელი ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს განათლების ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით.

კომუნის გამგეობის წევრთა რაოდენობა უდრის 3, საბჭოსი—7 და სარევიზიო კომისიის—8. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობა გამოყოფილია საბჭოს წევრებიდან, რაც ეწინააღმდეგება კომუნის წესდებას. მომავალში აუცილებელია, რომ გამგეობა აირჩიოს კომუნის წევრებმა, მაგრამ არა საბჭოს წევრებიდან.

გამგეობა და საბჭო შედარებით კარგად ასრულებენ თავის მოვალეობას, მაგრამ კომუნის მეურნეობის გაფართოებასთან ერთად საჭირო ხდება სხვადასხვა დარგის კვალიფიციურ მუშაკებისა და ხელმძღვანელების რაოდენობის გადიდება.

ამ მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს კომუნის წევრების კვალიფიკაციას და ხელმძღვანელების მომზადებას. ეს კი შესაძლებელია მერძეობისა, მეფუტკრეობისა, სატრაქტორო და კულინარიის კურსების მოწყობით. უამისოდ კომუნას გაუჭირდება თავისი მეურნეობის გაშლა. ალბულაღის კომუნაში განსაზოგადოებულია: მიწა, ინვენტარი, ოთხფეხი საქონელი, შენობები, შრომა და სხ. ამ მხრით ალბულაღის სასოფლო-სამეურნეო კომუნა უფრო რთული სახის გაერთიანებაა.

### მიწის რაოდენობა

შრომის ნაყოფი ალბულაღის კომუნაში ნაწილდება წევრებისა და მათი ოჯახების ნამდვილი მოთხოვნილებების მიხედვით, ხოლო მუშაობა სრულდება უნარის მიხედვით, მაგრამ შრომის ნაყოფიერება, რომ არ დაეცეს, კომუნაში შემოღებულია დაჯილდოება უკეთესი და უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის. შრომის უნარმოკლებულთა (ბავშვებისა და ინვალიდების) საჭიროება კმაყოფილდება განსაზღვრული ულუფით კომუნის საერთო საშუალებებიდან.

კომუნის განკარგულებაში არის სულ 77 დესეტინა ვარგისი და 20 დესეტინა უვარგისი მიწა; აქედან—კარ-მიდამო—2,5 დესეტ., ბოსტანი—1 დეს., ბაღი—1 დეს., სახნავი—36 დესეტინა, სათიბი—37 დეს., საძოვრები—12 დეს., ბუჩქნარი—8 დეს.

პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ კომუნა მიწით უზრუნველყოფილია, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არაა. საქმე იმაშია, რომ მიწის ნაკვეთები დაფანტულია 100 ადგილას და ერთმანეთს დაშორებულია დიდი მანძილით—3—25 ვერსით, რაც დიდათ აძნელებს მიწის თავის დროზე დამუშავებას.

77 დეს. მიწიდან ყოველ წლობით დაუმუშავებელი რჩება 32 დეს. დღემდე კომუნა ვერ ეღირსა მიწადმოწყობას. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ისიც, რომ კომუნა ფორმალურად ჯერ კიდევ არ დაპატრონებია მას. მიწის იმ ნაკვეთებს, რომლებიც გადაეცა მას. თუ ეს საქმე ამ ცოტა ხანში არ მოგვარდა, კომუნა ვერ შეასრულებს დასახულ თესვის გეგმას.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დრომდე კომუნას არ ჰქონია წინასწარ შედგენილი სამეურნეო გეგმა, ის არ ახდენდა მეურნეობის ცალკე ნაწილების აღრიცხვას და არ იცოდა სასოფლო მეურნეობისა და მეცხოველეობის რა პროდუქტებსა აქვს უფრო მეტი მოთხოვნილება ბაზარზე და, მაშასადამე, რისი წარმოება უფრო ხელსაყრელია. ამიტომ კომუნა იძულებული იყო ხელი აეღო მეღორეობაზე და მეცხვარეობაზე და ამჟამად მთელ ყურადღებას აქცევს მემინდვრეობას, მებოსტნეობას, მესაქონლეობას და მეფუტკრეობას.

თუ წინად კომუნაში არ იყო გავრცელებული მანქანები, დღეს, პირიქით, ის ცდილობს შრომის მაქსიმალურ მექანიზაციას.

### კომუნის ქონება

ვნახოთ ეხლა რისგან შესდგება კომუნის ქონება.

დაარსების დროს კომუნამ სახელმწიფო ორგანოებისგან უსასყიდლო სარგებლობაში მიიღო შემდეგი შენობები:

საცხოვრებელი ორსართულიანი სახლი შეფასებული 3.000 მან., 2 შენობა სასოფ.-სამეურნეო დანიშნულებისათვის, შეფასებული 2.500 მან. და 3 პატარა შენობა, შეფას. 745 მან., სულ მიიღო 6 შენობა, შეფასებული 6.245 მან.

გარდა ამისა, კომუნას აქვს მოძრავი ქონება: ცოცხალი ინვენტარი—3.604 მან., მკვდარი ინვენტარი—4.946 მან. ღირებულებისა. წინად უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ცოცხალი ინვენტარის შეძენას, ეხლა კი—სასოფლო-სამეურნეო მანქანისა და სახ.-სამ. ინვენტარის შეძენას.

კომუნის უძრავი და მოძრავი ქონება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. კომუნის საცხოვრებელი ბინები ჰიგიენური მხრივ კარგად არის მოწყობილი, მაგრამ თვით შენობა მთლიანად საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

კომუნის შინაური წესრიგი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს: კომუნის ყოველ წევრს ახსოვს და იცის შინაური განწესრიგების წესები და ასრულებს ამ წესებს; დანაშაულისა და შინაური წესების დარღვევისათვის კომუნის ყოველ წევრს აჯარიმებენ.

### აგრონომიული და საკრედიტო დახმარება

მიღწევებთან ერთად კომუნას აქვს არსებითი ნაკლულოვანებანი: მეურნეობის გაძღოლა არ არის დაყენებული გეგმიან საფუძველზე, ანგარიშ-წარმოება და ანგარიშგება ვერ არის დაყენებული სათანადო ნიადაგზე, რის გამოც შეუძლებელია საჭირო მნიშვნელოვანი ცნობების მიღება კომუნისაგან. ეს ნაკლულოვანებანი გამოწვეული იყო ერთის მხრით იმით, რომ ა. წ. აპრილამდე კომუნებს არ უწევდნენ აგრონომიულ დახმარებას, და მეორეს მხრით იმით, რომ წინად არ არსებობდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ცენტრი.

ამჟამად ადგილობრივი აგრონომები სერიოზულ მუშაობას აწარმოებენ კოლმეურნეობათა შენებისათვის რაიონში; უკვე არსებობს კოლმეურნეობათა ცენტრი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ალბულაღის კომუნა ამ ორგანოების საშუალებით წავა შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზით.

ალბულაღის კომუნა არის ადგილობრივი სახ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის წევრი. ეს ამხანაგობა კომუნას აწვდის როგორც კრედიტს, ისე სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

გარდა ამისა, კომუნას კრედიტს აძლევს საქართველოს სახ.-სამ. ბანკი და კომუნალური ბანკი.

კრედიტის საერთო თანხა, რომელიც კომუნამ მიიღო 1927—28 წ. სამეურნეო წელში, უდრის 11.900 მან., აქედან 4000 მან. მიღებულ იქნა კომუნალური ბანკიდან, ხოლო დანარჩენი 7.900 მან.—სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათაგან.

კრედიტები მიღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შესაძენად, საწველი და მუშა-საქონლის შესაძენად.

კრედიტები კომუნამ გამოიყენა შემდეგ მიზნებისათვის: 1) საწველი საქონლის შესაძენ—2.500 მან., 2) მეფუტკრეობისათვის—1.20 მან., 3) მეცხვარეობისათვის—1.500 მან., მეღორეობისათვის—1.500 მან., 4) სახ.-სამ. მანქანებისათვის—1.700 მან. სულ ამგვარად გამოყენებულ იქნა 8.400 მან., დანარჩენი თანხა—3.500 მან. გადადებულია სამინდვრო მუშაობისა და შენობების რემონტისათვის.

კომუნის სამეურნეო კავშირი მახლობლად მოსახლე გლეხობასთან თანდათან მტკიცდება; კომუნის ხელმძღვანელები გლეხის ერთეულ მეურნეობებს აკავშირებენ საწარმოო კოოპერაციაში სასოფლო-სამეურნეო არტელების, სამანქანო ამხანაგობათა და სხ. მოწყობის გზით.

### დეფექტები

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კომუნაში სუსტად მიმდინარეობს. განათლების მუშაკთა კავშირი არ იღებს აქტიურ მონაწილეობას კულტმუშაობაში (არ არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, ბიბლიოთეკები, წითელი კუთხეები და სხ.).

კომუნას აკლია კვალიფიციური მუშაკები და ხელმძღვანელები მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

კომუნამ დღემდე ვერ ჩაატარა მიწადმოწყობის მუშაობა, რაიც ძალიან აბრკოლებს იმ გეგმის შესრულებას, რომელიც კომუნამ დასახა თესვის დარგში.

კომუნის მეურნეობა ეწყობოდა ისე, რომ წინასწარ არ იყო შედგენილი სამეურნეო გეგმა, არ იყო გათვალისწინებული მეურნეობის ცალკე ნაწილები.

კომუნაში ჯეროვან ნიადაგზე არ არის დაყენებული ანგარიშწარმოება და ანგარიშგება.

კომუნის მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის აუცილებლად უნდა ჩაითვალოს შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

შრომის სწორი და სავალდებულო აღრიცხვა.

გეგმიანობის გაძლიერება კომუნის მეურნეობაში.

მეურნეობათა სპეციალიზაცია სასოფლო მეურნეობის რაიონების თავისებურებათა მიხედვით.

კომუნის ხელმძღვანელთა შემადგენლობის გაუმჯობესება და ზომების მიღება მათი კვალიფიკაციის ასაწევად.

ჩატარდეს მიწადმოწყობის მუშაობა, გაერთიანდეს მიწის ცალკე ნაჭრები და შესრულებულ იქნას გეგმა თესვის დარგში.

მიღებულ იქნას ზომები, რომ უბნის აგრონომებმა მეტი დახმარება გაუწიონ კომუნებს, განსაკუთრებით მეურნეობის საორგანიზაციო-საწარმოო გეგმის შედგენის დარგში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების საქმის კარგად დაყენებას.

შემოღებულ იქნას ანგარიშწარმოებისათვის საჭირო ყველა წიგნები. კომუნის წევრთაგან გამოყოფილ იქნას სპეციალური კაცი ანგარიშწარმოების გაძღოლისათვის და თუ შესაძლო იქნება, მოწვეულ იქნას გამოცდილი მოანგარიშე.

გაძლიერდეს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა კომუნის წევრებს შორის.

ვ—ნი.

## კოლექტიური ამხანაგობა „გულგულა“

(წერილი თელავიდან)

1906 წელს სოფელ გულგულაში მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა კომუნა ამხ. ივანე კოლელიშვილის მეთაურობით. ამ კომუნამ იარსება სრული 9 თვე, 9 იანვრიდან ოქტომბრამდე. დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ეს კომუნა. მასში გაერთიანებული იყო 125 გლეხის ოჯახი მთელი მამულით და ინვენტარით. ერთად ხვნა, თესვა, მომკა, ლეწვა, სიმინდებში და ვენახებში კოლექტიური მუშაობა, საქონლის საერთო მოვლა და გეგმიანად მისი გამოყენება. ერთი სიტყვით კომუნა წარმოადგენდა სოციალიზმის პირველ ჩანასახს. მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღი არ ჰქონდათ და მუშაობას აწარმოებდნენ პრიმიტიულად, მაინც ნაყოფი დიდი იყო, მიზანი თითქმის მიღწეული, მოკრეფილი ჭირნახული, ძნების ფირთა მოქცეულები, პურის ხვავები, სიმინდის გროვები, ბოსტნეულის მარაგი, ყველა ეს „საძმო“-ს საერთო საკუთრებას შეადგენდა, რომელიც იყო კოლექტიურ დამუშავების ნაყოფი. დარჩა საერთო ვენახების რთველი, რომლის შემდეგ იწყებოდა მეტად საყურადღებო ამოცანა; ეს—მოსავლის განზოგადოებრივება, საერთო ცხოვრების სახით, თუ სუბიექტიურად განაწილება, მაგრამ არ ეძინათ სოფლის კულაკებს და პოლიციას, რომელთაც ნიადაგი ეცლებათ და ამ დიდ საქმეს ერთ დღეს მოეღო ბოლო. ი. კოლელიშვილი კულაკების შეთქმულების მიერ თავით იქნა დაჭრილი, ხოლო პოლიციის მიერ ესევე კოლელიშვილი, როგორც ხალხის ამჯანყებელი და არსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილების დამხობის ინიციატორი, დაატუსაღეს და შემდეგ საზღვარგარეთ გააძევეს.

დაიშალა კომუნა, მაგრამ არ ჩამქრალა გლეხთა გულში ერთხელ ნაცადი კომუნის იდეალები. გულგულამ უკვე იცის, აქვს გამოცდილება თუ რა არის კოლექტიური მუშაობა და რა შედეგი მოაქვს მას.

და აი, 22 წლის შემდეგ, ამ კომუნის საძირკველზე, ისევ იმავე კოლელიშვილის მეთაურობით დაარსდა კოლექტიური ამხანაგობა „გულგულა“. ამხანაგობაში ჩაწერილია 58 გლეხი მსურველი კიდევ ბევრია. გრძელვადიანი სესხი ჯერ-ჯერობით გახსნილი აქვს ამხანაგობას 2.000 მან. რაოდენობით, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გეგმას, რომელსაც ეს კოლექტივი ისახავს, საჭირო იქნება დახმარება სასოფლო-სამეურნეო იარაღებითაც.

წელს, თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ რაიც არ უნდა დაუჯდეს კოლექტივი აშენებს 20 დესეტინა ვენახს ამერიკულ ნამყენზე. ხანგრძლივმა ზამთარმა ხელი შეუშალა მიწის გადაბრუნებას, მაგრამ ნამყენი ჩაიყრება ახრილების მეთოდით, რომელზედაც უკვე მუშაობს კოლექტივი, 5 წლის განმავლობაში უნდა გაშენდეს 100 დესეტინა ვენახი, რომელიც კოლექტიურად დამუშავდება და რომ[illegible] მოსავალს შეუძლია დიდი საქმეების გაკეთება.

რაც შეეხება სახნავს, კოლექტივის წევრები აერთიანებენ სახნავ მიწებს, მოვლა, ჭირნახულის მოკრეფა, მკა-ლეწვა იქნება კოლექტიური, რაც ხელს შეუწყობს როგორც შრომის პირობების გაუმჯობესებას, ისე მოსავლის ნაყოფიერებასაც.

ამ კოლექტივმა საქ. აბრ. ტრესტისაგან ითხოვა 2.000 ცალი თუთის ნერგი (უკვე მისცეს 1.200). ეს ნერგები ჩაიყრება ცალკე, ხოლო შემდეგში უფრო გაფართოვდება, საზოგადოთ აბრეშუმის მოყვანას ხელს უშლის კახეთში თუთის ხეების სიმცირე. კოლექტივს რომ თუთის ხეების მარაგი საკმარისი ექნება, მაშინ შეიძლება მეაბრეშუმეობას ფართოდ მოჰკიდოთ ხელი. მომავლისათვის კოლექტივი ფიქრობს მეაბრეშუმეობა გაიხადოს თავის შემოსავლის ერთ საგრძნობელ წყაროთ.

კოლექტივი აპირობს აგრეთვე საქონლისათვის ჰარხალი დათესოს წელსვე, მხოლოდ შემდეგში ბამბის თესვასაც მოჰკიდოს ხელი.

რაც შეეხება თვით მუშაობას, კოლექტივის წევრნი დაყოფილები არიან მეურნეობის დარგებად. მაგ. ვინც კარგი მევენახეა, უკვე გამოყოფილნი არიან ვენახის გაშენების საქმეზე. მხვნელ-მთესველნი ცალკე ჯგუფს შეადგენენ. რასაკვირველია იქნება საერთო, ყველა წევრების მუშაობაც ერთ დარგზე, როცა ეს საჭირო გახდება.

კოლექტივმა უკვე დაიწყო მუშაობა. წრევანდელი მისი გეგმა აუცილებლად 100 პროცენტით იქნება განხორციელებული, რადგან ჯერ ერთი თვით ამხანაგობის წევრების გამოცდილება და მუყაითობა ამის საწინდარია, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა ხელისუფლება ამას ყოველ მხრივ შეუწყობს ხელს,—[illegible] ხადა დასასრულ ამხ. კოლელიშვილმა.

ვან—ლი.

# პარტიული ცხოვრება

## თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ აღმასკომის დარბაზში გაიხსნა თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნებისა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების თავმჯდომარეთა მონაწილეობით.

პირველ სხდომაზედ პლენუმმა მოისმინა ამხ. ნ. ხვანძის ვრცელი მოხსენება მასიური მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხ. ჯღუაძე, სარჯაზანი, ახუნდოვი, კაციტაძე, ანარამბელი, კავტაძე, ბედია და სხვა.

ამხ. ხვანძის საბოლოო სიტყვა და სხვა საკითხების განხილვა, გადაიდო მეორე სხდომისათვის, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე იმავე დარბაზში.

პლენუმის ანგარიში მოთავსდება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

## რა სთქვა ღარიბთა ჯგუფების კონფერენციამ

(თბილისი)

ამ დღეებში დამთავრდა თბილისის მაზრის ღარიბთა ჯგუფების პირველი კონფერენცია.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია ჩატარდა მეტად საქმიან ფორმებში, ღარიბთა ჯგუფების წარმომადგენლები არა ჩვეულებრივი აქტივობით და ინტერესით მონაწილეობდნენ დღის წესრიგში დასმულ საკითხების გადაწყვეტაში.

პარტიის მოწოდება ამოცანების სოფლად, კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობა თბილისის მაზრაში, ახბულაღის კომუნის ანგარიში—აი კონფერენციის მიერ განხილული საკითხები.

ამხ. ლ. სუხიშვილის დასაბუთებული მოხსენება, რომელმაც ფართოდ იყო გაშუქებული ჩვენი საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის მოხრილ ამოცანები, საუკეთესო შესავალი გამოდგა კონფერენციის საქმიანობისათვის. „კამათმა და შემდეგ საკითხების გარჩევამ მოგვცა თბილისის მაზრის ღარიბი გლეხობის მდგომარეობის, მისი სურვილების და დაშთენილი სურათი.

გამოირკვა, რომ ჩვენ გვაქვს კიდევ მრავალი ნაკლი სოფლად მუშაობაში. ბევრ ადგილას ძველ მემამულეებს არ ჩამორთმევიათ მიწა, რომ გლეხობას არ ყოფნის მიცემული ნორმა, საიდან მიწათმოწყობის ჩატარების დროს 3—4 სულს ძლივდა ისეთივე ნაკვეთი, როგორიც 10 და 11 სულიანს შემდგარ ოჯახს.

მოუწესრიგებელია საძოვრების საკითხი. სოფლის შეძლებულ ნაწილს რასაკვირველია, ჰყავს გაცილებით მეტი საქონელი, ვიდრე ღარიბებს, აქედან ნათელია, რომ ღარიბების კუთვნილი საძოვარი ადგილებიც ფაქტიურად შეძლებული გლეხების სარგებლობაში იმყოფება.

ინტერესი გამოიწვია დელეგატებმა სასოფლო სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფო დაზღვევის საკითხებისადმი. დღემდე გადასახადით დასაბეგრ და დასაზღვევ ობიექტების აღრიცხვა სწარმოებდა ცალ-ცალკე. ეს გარემოება ხელს უწყობდა შეძლებულ გლეხობას გადაემალათ ქონების ნაწილი და შეცდომაში შეეყვანა საგადასახადო ორგანოები. დელეგატები მოითხოვდნენ, რომ საგადასახადო და დაზღვევის აღწერა ჩატარდეს ერთად.

ღარიბი გლეხობა წარსულთან შედარებით უფრო დაინტერესებულია კოლექტივიზაციის იდეით. ამას მოწმობს კონფერენციის მთელი მუშაობა და განსაკუთრებით ის უჩვეულო ყურადღება, რომლითაც ღარიბ გლეხობის წარმომადგენლები მოეპყრნენ სოფლის კავშირის მუშაობისას და ახბულაღის კომუნის ანგარიშს.

კომუნარების ყოფა-ცხოვრების საინტერესო წვრილმანები, კომუნის ორგანიზაციის პროცესი და მისი ეხლანდელი მდგომარეობა, რომელიც ვრცლად იყო გაშუქებული ამხ. ხაჯიევის მოხსენებაში—მოიდოდა მასალია კოლექტიური მეურნეობათა მდგომარეობის შესასწავლად.

ამ მოხსენებიდან და ორატორების სიტყვებიდან სჩანს, რომ ჩვენს მაზრაში კოლექტიური მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიწათმოწყობის დაჩქარება.

კონფერენციამ არ დაივიწყა არც კულტურული საკითხები. მრავალი დელეგატი ეხებოდა სასკოლო მშენებლობის, წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის, სამკითხველოების მოწყობის, სიტყვიერ დახმარების მოგვარების საკითხებს.

ნ—ი.

### ბიუროების საარჩევნო კრებებზე

**სახ. გზის მთ. სახელოსნოს საქვაბე სამქროში**

სახ. გზის მთ. სახელოსნოს საქვაბე სამქროს უჯრედის წევრები იკრიბებიან კრებაზე. ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მეღვინიშვილი. იმართება კამათი. ორატორები ამხ. კოხიავი, კუხუბკო, მარგიშვილი, ქუმიძე და სხ. ამხელენ ბიუროს ნაკლოვანებებს, ისინი აღნიშნავენ, რომ ბიურო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა წარმოების გაუმჯობესებას; ადმინისტრაცია ხშირად ცხოვრებაში არ ატარებს ბიუროს გადაწყვეტილებებს; პარტდისციპლინა არაა სწორად განსაზღვრული და სხვა. წ.-ა. ფეხოსანთა მე-21 სკოლიდან მოსულმა წითელ არმიელმა კამათში დასძინა, რომ საქვაბე სამქროსა და მათ უჯრედებს შორის არ იყო სათანადო კავშირი. კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და აირჩია ახალი ბიურო.

ი—ნ.

**სად. თბ. მოძრაობის დარგის უჯრედებში**

სად. თბილისის მოძრაობის დარგის უჯრედის კრებაზე ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს უჯრ. მდივანი ამხ. გ. სახოკია. ის დაწვრილებით აღნიშნავს ბიუროს მუშაობაში არსებულ მიღწევებს და დამსწრეთა ყურადღებას აჩერებს პარტაქტივის ზრდაზე.

მოხსენების ირგვლივ იმართება კამათი. ორატორები უმთავრესად ეხებიან საწარმოო საკითხებს და მოითხოვენ დეფექტების გამოსწორებას. კრება ბიუროს მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს. ამის შემდეგ, ლენრაიკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, აღნიშნული პარტუჯრედი იყოფა ორ უჯრედად — ერთში შედიან სად. თბილისის კონდუქტორები და მეორეში კ—სადგ. თბილისის ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები.

ორივე უჯრედმა აირჩია ახალი ბიურო.

გ. იაკ—ძე.

**სადგ. ნავთლუღის კომუჯრედში**

სადგურ ნავთლუღის კომუჯრედი ბიუროს გადარჩევისათვის შედგება ჯერ კიდევ ერთი თვის წინად. გამოყოფილ იქნა თვით შემმოწმებელი კომისია, რომელმაც წინასწარ გადასინჯა ბიუროს მუშაობა.

ბიუროს საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უჯრედს აქვს მიღწევები მუშაობაში, მაგრამ ამ მიღწევებს ბევრად არ ჩამოუვარდება ნაკლოვანებებიც.

ბიურო ჩრდილავდა საუჯრედო კომისიებს და თვითონ ასრულებდა მათ მოვალეობებს; ადგილკომის ფრაქცია სუსტად მუშაობდა, ესეც იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ბიურო თავის სხდომებზე იხილავდა ყველა პროფესიონალურ საკითხებს, ფრაქციას კი არავითარი რჩებოდა გასაკეთებელი.

კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ სამეურნეო საკითხებს.

— ლიანდაგი—სთქვა ერთმა მათგანმა, ცუდ მდგომარეობაშია ჩაყენებული, არა გვაქვს აუცილებელი სამუშაო იარაღები და მასალა, ასე გასინჯეთ ქვიშაც კი რომლის შეძენა სულ უბრალო საქმეა, არ მოგვეპოვება.

— მუშების შემცირება ჩატარდა, ადმინისტრაცია 13 კაცის შემადგენლობით კი ხელუხლებელადაა დატოვებული, რას უნდა მივწეროთ ეს?—სვამს კითხვას მეორე ორატორი.

ასევე საქმიანი კრიტიკით გამოდიოდნენ სხვა ორატორებიც.

ახლად არჩეულ ბიუროს მიეცა მრავალი პრაქტიკული მითითება.

ი. ქანთარია.

დღეს, 30 მაისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

## საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის მე-2 სხდომა

დღის წესრიგშია—მასიური მუშაობის შესახებ. საქართ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

აგრეთვე მოწვეულნი არიან რაიკომების პრეზიდიუმის წევრ-კანდიდატები მსხვილი უჯრედების მდივნები, კავშირების ცენტრ. გამგ. ფრაქციების წევრები და მსხვილ წარმოებათა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების თავმჯდომარეები (კომუნისტები).

# საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

## მუშაობა თადარიგის უფროსთა შემადგენლობასთან

ზაფხულის პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია თადარიგის უფროსთა მუშაობისათვის ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საქმეში. თუ რომ ზამთარში მუშაობა სწარმოებდა კაბინეტურად და ტარდებოდა რუქებით და სახელმძღვანელოებით, ზაფხულში იგი გადატანილ უნდა იქნეს ველად და უნდა მიიღოს საჭირო პრაქტიკული განხრა.

მთელ რიგ ადგილებში თავდაცვა-ავიაქიმი აწყობს ბანაკებს თავის წევრთათვის. უფროსთა შემადგენლობა აქ უნდა გახდეს მებაირახტრე, რათა ფიზიკური აღზრდის, გასამხედროებისა და, ბოლოს, დასვენების ეს საუკეთესო ფორმა რაც შეიძლება გავრცელდეს ფართოდ. ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ბანაკის მოწყობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა თავს მოიყრის მსურველთა ერთი ლეგიონი, უკიდურეს შემთხვევაში—მთელი ათასეული. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ასეთივე წარმატებით შეიძლება ბანაკის მოწყობა ასეულისა და ერთი ოცეულისათვის. საქმე რაოდენობაში არ არის. თუ რომ პირველი ცდა მოგვცემს კარგ შედეგებს—მეორე შეკრებაზე გამოცხადდება მსურველთა უფრო დიდი რიცხვი.

თადარიგის უფროსთა შემადგენლობა მიიღებს ამ შეკრებებზე შეერთებათა მართვის გამოცდილებას, გაიხსენებს საბანაკო წესებს, უხელმძღვანელებს პრაქტიკაზე სამხედრო მომზადებას და განაახლებს თავის ცოდნას.

გასულ წელს ფართოდ სწარმოებდა თავდაცვა-ავიაქიმის და კომკავშირის ორგანიზაციების მანევრები, ათასობით ახალგაზრდა ჩაბმული იყო ლაშქრულ ცხოვრებაში, გაეცნო ტაქტიკის საფუძვლებს და ჯარის საველე სამსახურს, თადარიგის უფროსთა შემადგენლობა მოზიდულ იქნა მანევრებზე მეთაურებად, იგი ეცნობოდა წესდებებს და ღებულობდა გამოცდილებას ხელმძღვანელობის დარგში. მანევრებმა მოუტანა დიდი სარგებლობა როგორც რიგის მონაწილეებს, ისე თადარიგის მეთაურებს.

მუშაობის კარგ ფორმად ცნობილ უნდა იქნეს აგრეთვე თადარიგის შემადგენლობის ჯგუფების გასვლა ველად ტაქტიკური ამოცანების გასარჩევად ადგილებზე, ეს მისცემს საშუალებას მეთაურთა შემადგენლობას, გააუმჯობესოს თავისი გამოცდილება ტაქტიკასა და ტოპოგრაფიის საქმეში.

თადარიგის უფროსთა შემადგენლობის საზაფხულო მომზადების ასეთ ფორმების გარდა, საჭიროა გამოყენებულ იქნეს წითელი ჯარის საზაფხულო სწავლებაც. ბანაკების დათვალიერება, ტაქტიკურ მეცადინეობასა და საბრძოლო სროლაზე დასწრება, ჯარის ნაწილების სპორტიულ დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება—ყველაფერი ეს გააცნობს თადარიგის მეთაურებს წითელი არმიის ცხოვრებასა და სწავლებას და წითელ არმიელთა აღზრდისა და სწავლების მეთოდებს.

განსაკუთრებით სასარგებლო იქნება თადარიგის მეთაურთა მიერ მონაწილეობის მიღება წითელი ჯარის მანევრებზე. ეს მონაწილეობა შეიძლება იყოს ორგვარი: 1) თავდაცვა-ავიაქიმის მუშათა ათასეულებში თადარიგის მეთაურთა თანამდებობებზე დანიშვნით. აქ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თვით თადარიგის უფროსთა შემადგენლობაზე, მათ უნდა დაამუშაონ მანევრებზე მონაწილეობის საკითხი, შეუთანხმდნენ ჯარის სარდლობას და სხვა. 2) მეთაურებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება მანევრებზე როგორც დამსწრეებს, მაყურებლებს.

უპირატესობა უნდა მიეცეს პირველი სახის მონაწილეობას, ვინაიდან თადარიგის მეთაურები, კადრის მეთაურების ხელმძღვანელობით, შეიძენენ დიდ გამოცდილებას.

გარდა ამისა, საჭიროა საზამთრო მუშაობის იმ ფორმების გამოყენება, რომლებმაც სავსებით გაამართლეს თავისი დანიშნულება: ასეთია—სამხედრო თამაში, კურსები, თვითმომზადება და სხვა. საჭიროა წითელი არმიის სახლებით ფართოდ სარგებლობა, ვინაიდან ეს სახლები წარმოადგენენ ცენტრს თადარიგის მეთაურთა შემადგენლობასთან მუშაობის გაერთიანებისათვის.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა ამ თავითვე უნდა დააყენონ საკითხი თადარიგის უფროსთა შემადგენლობასთან მუშაობის შესახებ. მათ დროულად უნდა შეიმუშაონ დაწვრილებით სათანადო გეგმები. ეს საშუალებას მისცემს თადარიგის მეთაურებს წარმატებით გაიარონ საზაფხულო სწავლება.

ა. რ.

## მეტი ყურადღება სამხედრო კუთხეებს

სამხედრო კუთხე სოფლად და ქალაქად წარმოადგენს მოსახლეობის გასამხედროების მძლავრ იარაღს. სამხედრო კუთხეში მშრომელნი ეცნობიან სამხედრო ხელოვნებას, თავდაცვის საკითხებს და იძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც საჭიროა ბრძოლისა და თავდაცვის დროს.

დღეს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში არსებობს სამასამდე სამხედრო კუთხე, რომლებიც შეძლებისდაგვარად ეწევიან მუშაობას მოსახლეობის გასამხედროების დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხეების მუშაობას თან სდევს მრავალი ნაკლი, რომელიც აფერხებს გასამხედროების საქმის ნორმალურად მსვლელობას.

არსებობს მრავალი „კუთხე", რომლებსაც არ შეიძლება ეწოდოს კუთხე, ვინაიდან იქ არის მხოლოდ სამხედრო ხასიათის რამოდენიმე პლაკატი და სურათი და მუშაობა კი არ მიმდინარეობს.

სუსტად არის დაყენებული სამხედრო კუთხეების მომარაგება ლიტერატურით და სახელმძღვანელოებით. მიუხედავათ იმისა, რომ სამხედრო კუთხეების მომარაგება ყოველ საჭირო მასალით უნდა მიმდინარეობდეს პოლიტგანების ხარჯზე—ეს არ ტარდება ცხოვრებაში და ჩვენი სამხედრო კუთხეები განიცდიან დიდ გაჭირვებას სამეცადინო მასალის უქონლობის გამო.

აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველი სამხედრო კუთხე იყვეს უზრუნველყოფილი გაზეთებით, ლიტერატურით და სამხედრო ხასიათის ჟურნალებით. უამისოდ, სამხედრო კუთხეების მუშაობა ვერ ჩადგება ნორმალურ კალაპოტში.

ყურადღება უნდა მიექცეს კუთხეებისადმი ხელმძღვანელობის საკითხს. დღის კუთხეებთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ხასიათის წრეები: სამხედრო, პოლიტიკური, პირველი დახმარების და სხვა. შემჩნეულია, რომ აღნიშნული წრეები ვერ სულდგმულობენ დიდხანს; მათი არსებობა განისაზღვრება ერთი-ორი კვირით. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ წრეების ხელმძღვანელნი ვერ აინტერესებენ წევრებს, ვერ უწევენ წრეს სათანადო ხელმძღვანელობას, რის გამო წევრები სტოვებენ წრეს და ეს უკანასკნელიც იშლება.

საჭიროა მიექცეს უაღრესი ყურადღება წრეების ხელმძღვანელების შერჩევის საკითხს. ხელმძღვანელად გამოყოფილ უნდა იქნეს ისეთი ამხანაგი, რომელიც იცნობს საწრეო მუშაობის ფორმებს და მეთოდებს და რომელსაც აქვს საკმაო გამოცდილება და უნარი. ამ დარგში ფართოდ უნდა იქნენ გამოყენებული შვებული წითელ არმიელები, ცვალებადელები, თადარიგის მეთაურნი, ექიმები, მასწავლებლები და სოფლის კულტურული ძალები.

ზაფხული საუკეთესო დროა სამხედრო კუთხეების მუშაობის გამოცოცხლებისათვის. ბანაკად გასული წითელი ჯარის ნაწილები ახლო იდგომებიან სამხედრო კუთხეებთან და ამ უკანასკნელებმა ფართოდ უნდა ისარგებლონ წითელი ჯარის ნაწილების დახმარებით და რჩევა-დარიგებით.

საბანაკო პერიოდის განმავლობაში, წითელი ჯარის ნაწილების დახმარებით, შექმნილი უნდა იქნეს სამხედრო კუთხის ირგვლივ ძლიერი აქტივი, რომელიც შეიძენს რა სათანადო გამოცდილებას ხელმძღვანელობის დარგში, შესძლებს ნაყოფიერ მუშაობის წარმოებას.

შ. მამალაძე.

### სამხედრო ქრონიკა

**ბანაკობა**

წითელი ჯარის ნაწილებმა უკვე დაიწყეს გასვლა ბანაკად.

მოკლე ხანში წითელ-არმ. შეუდგებიან სწავლების საზაფხულო პროგრამის გავლას.

**სამთვიანი სამოსწავლო შეკრება**

მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილებში 15 მაისიდან დაიწყო 1905 წელში დაბადებულთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება.

შეკრება გასტანს 15 აგვისტომდე, რის შემდეგ ახალწვეულნი გაიშვებიან შვებულებაში მორიგ შეკრებამდე.

**სამხედრო კოოპერაციის („ზაკვოენპო") 5 წლის თავი**

ამ დღეებში შესრულდა ხუთი წელი, რაც დაიწყო მოქმედება ამიერ-კავკ. სამხედრო მომხმარებელმა საზოგადოებამ („ზაკვოენპო")

ამჟამად სამხედრო კოოპერაციაში ირიცხება 31.000 წევრი. გასულ წელში კოოპერაციის საბრუნავი თანხა უდრიდა 10.621.000 მანეთს.

**სამხედრო კინო-სურათები**

დღევანდლამდის სახ. სამხედრო კინო-მრეწველობის მიერ გამოშვებულია 128 სამხედრო კინო-სურათი.

სურათების მეტი ნაწილი გამოყენებულია სწავლებისათვის წითელ არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობასთან.

მოკლე ხანში სამხ. კინო-მრეწველობა გამოუშვებს ახალ სურათებს, სადაც მოცემული იქნება საბჭოთა კავშირის მშრომელთა მზადება თავდაცვისათვის.

# საბჭოთა საქართველო

### დეპეშები

**ღარიბთა ჯგუფების მუშაობა ახალ-ქალაქის მაზრაში**

**ახალ-ქალაქი**, 28 მაისი. ახალქალაქის მაზრაში აპრილში ღარიბთა ჯგუფები მოეწყო თითოეულ სათემო ცენტრში; ჯგუფები მოწყობილია თემსაბჭოებთან, სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან, სარძევე არტელებთან, სამანქანო ამხანაგობებთან და გლეხკომებთან. უმეტეს სოფლებში, სადაც შექმნილია ღარიბთა ჯგუფები, ღარიბები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ კულაკებს. მაისის პირველ ნახევარში მოწვეულ იქნა ღარიბთა ჯგუფების სამაზრო კონფერენცია კომპარტიის და კომკავშირის თემკომების და კომუჯრედების მდივნებთან ერთად. კონფერენციაზე არჩეულ იქნა თითო დელეგატი ყოველი ჯგუფიდან (მაზრაში 28 ჯგუფია), უმთავრესად უპარტიო გლეხები, მოჯამაგირეები და ღარიბები. კონფერენციამ სერიოზული მსჯელობა იქონია ყველა წამოყენებულ საკითხებზე, შეჩერდა ყველა ნაკლულევანებებზე, რომელსაც სოფლის ორგანიზაციაში აქვს ადგილი, სახელდობრ ღარიბების არა საკმაო კოოპერატიულ შეკავშირებაზე, კულმუშაობის სისუსტეზე და სხვა. გამოტანილი იქნა დადგენილება სოფლის ცხოვრების ახალ საფუძველზე მოწყობის, ღარიბთა ჯგუფების ქსელის გაფართოების და არსებულ ჯგუფების მუშაობის გაღრმავების შესახებ.

**წყალსადენი სოხუმში**

**სოხუმი**, 29 მაისი. ქალაქში დაიწყო მიწის სამუშაო წყალსადენის მილების დასაწყობად. მუშაობა სწრაფად მიმდინარეობს იმ მიზნით, რომ პირველ აგვისტოსათვის დასრულდეს მილების დაწყობა. სამუშაოსათვის გადადებულია 350.000 მანეთი.

### წერილები

**მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრან**

მშრომელი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ენერგიულად ებრძვის წარმოება-დაწესებულებებში შემჩნეულ დაუდევრობასა და ბიუროკრატიზმს. თვითკრიტიკისა და კრიტიკის ლოზუნგი, რომელიც დღეს ფართოდ ტარდება ცხოვრებაში, გვაძლევს სრულ შესაძლებლობას მინიმუმამდე დავიყვანოთ წარმოება-დაწესებულებებში შემჩნეული ნაკლულევანებანი. ამ მიმართულებით ფართო მასების და პირველ რიგში მუშ-გლეხკორთა ამოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მუშ-გლეხკორთა ორგანიზაციები წარმოადგენენ იმ ძირითად ქსელს, რომლის საშუალებით საბჭოთა პრესა აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ საქმიანობაში.

პრესას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავისი დანიშნულების განხორციელება, თუ სათანადო ორგანოები გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებს საჭირო ყურადღებას მიაქცევენ და დაწვრილებით გამოარკვევენ კორესპონდენციაში აღნიშნულ ფაქტების სინამდვილეს. მიუხედავად ამისა ხშირია შემთხვევა, როდესაც დაწესებულებები სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს და თავს არ იწუხებენ პასუხის გაცემისათვის. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მიღებული პასუხი არადამაკმაყოფილებელია.

თუ რამდენად არადამაკმაყოფილებელია ზოგჯერ მიღებული პასუხი, ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: „კომუნისტი"-ს № 101-ში მოთავსებული იყო შენიშვნა შემდეგი სათაურით: „უდიერი გამგე". ეს შენიშვნა ეხებოდა მუხიანის ფ.-ტ. განყოფილების გამგეს—ბერაიას, რომ ის უდიერად ეპყრობა დაწესებულებაში მისულ გლეხობას. ამ კორესპონდენციის საპასუხოდ რედაქციამ მიიღო განმარტება ა.-კ. ფ.-ტ. სამმართველოსაგან. ეს განმარტება ეყრდნობოდა მუხიანის თემაღმას კომის თავმჯდომარის და ერთ-ერთ ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივნისაგან მიღებულ ცნობებს, რომ ბერაიას არასოდეს გლეხობისათვის არავითარი შეურაცყოფა არ მიუყენებია. მიუხედავად ამისა რედაქციამ ბერაიას უკანონო მოქმედების შესახებ ხელმეორედ მიიღო დასაბუთებული კორესპონდენცია სხვა ავტორისაგან. ესეც რომ არ იყოს, დაწესებულება, რომლის თანამშრომლის შესახებ იწერება გაზეთში წერილი, მარტო იმით კი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რომ წერილის სინამდვილის გასაბათილებლად საკმარისია ამა თუ იმ ორგანიზაციის მეთაურის განმარტება, არამედ მან ადგილობრივად უნდა მოახდინოს კვლევა-ძიება, დაჰკითხოს დაინტერესებულ პირებს და ამის შესახებ გამოიტანოს შესაფერი დასკვნა. უამისოდ ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ მიზანს, რაც დასახული აქვს თვითკრიტიკის ლოზუნგს და ეს უნდა იცოდეს ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

ენი.

**რატომ მოხდა ასე**

**მუხრანის სახალხო მამული**

კოლექტიურ ხელშეკრულებას ადმინისტრაციასთან სდებს პროფესიონალური კავშირი. მაგრამ განა დასაშვებია რომ ცენტრალური გამგეობამ დასდვას ხელშეკრულება მუშა-მოსამსახურეთა საკეთილდღეოდ და არ იცოდეს არც მაზრის და არც იმ წარმოების ადგილკომი, რომელთა შესახებაც იდება კოლხელშეკრულება? ვფიქრობთ, რომ დასაშვები არ არის. მიუხედავად ამისა, ეს მოხდა მუხრანის სახალხო მამულში. პროფკავშირის წარმომადგენელმა დასდვა ხელშეკრულება ადმინისტრაციასთან მაზრის და ადგილკომის წარმომადგენლების დაუსწრებლად, რასაც შედეგად მოჰყვა მუშების უკმაყოფილება. ეს გარემოება ეცნობა მაზრას, მაგრამ დღემდის პასუხი არ არის. ხელშეკრულება კი სრულდება ისე, როგორც მათ დასწერეს.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას, რომ შემდეგში მაინც არ განმეორდეს ასეთი შეცდომა, პროფკავშირის მიერ შემუშავებულ კოლხელშეკრულებას უსათუოდ უნდა იხილავდეს და ამტკიცებდეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

მეთვალყურე.

**აბრეშუმის პარკის მექანიკური საშრობი**

(წერილი ქუთაისიდან)

1926 წელს ხმარებაში შემოვიდა პარკის მექანიკური საშრობი მანქანა, რომელიც პირველად დაიდგა ქ. ოზურგეთში და დაიწყეს პარკის მექანიკურად ხმობა. 1927 წელს „საქ. აბრეშუმმა" გახსნა თბილისში მოკლე ვადიანი კურსები, სადაც გადამზადებული იქნა კვალიფიკაციური მეაბრეშუმე მუშაკები. 1927 წლის სეზონში ყველა ცენტრალურ პუნქტებში დაიდგა სიმპლექსის სისტემის საშრობი № 6, რომელსაც ადგილებზე ხელმძღვანელობდა კურსებზე გადამზადებული მუშაკები.

აღსანიშნავია ის გარემოება, თუ როგორი ტემპით მუშაობდა ეს ღუმელი და რა დადებითი მხარეები ახასიათებს მას. № 6 საშრობი, თუ მუშაობა სწორადაა დაყენებული 24 საათის განმავლობაში ახმობს 240 ფუთ აბრეშუმის პარკს, რითაც საშუალება გვეძლევა ჩვენს ქარხნებს სწრაფად მივაწოდოთ ხმელი პარკი ძაფის ამოსაღებად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 1927 წელში გამოხმობილი პარკი ვერ აკმაყოფილებდა აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხნის მოთხოვნილებას მისი არანორმალური გამოხმობის გამო, რადგანაც გასულ წელს ღუმელებზე ვერ სწარმოებდა ტემპერატურის ნორმალური დაცვა. ვერ იყო ღუმელში საწვავი მასალის სწორი მიწოდება და ამის გამო ტემპერატურა ხან ნორმის ზევით იწევდა, ხან კი დაბლა, რაც დიდ გავლენას ახდენს პარკის ღირსებაზე და მის გამოსავლიანობაზე.

გასულ წელს ვხელმძღვანელობდით ხშ. ჩოხაძის მიერ გამოცემული წიგნით, რომელიც საშუალებას გვაძლევდა სწორი მუშაობისათვის.

მომავალ სეზონში საჭიროა, რათა სპეციალისტების მიერ გამოანგარიშებულ იქნეს, თუ ერთი საათის განმავლობაში, ამა თუ იმ ტემპერატურის დაცვის დროს, რამდენი კილოგრამი საწვავი მასალა არის საჭირო, რომ მომავალში არ იქნეს ადგილი ტემპერატურის ხშირ ცვალებადობას, რომელიც დიდად ამცირებს გამოხმობილი პარკის როგორც თვისებას და ღირსებას, ისე ამოღებული პარკის გამოსავლიანობას და მის ხარისხს.

ვ. ლეჟავიშვილი.

### გლეხკორთა წერილებიდან

**ჩვენ სამკითხველოსაც მიხედეთ**

**ს. ქვემო-ქედი, სიღნაღის მაზრა**

მეორე წელიწადია, რაც ს. ქვემო-ქედში გაიხსნა სამკითხველო. ამ სოფელში დასახლებულია მთიდან ჩამოსახლებული 250 კომლი ფშაველები. ესენი დიდი მოწადინებული არიან სწავლის შეძენის. სამკითხველოს ხელმძღვანელობს ამხ. გიორგი ჯერვალიძე. ის ენერგიულ ზომებს იღებს მოსახლეობაში ცოდნის შესატანად, მაგრამ სამკითხველოს არ მოეპოვება საკმაო ჟურნალ-გაზეთები და საჭირო ლიტერატურა. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

ფანო ს.

**გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა**

**მუხიანის თემი, ქუთაისის მაზრა**

ამას წინად მუხიანის თემში გაიხსნა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა. მის სამოქმედო რაიონში შედის 4 თემი: ბაზი, საყულია, ფარცხანაყანევი და თვით მუხიანი. აღნიშნულ ამხანაგობის გამგეობაში არჩეულ იქნა ღარიბი და საშუალო გლეხობა. დღემდის ამ რაიონის გლეხობის ნაწარმოები ხელში უვარდებოდა კერძო ვაჭრებს. ამიერიდან ამას ბოლო მოეღება. საკრედიტო ამხანაგობა სესხთან ერთად მიაწვდის გლეხობას სამეურნეო იარაღ-მანქანებს და ამით გაუმჯობესდება გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა.

სოფლად მომუშავე.

### ჩვენი ქვეყანა

ოდესღაც ლექსი მე მიუძღვენ იმ „ჩემს ქვეყანას"
სადაც მე მწამდა ნეტარება და დავისვე,
ასე ვფიქრობდი: ბედით ვიყავ მსხვერპლი სტიქის,
და მიტომ ვგმობდი ძველ დროების დასისხლულ ხანას—
დღეს წარსულიდან მოგონება სავსეა შხამით,
გმობილი მამობელს—მოსისხლე მტერს არ დამინდობდა
და მე—ეული ნეტარებდი სულის სიამით,
როცა ოცნება უსაზღვროში ლაღათ დაჰქროდა...
ეს იყო წინათ... და მე ვიგრძენ ძალა საერთო
და მეც ცხოვრების ცეცხლიან გულს დავესხი ნავთით,
ყველა ტანჯულებს ბრძოლის ცეცხლით გული აგვენთო,
მკლავდებოდით ბრძოლის ველზე მტრებს ერთი ათით...
და ჩვენ დავიწყეთ ეს ცხოვრება „დიდი ამბავი"-თ—
მეხის გავარდნის და მიწის ძვრის გვაქვს შედეგები—
ამოვსებული „ქაობები" მომსკდარი შავით
და ნაშვავზე მოვეფენილვართ ჩვენ, ვით ფუტკრები
წინ მიგვიძღოდა კომანდორათ დიდი ბელადი
და უძლეველი ჩვენი გემი ზღვის სტიქიაში,
შრომაში ტანჯვა ამოვჭყურეთ, ბრძოლაში—დარდი,
ისე ვმღეროდით ჩვენ ქარ-ბუქში, ვით მზიან დარში.
„ჩემი ქვეყანა" დღეს ჩვენია და თავს ვევლებით:
მილიონები ოფლსა ვღვრიდით და კიდევ დავღვრით
რომ ბაირაღებით მოეფინოს მინდორ-ველები
შრომის სასახლე მზეს წვდებოდეს მაღალი თაღით
ჩვენ შებმული ვართ ყველა ერთათ „უღელში ხსნისა"
ვინ ჩაქუჩებით, ვინ თოფებით და ვინ კალმებით
ჩვენი ქვეყანა თვით „გემია შემეცნებისა"
მეზღვაურები ჩვენ ვართ შრომით რომ არ ვიღლებით.
ჩვენ ყველა ვშრომობთ და არავინ ოფლს არ იშურებს,
(ერთგულებს ჯილდო და აღნიშვნა წითელ დაფაზე)
და გვიხარია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შვილებს
ხუთმეექვსედს რომ სულ ვიუფლებთ დედა მიწაზე.

სანდრო ეული.

### ხორბლეულის დამზადება 1928-29 წელში

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, სახ. მამულების ტრესტის, „სოფლის კავშირის", ცეკავშირის, საქართველოს სახ. ვაჭრობის ბანკის ამხანაგების და „ხლებოპროდუქტი"-ს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ადგილობრივ ხორბლეულის დამზადების საკითხი.

თათბირზე აღნიშნულ იქნა, რომ ადგილობრივი ხორბლეულის რეალიზაცია ბაზარზე ხდება ყოველგვარ გეგმის გარეშე, რაც სპეკულაციის საშუალებას აძლევს კერძო ვაჭრებს.

თათბირმა საჭიროდ სცნო ადგილობრივი ხორბლეულის გეგმიანი დამზადების წარმოება.

ხორბლეულის მთავარ დამამზადებლად საქართველოში აღიარებული იქნა „ხლებოპროდუქტი", რომელმაც დამზადება უნდა ჩაატაროს „სოფლის კავშირი"-ს და ცეკავშირის აგენტების საშუალებით.

თანახმად ვაჭრობის კომისარიატის მიერ შემუშავებული ხორბლეულის დამზადების საკონტროლო ციფრების, საქართველოში მომავალ სამეურნეო წლის განმავლობაში დამზადებული იქნება: სიმინდი—1.000.000 ფუთი, ხორბალი—100.000 ფუთი და ქერი 100.0000 ფუთი. სიმინდი დამზადებული იქნება ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში; ხორბალი—სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს და გორის მაზრებში, ხოლო ქერი—ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს და გორის მაზრებში.

დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ იმ მაზრებში, სადაც იწარმოებს დამზადება შეიტანონ სამრეწველო საქონელი.

### „მშრომელი ვაჭრები"

(წერილი სიღნაღიდან)

საბჭოთა ხელისუფლების დროს ვაჭარ-სპეკულიანტების მცირე ნაწილმა თავი მიანება ვაჭრობას, სპეკულანტურ ოინებს და ცდილობს მეურნეობასთან უშუალო კავშირის დაჭერით ან სხვანაირი შრომით იცხოვროს. მეორე ნაწილი ვაჭარ-სპეკულიანტებისა ჯერ-ჯერობით „უმკლავდება" გადასახადებს და კოოპერაციას იეროშებს. არის ვაჭრების მესამე „ჯიში", ეგრედ წოდებული „მშრომელი ვაჭრები". უკანასკნელნი იმით განირჩევიან დანარჩენ ვაჭრებისაგან, რომ ისინი ერთ და იმავე დროს ვაჭრობენ და დაქირავებულ შრომითაც ეწევიან მეურნეობას.

ვაჭრების ამ მესამე კატეგორიას ეკუთვნის ველისციხის თემის მცხოვრები, წყალობა ავაქოვიც.

ავაქოვი ცდილობს გაზარდოს ამჯერა შემოსავლის წყაროები რომ გაუმკლავდეს „ნალოგების სტიქიას" და უშრომლად იცხოვროს. ამ მიზნით ის ვაჭრობს ველისციხეში, სიღნაღის მაზრის ყველა ბაზრობაზე, მადის ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთში და ყველგან აბამს მევახშურ და სპეკულანტურ ქსელს. ამასთანავე ავაქოვი, როგორც „მშრომელი ვაჭარი" სხვადასხვა მახინაციებით ახერხებს ორი დესეტინა ვენახის ხელში ჩაგდებას და ამუშავებს ვენახს მუდმივი დაქირავებულ შრომით.

ადგილობრივი ხელისუფლება კანონიერ საზღვარს უდებს ავაქოვის გამდიდრების მადას და ადგენს „ჩამორთვას წყალობა ავაქოვს ვენახი, როგორც ვაჭარს და მუდმივ დაქირავებული შრომით მოსარგებლეს. ჩამორთმეული მიწა გადირიცხოს ფონდში". სხვადასხვა დაბრკოლებების გამო ზემოაღნიშნული დადგენილებისათვის მსვლელობის მიცემა დაგვიანდა 1928 წლის თებერვლამდე. 1928 წლისთვის ავაქოვმა ვაჭრობის პატენტი არ აიღო და თავი გამოაცხადა „ღარიბის გლეხად" ავაქოვისაგან ჩამორთმეული ვენახის დამტკიცებას რესპუბლიკანურ ორგანოებში მსვლელობა ეძლევა ა. წ. აპრილში და სწორედ ამ მომენტში ავაქოვი სათანადო ორგანოებში არდგენს ველისციხის თემაღმასკომის მოწმობას იმის შესახებ, რომ ის (ავაქოვი ამჟამად არ არის ვაჭარი, აღნიშნულ მოწმობის წარდგენასთან ერთად ავაქოვი განცხადებაში აღნიშნავს, რომ ის „არასოდეს ვაჭარი არ ყოფილა. სიღნაღის სამაღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილებაში ავაქოვის საქმეში დართული აქვს სიღნაღის მაზრის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორიდან გაცემული სავაჭრო პატენტი № 1388, რომელიც ადასტურებს, რომ წყალობა ავაქოვი 1928 წლის დასაწყისამდე ეწეოდა მუდმივ ვაჭრობას.

როგორც იყო აღნიშნული, ველისციხის თემაღმასკომიდან ავაქოვმა ნამდვილად მიიღო მოწმობა იმის შესახებ, რომ ავაქოვს 1928 წლის განმავლობაში არ აუღია სავაჭრო პატენტი და დღეს არც ეწევა ვაჭრობას. მაგრამ ეს ავაქოვის სასარგებლოდ მდგომარეობას სრულიად არ სცვლის. ავაქოვისაგან ვენახის ჩამორთმევის დადგენილება გამოტანილია 1927 წლის 8 აგვისტოს, სწორედ მაშინ, როდესაც ავაქოვი სახელმწიფო პატენტით ხელში განახორციელებულ ვაჭრობას აწარმოებდა.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ავაქოვისათვის „მშრომელ ვაჭრებს" ჯერ კიდევ 1923 წელში მიეცათ გაფრთხილება, რომ მათ მამულები ჩამოერთმევათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საბოლოოდ ვაჭრებად დარჩებიან. ასეც მოხდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კანონიერ ფარგლებში ნამდვილ ვაჭრებს ჩამოართვა მამულები მიმდინარე წლის დამდეგს. ამ დადგენილებაში მოყვა ავაქოვიც.

ახლა ავაქოვი ველისციხის თემაღმასკომის მოწმობით (იმის შესახებ რომ ის დღეს არ ვაჭრობს) ცდილობს ჩამორთმეული ვენახის უკან დაბრუნებას, მაგრამ ავაქოვი ამ მახინაციებით შორს ვერ წავა. ავაქოვმა ვაჭრობას თავი მაშინ დაანება, როდესაც მან გაიგო ველისციხის საბჭოს (1927—28 აგვისტოს) დადგენილება მისი ვენახის ფონდში გადარიცხვის შესახებ.

შეიძლება ავაქოვზე ამდენი სიტყვის გაგრძელება არც კი ღირდა და ეს უთუოდ ასედაც არის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სიღნაღის მაზრაში „წყალობა ავაქოვები" გამონაკლისს არ შეადგენენ. ზოგიერთ თემებში „მშრომელი ვაჭრები" საზოგადო სენს წარმოადგენენ. თუ ავაქოვს გაუვიდა ფანდები, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვებიც მასთან ერთად ამოიღებენ ხმას.

ავაქოვი „გამოსწორებული" ვაჭარი და მევახშეა. ამიტომ მას დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას ვენახი, როგორც არამშრომელ

აკ. შოშუა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ბუნების ძალების შესწავლა და გამოყენება

ადამიანის არსებობა დედამიწაზე უხსოვარ დროიდან იწყება და მისი ისტორიის წელთ აღრიცხვა მრავალ ასეულ საუკუნეებს ითვლის. მრავალმა ათასმა წლებმა განვლო, სანამ ადამიანი ამაღლდებოდა სხვა ცხოველებზე ბიოლოგიურად და სოციალურად და გამოცალკევდებოდა მათგან. თავდაპირველად ადამიანი ყველა თავის მოთხოვნილებას საკუთარი კუნთების მუშაობით აკმაყოფილებდა, მაგრამ ეს საშუალება იყო სუსტი და ამიტომ ადამიანის გონება უძველეს დროიდანვე მისწრაფვის საწარმოო და საბრძოლველ „დაცემა-თავდაცვისა და ნადირობისათვის გამოსადეგ იარაღების დამზადება-გამოგონებისაკენ. ადამიანმა იმთავითვე მიაქცია ყურადღება აგრეთვე გარეულ ცხოველთა მოშინაურებას. მოშინ-ცხოველებმა დიდი სამსახური გაუწიეს ადამიანს, როგორც მეურნეობის, ისე მიმოსვლის საქმეში. გადის საუკუნეები და კაცობრიობა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს კულტურის გრძელ სავალ გზაზე. მისი მსვლელობის სისწრაფე დამოკიდებული იყო მის გარშემო არსებულ საგანთა და მოვლენათა შესწავლა დაპყრობებზე და აქედან მიღებულ ცოდნაზე. პირველ ხანებში ადამიანი სრულიად უმწეო იყო ბუნების მრავალ მოვლენათა წინაშე. ეს მოვლენები მასში იწვევდნენ არა მარტო გაკვირვებას, არამედ შიშსაც რადგან ზოგიერთი ამ მოვლენათაგანი, მისი უვიცობის გამო, ზიანსაც აყენებდა მას.

თანამედროვე ადამიანი მრავალ მუშაობას აწარმოებს არა მარტო თავისი კუნთების სიმძლავრით, არამედ ამა თუ იმ სამუშაოს საწარმოებლად იყენებს მრავალგვარ მანქანების მექანიკურ სიმძლავრეს. ეს კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანმა შესძლო ბუნებაში არსებულ სხვადასხვა სახის ენერგიის გამოყენება თავის სასარგებლოდ. ბუნებაში არსებულ ენერგიის ფართო გამოყენება იწყება იმ დროიდან, როდესაც შეხედულებები ბუნებაზე და მასში მომხდარ მოვლენებზე დაემყარა მეცნიერულ ცოდნას. მეცნიერულ ბუნებისმეტყველებას გრძელი ისტორია არა აქვს, ის ახალ დროის კუთვნილია. უძველეს დროის კულტურულმა ხალხებმა: ეგვიპტელებმა, ბაბილონელებმა, ინდოელებმა და განსაკუთრებით ბერძნებმა და რომაელებმა დაგვიტოვეს თავიანთ მაღალ ცივილიზაციის ისეთი საკვირველი ძეგლები, რომელთა შექმნა შეუძლებელი იყო დიდი ცოდნის გარეშე და მართლაც მათემატიკა და მექანიკა (არქიმედ, ჰერონი და სხვები) საკმაოდ იყო განვითარებული იმ დროს. მაგრამ ქრისტიანობის წინად არსებული ბუნებისმეტყველების მეცნიერულ ჩანასახების განვითარება-გაზრდა დიდ ხანს შეაჩერა ხალხთა დიდი გადასახლების მიერ გამოწვეულმა არეულ-დარეულობამ და მის შემდგომ მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე გაბატონებულმა ქრისტიანიზმმა, საეკლესიო მოძღვრებამ. შეხედულებანი ბუნებაზე და მის მოვლენებზე საშუალო საუკუნეებში ორ ავტორიტეტს ემყარებოდა. ერთი იყო ქრისტიანული ეკლესია და ყველაფერი რაც არ ეთანხმებოდა „საღვთო წერილს" გამოცხადებული იყო სარწმუნოების ღალატად, მწვალებლობად. მეორე ავტორიტეტი—არისტოტელეს სწავლა ბუნებაზე და ამ სწავლაზე დამყარებული ბუნებისმეტყველება იყო. არისტოტელეს ბუნებისმეტყველება კი შორს იყო ჭეშმარიტებისაგან.

არა ერთი და ორი მქადაგებელი ჭეშმარიტი ცოდნისა და მეცნიერებისა შეიწირა მსხვერპლად საშუალო საუკუნეების სარწმუნოებრივმა ფანატიზმმა და ობსკურანტიზმმა. გავიხსენოთ თუ გინდ გალილეი. გალილეის დევნა და წამება ინკვიზიციის მიერ, დევნა კოპერნიკის მოძღვრებისა და ამ მოძღვრების ქადაგებისათვის ცეცხლზე დამწვარი ჯორდანო ბრუნო.

მიუხედავათ ეკლესიის სასტიკი წინააღმდეგობისა და დევნისა ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანის გონება მაინც იკვლევს გზას საშუალო საუკუნეებში შექმნილ გონებრივ სიბნელეში და მე-16 საუკუნის დამლევიდან ადამიანის შეხედულებანი ბუნებაზე და მის მოვლენების შესახებ დგება მეცნიერულ ნიადაგზე. მეცნიერების აღორძინების ხანას ამშვენებენ ისეთი გენიალური მკვლევარ-მეცნიერნი, როგორიც არიან: ფ. ბეკონი, კოპერნიკი, კეპლერი, გალილეი, ნიუტონი და მრავალი სხვა. ამავე ხანებში არსდება სხვადასხვა მეცნიერული საზოგადოებანი—ინგლისის სამეფო საზოგადოება, პარიზის აკადემია და სხვები და იქ გამართულ ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობაზე შეიძლება განმეორებულ იქნას ფ. ბეკონის სიტყვები: „მე დავრეკე ზარი, რომელმაც ერთად შეკრიბა ყველა ნიჭიერი ხალხი".

ინგლისის სამეცნიერო საზოგადოების ხუთი წლის მოღვაწეობის დაფასებაში იმ დროინდელი მეცნიერნი ასე ახასიათებდენ მეცნიერების მნიშვნელობას: „ბუნებაზე ადამიანის ბატონობის გაზრდა და მისი (ადამიანის) განთავისუფლება ცრუმორწმუნეობის მონობიდან უფრო პატივსაცემი საქმეა და მოქმედებაა, ვინემ მთელ რიგ იმპერიათა დაპყრობა და მონობის უღლის დადგმა ხალხთა კისერზე". და მართლაც ბუნებისმეტყველების მეცნიერულ ნიადაგზე დაწყებულმა აღორძინებამ და შემდგომმა განვითარებამ და მისმა სწორმა მეთოდებმა დიდად შეუწყო ხელი ადამიანის გამეფებას ბუნებაზე. მეცნიერების განვითარებასთან ერთად აღორძინებას იწყებს ტეხნიკაც და, თუ მანამ ადამიანი თავის ყოველ სამუშაოს ასრულებდა საკუთარ და მუშა-ცხოველთა კუნთების ძალის მეოხებით და მხოლოდ მცირედით იყენებდა ზოგიერთ პრიმიტიულ მანქანათა ენერგიას, მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ჯეიმს უატის მიერ ორთქლის მანქანის გამოგონებისა და მეცხრამეტე საუკუნეში ელექტრო მოვლენათა შესწავლისა და ამ ახალ ენერგიის პრაქტიკულ გამოყენების აღმოჩენის შემდეგ ადამიანის შრომის მექანიზაცია სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. თანამედროვე ტეხნიკა არ კმაყოფილდება მარტო იმით, რომ მან მანქანებში შესძლო რამდენიმე ასეულ და ათასეულ ადამიანის სიმძლავრის გაერთიანება და ბუნებაში არსებულ ენერგიის გამოყენება ამ მანქანათა ასამუშავებლად, არამედ ის მიისწრაფვის იქითკენ, რომ ეს მანქანები გაანთავისუფლოს ადამიანის მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობისაგან, შრომის მექანიზაციასთან ერთად სწარმოებს მანქანათა ავტომატიზაცია. და ამრიგად მთელი რიგი თანამედროვე მანქანები გვევლინება, როგორც მრავალ გვარ მუშაობის შემსრულებლები, ისე ამ მუშაობათა თვით მომწესრიგებლები, ადამიანის დახმარებლივ.

ძველმა ხალხებმა დაგვიტოვეს თავიანთ ნაშენობათა გრანდიოზული ძეგლები, რომლებიც ბევრით არ ჩამოუვარდება თანამედროვე ნაშენობათ, მაგრამ რომ შევადაროთ ძველ და ახალდროინდელ ნაშენობათა მუშაობის პროცესები და ხანგრძლიობა, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რა დიდ როლს თამაშობენ ამა თუ იმ მუშაობის წარმოებაში მანქანები. ხეოპსის ცნობილ პირამიდის აგებაზე, ბერძენ ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობით, ყოველდღიურად მუშაობდა 100 ათასი მუშა და მის აშენებას 20 წელი დასჭირდა. თანამედროვე ტეხნიკის პირობებში კი ამერიკელები თავის ას სართულიან სახლებს, ერთი წლის განმავლობაში აშენებენ და მუშების ძლიერ მცირე რაოდენობას იყენებენ. ხელით მუშაობის და მექანიკური შრომის ოდენობათა შესადარებლათ მოვიყვანოთ ცნობები, რომელსაც იძლევა ამერიკის ერთ ერთ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლის გამოანგარიშება. შედარებისათვის ის უშვებს, რომ ადამიანის მუშაობა 8 საათის განმავლობაში უდრის ერთ მეოცედ ცხენის ძალს, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 8 საათს, სამუშაო დღეების რიცხვი 300, რასაკვირველია ეს ცნობები დაახლოვებითია და არა ზუსტი, მაგრამ მაინც საინტერესო მასალას იძლევა. ცნობები შეეხება 1920 წელს.

წლის განმავლობაში ხელით მუშაობა იძლევა: ჩინეთში—20; ბრიტანეთის ინდოეთში—13; საბჭოთა კავშირში—5,5; შეერთებულ შტატებში—5,5; იაპონიაში—4; გერმანიაში—3; იტალიაში—2; საფრანგეთში—2; ინგლისში—2; პოლონეთში—1,5; ჩეხო-სლოვაკიაში—0,7; კანადაში—0,5, ჰოლანდიაში—0,4; ბელგიაში—0,4 და ავსტრალიაში—0,3 მილ. ცხ. ძალას.

მექანიკური შრომით: შეერთებულ შტატებში—190,3; ინგლისში 45,8; გერმანიაში—41,5; საფრანგეთში—17,8; კანადაში—10,5; იაპონიაში—8,75; საბჭოთა კავშირში—7,7 ჩეხო-სლოვაკიაში—0.53; საფრანგეთში—0.46; ავსტრალი ინდოეთში—5,7; პოლონეთში—4,85; ჩინეთში—4,51; იტალიაში—4,15; ავსტრალიაში—2,71 და პოლონეთში—2,6 მილიონ ცხენის ძალას.

მოსახლეობის ერთ სულზე ენერგიის რაოდენობა (ცხენის ძალებში) სხვადასხვა ქვეყნებში განაწილებულია: შეერთებულ შტატებში—1,7; კანადაში—1,05; ინგლისში—0,98, ბელგიაში—0,96; გერმანიაში—0,67; ჩეხო-სლოვაკიაში—0,53; საფრანგეთში—0,46; ავსტრალიაში—0.45 ჰოლანდიაში—0.37; პოლონეთში—0,16; იტალიაში—0,11; იაპონიაში—0,11; საბჭოთა კავშირში—0,07, ბრიტანეთის ინდოეთში—0,02, ჩინეთში—0,01.

ხელით მუშაობის და მექანიკური შრომის შედარებიდან სხვადასხვა ქვეყნებში შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოყვანა: რამდენადაც ფართოდაა გამოყენებული მექანიკური შრომა, იმდენათ თავისუფალია ადამიანი ამა თუ იმ სამუშაოს უშუალო შესრულებიდან და იმდენად მეტადაა დამორჩილებული და გამოყენებული ადამიანის სამსახურისთვის ბუნების ძალები. მექანიკური შრომის პროცენტა საერთო შრომა—მუშაობაში მაჩვენებელია ქვეყნის ეკონომიური და კულტურული დონის სიმაღლისა. ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ რამდენადაც ნელი ნაბიჯით სწარმოებდა ბუნების ძალთა შეცნობა და გამოყენება ადამიანის სასარგებლოდ ძველად, იმდენათ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ეს პროცესი ჩვენს დროს.

შ. შ—ძე.

### გერმანელ ქიმიკოსების ყრილობა

(წერილი გერმანიიდან)

გერმანელ ქიმიკოსების კავშირი 30 მაისს დრეზდენში იწვევს მორიგ მე-41-ე ყრილობას. დღის წესრიგი შეიცავს მთელ რიგ საინტერესო საკითხებს და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყრილობა იპყრობს გერმანიის ყველა სამეცნიერო წრეების ყურადღებას.

მოხსენებების უმეტესობა ეხება ქიმიური მრეწველობის ახალ დარგს, რომელმაც განვითარება ჰპოვა ომის შემდეგ—ქვანახშირის გადაქცევას ბენზინის და ნავთის მსგავს პროდუქტებათ.

ნახშირიდან ხელოვნურ ნავთის პროდუქტების მიღების წესი პირველად გერმანელმა ქიმიკოსმა ბერგიუსმა აღმოაჩინა. ბერგიუსის შემდეგ მთელმა რიგმა გერმანელმა და უცხოელმა ქიმიკოსებმა გამოაქვეყნეს თავიანთი აღმოჩენები ამ დარგში. ზოგიერთი ახალი პროექტები სჯობნის ბერგიუსის პირვანდელ პროექტს. ზოგი მათგანი, მაგალითად, შესაძლებლობას იძლევა მდარე ხარისხის ნახშირიდან მიღებულ იქნეს ისეთი ძვირფასი პროდუქტები, როგორიც არის ბენზინი, ტეხნიკური ზეთები და სხვ. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ქიმიური მრეწველობის ახალმა დარგმა განსაცვიფრებელ განვითარებას მიაღწია. გერმანიაში ამჟამად მომქმედი ქარხნები, სადაც ნახშირიდან ნავთის პროდუქტებს ამზადებენ, საშუალებას აძლევენ გერმანიას მოთხოვნილება ნავთის პროდუქტებზე შინაური საშუალებით დაიკმაყოფილოს. გერმანიას განზრახული აქვს უახლოესი წლების განმავლობაში ააგოს მთელი რიგი ასეთი ქარხნები იმ ანგარიშით, რომ ბუნებრივი ნავთის პროდუქტებიდან თანდათანობით გადავიდეს ხელოვნური ნავთის პროდუქტების მოხმარებაზე.

ხელოვნური საწვავი სითხე, მიღებულ ნახშირის გადამუშავების შემდეგ, თავისი თვისებებით სჯობნის ბუნებრივ ბენზინს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი დროის საავტომობილო შეჯიბრების დროს ყოველთვის იმარჯვებდენ ის ავტომანქანები, რომლებიც ხელოვნური ბენზინით სარგებლობდნენ. ხელოვნურ ბენზინის ფასი ამჟამად უკვე გაუთანასწორდა ბუნებრივი ბენზინის ფასს. ნახშირის ნავთის პროდუქტებათ გადამუშავების მეთოდების გაუმჯობესებაზე ამჟამად მთელი რიგი გამოჩენილი მკვლევარი მუშაობს და ვფიქრობთ, რომ არც ისე შორეულ მომავალში ხელოვნური ბენზინი ნატურალურზე იაფი ეღირება.

ახალი აღმოჩენის მთელი მნიშვნელობა უფრო ცხადი შეიქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კაცობრიობა სდგას ნავთის წყაროების დაშრეტის წინაშე. ნახშირის მარაგი თუმცა ულევი არ არის, მაგრამ მაინც დიდია. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ გერმანელ ქიმიკოსების აღმოჩენა შესაძლებლად ხდის ნავთის პროდუქტების მიღებას არა მარტო ნახშირიდან, არამედ ტორფიდანაც, რომლის მარაგი დედამიწაზე ძლიერ დიდია.

მკვლევართა აზრი ამჟამად გაფაციცებით მუშაობს ორი მიმართულებით: ნახშირის გადამუშავების გაუმჯობესებაზე და ტორფიდან და ხიდან ნავთის პროდუქტების მიღების პრობლემაზე. ეს გაფაციცებული მუშაობა გამოხატულებას პოულობს მთელ რიგ მოხსენებებში, რომლებიც ყრილობაზე იქნება წაკითხული.

ქიმიური მრეწველობის ახალი დარგის საძირკველის ჩამყრელი პროფ. ბერგიუსი ყრილობაზე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ნახშირი და ხე ქიმიური და სამრეწველო თვალსაზრისით", პროფ. მიულლერი —„ნახშირიდან ნავთის პროდუქტების მიღების საკითხის თანამედროვე მდგომარეობა", პროფ. ბუბე—„მდარე ხარისხოვან ნახშირის მშრალად გადამუშავება". პროფ. ვულფი—„ტეხნიკურ ზეთებზე, რომლებსაც ამჟამად ამზადებენ ნახშირიდან", პროფ. მალლისონი—„ქვანახშირიდან დამზადებულ ფისის ქიმია".

მაგრამ გერმანელ ქიმიკოსების ყურადღება მიპყრობილი აქვს არა მარტო ნახშირის გადამუშავების პრობლემას. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამრეწველო ქიმიის სხვა დარგებსაც. ამის დამამტკიცებელია ყრილობის დღის წესრიგში დასმული მოხსენება საღებავების მრეწველობის ერთ-ერთ გამოჩენილ პრაქტიკოს მოღვაწის— ალვინ მიტაშის. მოხსენება შეეხება რკინის ნახშირმჟავა შენაერთების გამოყენებას საღებავების მრეწველობაში. ეს ახალი აღმოჩენაა, მაგრამ უკვე მთელი რევოლუცია მოახდინა საღებავების დამზადების საქმეში.

თორმეტამდე მოხსენება დათმობილი აქვს ბიოქიმიას (ცოცხალი ორგანიზმების ქიმიას), ფარმაცევტიულ ქიმიას, საკვებ პროდუქტების ქიმიას და სხვ.

პროფ. ბოდე გააკეთებს მოხსენებას საკანალიზაციო ნარჩენების გამოყენების თანამედროვე წესებზე. პროფ. ხეილმანი თავის მოხსენებაში შეჩერდება ერთ სპეციალურ საკითხზე ამავე დარგიდან—საკანალიზაციო ნარჩენების გამოყენებაზე ენერგიის წყაროთ ელექტროსადგურებში. უკანასკნელი იდეა იმდენად ორიგინალური და ნაყოფიერია, რომ მასზე ღირს უფრო დაწვრილებით შეჩერება. ლაპარაკი იმ ცდების შედეგებზე, რომლებიც ბერლინის ახლო სწარმოებდა საკანალიზაციო ნარჩენებიდან საწვავ გაზის მისაღებად. გამოირკვა, რომ განსაკუთრებულ მიკროორგანიზმების ზეგავლენით, განავალის მასა მრავლად გამოჰყოფს გაზს, რომელიც თავისი თვისებებით წააგავს მეტანს, ჭაობის გაზს და სხვ. გაზებს. ამ გაზის თბიერება იმდენად დიდია, რომ სავსებით მიზანშეწონილია მისი გამოყენება ენერგიის წყაროთ. ცდებმა დაადასტურა, რომ გაცილებით მიზანშეწონილია საკანალიზაციო ნარჩენების გამოყენება ენერგიის წყაროდ, ვიდრე ნაკელათ მინდვრებზე.

ყრილობაზე შეეხებიან აგრეთვე ყოფა-ცხოვრების საკითხებსაც. პროფ. ოლშევსკი გააკეთებს მოხსენებას საცურაო აუზების წყლის დეზინფექციის მეთოდებზე. ამ მოხსენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გერმანიისათვის, სადაც ამგვარი აუზები მრავალია და მათი გაბინძურება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სახალხო ჯანმრთელობისათვის.

პროფ. მერკელი წაიკითხავს მოხსენებას აუზების წყლის გაწმენდაზე თევზების მოშენების მიზნით.

ა. ვ—ლი.

ბერლინი, 20 მაისი.

### გადატრიალება მეცნიერთა ფიზიოლოგიაში

ინგლისური გაზეთების ცნობით, ლონდონის უნივერსიტეტში მოხსენებით გამოვიდა გამოჩენილი ბოტანიკოსი იაგადის ბოზე, რომელიც, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან (იხ. „კომუნისტი" № 110) ცნობილია თავისი შესანიშნავი შრომებით მცენარეთა ფიზიოლოგიის დარგში. ბოზის გამოკვლევები მთელ გადატრიალებას ახდენს წარმოდგენაში სიცოცხლის იმ პროცესების ბუნებაზე, რომელთაც მცენარეთა ორგანიზმში აქვს ადგილი. ბოზის გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ ცხოველისა და მცენარის ორგანიზმს შორის არსებობს სრული მსგავსება. მცენარეს არა თუ აქვს სასუნთქი ორგანოები (ეს ფაქტი ინდოელ მეცნიერის გამოკვლევამდისაც იყო ცნობილი), არამედ მას გააჩნია თავისებური „გული"—სპეციალურ უჯრედების ფენის სახით, ნერვიული და მამოძრავებელი სისტემა. თავისი ნერვიული სისტემის წყალობით მცენარე უპასუხებს სხვადასხვა გაღიზიანებებზე—განათებით, ელექტრო-დენით, ნარკოტიულ (მათრობელა) ნივთიერებებით და სხ.

პირველ ხანებში ინდოელ მეცნიერის გამოკვლევებს უნდობლად შეხვდენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი შეხედულების დასადასტურებლად მან დაამზადა მთელი რიგი შესანიშნავი აპარატები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი შეიქნა მცენარის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებისათვის თვალყურის დევნება ისეთივე სიცხადით, როგორითაც ბიოლოგი ადევნებს თვალს მიკროსკოპის ქვეშ მოთავსებულ განცალკევებულ უჯრედს,—ამის შემდეგ იაგადის ბოზის გამოკვლევებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ბოზის აპარატის საშუალებით თვალსაჩინოდ შეიძლება დანახვა: მცენარის ზრდის, მისი „გულის" ცემის, „კუნთების" შეკუმშვის და სხვ.

ლონდონის უნივერსიტეტის დარბაზში შეკრებილ აუდიტორიის წინაშე ბოზმა გამოსცადა მის მიერ ამ რამდენიმე ხნის წინად დამზადებული ხელსაწყო, რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა გამაღიზიანებლის ზეგავლენით გამოწვეულ შეკუმშვას მამოძრავებელ უჯრედებისას. ამ აპარატის მგრძნობიარობის შესახებ წარმოდგენას იძლევა თუგინდ ის ფაქტი, რომ მცენარის მამოძრავებელი ფენის ცალკე უჯრედის დიამეტრი დიუმის ერთ მეათასედს არ აღემატება. ასეთი უჯრედის შემცირება დიუმის ერთი მეოთხმოცდაათი ათასედი ნაწილით განიზომება. და აი ასეთ, წარმოუდგენლად შეუმჩნეველ პროცესს თვალსაჩინოთ ხდის ბოზის აპარატი.

განცვიფრებულ აუდიტორიას ბოზმა უჩვენა მცენარის სიკვდილი მაღალი ძაბვის ელექტრო-დენის ზეგავლენით. ცოცხალი მცენარის ღეროზე მიამაგრეს მავთული. როცა მცენარემ „დაისვენა" ამ გაღიზიანებისაგან, ბოზმა მავთულში გაუშვა სუსტი ელექტრო-დენი. მცენარემ ამ გაღიზიანებაზე დაუყოვნებლივ უპასუხა მამოძრავებელ უჯრედების კონვულსიური შეკუმშვით. ამის შემდეგ ლექტორმა გაუშვა სრული, სასიკვდილო დენი, რამდენიმე ათეული წამის განმავლობაში მაყურებლები იყვნენ მოწმე მცენარის აგონიის. ლექტორმა მაყურებლებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „მცენარის საშინელ კონვულსიებს, გამოწვეულს სასიკვდილო ელექტრო-დენით, შეუძლია ჩვენში გამოიწვიოს ისეთივე მღელვარება, როგორც მომაკვდავი ადამიანის ან ცხოველის ყურებას. მე განვაგრძობ დენის გაშვებას მცენარის ორგანიზმში. ხედავთ, კონვულსიები სუსტდება. აი, სრულიად შეწყდა. მცენარე მოკვდა".

შემდეგ ბოზმა უჩვენა მაყურებლებს მის მიერ გამოგონებული აპარატი—კარდიოგრაფი, რომლითაც აწარმოებდა მცენარის „გულის" ცემის შესწავლას. ექსპერიმენტატორმა მცენარეს შეუშხაპუნა შხამი, რის შემდეგ მცენარის „გულის" ცემა შეწყდა. შხამის საწინააღმდეგო ნივთიერების შეშხაპუნების შემდეგ კი „გულის" ცემა ისევ ნორმალური შეიქნა.

ამ და სხვა მსგავს ცდების საშუალებით ბოზმა დაამტკიცა, რომ წამალი ერთგვარად მოქმედობს მცენარეზე და ცხოველზე. ბოზის ცდები ფართო პერსპექტივებს შლის ფარმაკოლოგიის (მეცნიერება წამლეულობის გავლენის შესახებ ორგანიზმზე) წინაშე, შესაძლებელი ხდება სხვადასხვა წამლების გავლენის შემოწმება მცენარეზე, სანამ მათ ადამიანს მისცემდნენ. უფრო მეტი, ბოზის ცდები ფართო პერსპექტივებს შლის ახალი წამლების აღმოჩენის მხრივ. მრავალ ათეულ მცენარის გამოკვლევის დროს, ბოზმა აღმოაჩინა, რომ ერთ მცენარეს, რომელიც ინდოეთში იზრდება, ძლიერ განვითარებული „სისხლის მიმოქცევის" სისტემა აქვს. ამ გარემოებამ აფიქრებინა ბოზს, რომ ამ მცენარის წვენში მოიპოება ნივთიერება, რომელიც აწარმოებს მისი „გულის" უჯრედების მუშაობას. ბოზმა მოამზადა პრეპარატი ამ მცენარიდან და გამოსცადა ჯერ ცხოველებზე და შემდეგ ადამიანზე. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ხსენებულ მცენარიდან დამზადებული პრეპარატი საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა გულის მოქმედების მოსაწესრიგებლად, უკეთესი, ვიდრე მედიცინაში მანამდე ცნობილი საშუალებანი.

### „ბუკის სხივები"

ორი წლის წინად გერმანელი მეცნიერი ბუკკი გამოვიდა წინადადებით, რომ კანის სნეულებათა სამკურნალოდ გამოყენებულ ყოფილიყო ე. წ. „საზღვრო სხივები" (რომელთაც შემდეგ „ბუკის სხივები" უწოდეს). ელექტრომაგნიტურ რყევათა სპექტრში ამ სხივებს თავისი სიგრძით საშუალო ადგილი უჭირავს რენტგენის და ულტრა-იისფერ სხივებს შორის. სხივები წარმოიშობა სულ მცირე ცვლილებების შეტანით რენტგენის აპარატში. ცვლილება გამოიხატა იმაში, რომ იმ ადგილას, სადაც რენტგენის აპარატიდან გამოდის სხივთა კონა, ამაგრებენ მილს, რომელსაც გაკეთებული აქვს „ფანჯარა" დამზადებული ლინდემანის შუშიდან (ლინდემანის შუშას ამზადებენ მსუბუქ-ატომიან ელემენტებისაგან—ლითიუმიდან, ბერილიუმიდან და ბორიდან). მთელ რიგ წერილებში, რომლებიც გერმანულ საექიმო ჟურნალებში დაიბეჭდა, ბუკკი იუწყება, რომ კანის ავადმყოფობათა მკურნალობის დროს 95 პროც. შემთხვევაში უმჯობესია რენტგენის სხივების შეცვლა ახალი სხივებით. უკანასკნელთ შემდეგი უპირატესობანი აქვს რენტგენის სხივების წინაშე: გამოყენების სრული უშიშროება, განკურნების ვადის საგრძნობლად შემცირება და სხვ.

კანის ტუბერკულოზისა და აგრეთვე ხორცმეტების, ეკზემის და კანის სხვა სნეულებათა მკურნალობა ამ სხივებით საუცხოვო შედეგებს იძლევა.

### დიდი სისწრაფე

**და ადამიანის ორგანიზმი**

ავიაციისა და ავტომობილების განვითარებამ და ამასთან დაკავშირებით, დიდი სისწრაფეთა მიღწევამ (300—400 კილომეტრი საათში) დღის წესრიგში დააყენა ორგანიზმზე დიდ სისწრაფეთა გავლენის შესწავლის საკითხი. ამ საკითხის შესწავლას შეუდგნენ ამერიკელი ექიმები. გამოირკვა, რომ უდიდესი სისწრაფეც კი, თუ იგი თანაბარია, მაინც გავლენას არ ახდენს ორგანიზმზე. სამაგიეროდ, დიდად ვნებს ორგანიზმს მოძრაობის სწრაფად აჩქარება ან შენელება და მიმართულების მოულოდნელად შეცვლა, რომლის დროს დიდი ცენტრიგანმშორებელი ძალა ვითარდება. 400 კილომეტრის სისწრაფით მფრინ ჰაეროპლანის მიმართულების მოულოდნელად შეცვლა საშიშია მფრინავის სიცოცხლისათვის. საშიშროება გამოიხატება იმაში, რომ სისხლი, რომელიც ისე, როგორც ყოველგვარი სითხე, ემორჩილება რა ინერციის კანონს, სწრაფად იქცევა იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, საითაც აეროპლანმა მიუხვია. ეს კი იწვევს წვრილ სისხლძარღვის მილების მექანიკურ დაზიანებას და სისხლის ნორმალური მიმოქცევის ისე ძლიერ დარღვევას, რომ მფრინავს გული წაუვა და შეიძლება კიდეც მოკვდეს.

### 895 წყვილი ფეხსაცმელი საათში

ლენინგრადის ფეხსაცმლების ფაბრიკა „სკოროხოდი"—ერთ-ერთი უდიდესი ფაბრიკაა საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობა ფაბრიკა სავსებით უზრუნველყოფილი იყო, როგორც მუშა-ხელით, ისე ნედლეულით, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნილებას ფეხსაცმელებზე. შემოღებული იქნა მუშაობა სამცვლად, მაქსიმალური დატვირთვით, მაგრამ ფაბრიკა მაინც ვერ აუვიდა ბაზრის მოთხოვნილებას.

მიმდინარე წლის დასაწყისში ფაბრიკის სამმართველომ გადასინჯა საწარმოო გეგმა და მოახდინა წარმოების რაციონალიზაცია. დადგმულ იქნა ფეხსაცმლების საკერავი ახალი გერმანული მანქანები, რომლებშიც ადგილობრივი პირობების მიხედვით შეტანილი იქნა საჭირო ცვლილებები.

წარმოების რაციონალიზაციამ განსაკუთრებით თვალსაჩინო შედეგები გამოიღო სანდლების ცეხში, რომლის წლიური პროდუქცია ერთ თვეში სრულდებოდა. ახლად დადგმული „მენუსის" სისტემის მანქანები 8 საათის განმავლობაში კერავენ 6.780 წყვილ სანდალს, ე. ი. 2000.000 წყ. წლიურად, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას და შესამჩნევად გააიაფებს პროდუქციას.

სხვა ცეხებში, „მენუსის" სისტემის მანქანების დადგმის წყალობით პროდუქცია 10-ჯერ გაიზარდა.

სურათზე—გერმანიიდან ახლად მიღებულ მანქანების მონტაჟი.

# ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

## შეღავათები დაზარალებულ მოსახლეობას

ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაევალოს გამოსცეს დადგენილება ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის ცალკე ჯგუფებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

ა. კ. სახკომსაბჭო წინადადებას იძლევა: ქუთაისში დაზარალებულები განთავისუფლებულ იქნან 1927—28 წლის სარენტო და შემდეგი ადგილობრივ გადასახადებისაგან: საბინაო, ბილბოსტნის, სატრანსპორტო საშუალებათა, საქონლის და შენობათა; ჩამოეწეროს მათ 1926—27 წლამდე დაგროვილი ადგილობრივი გადასახადების ყველა ნარჩენები; ჩამოეწეროს მათ ყველა ჯარიმები, რომელიც მათზე ირიცხება და მიმდინარე წლის 1 მაისისათვის და რომელიც მათზე ადმინისტრატიული წესით იყო დადებული სახელმწიფო, სამრეწველო და საშემოსავლო გადასახადების შესახებ არსებული დებულებათა დარღვევისათვის; ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს დაევალოს გასცეს განკარგულება ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობისაგან 1927—28 წლ. და წინა დროის ყველა პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების ჩამოწერის შესახებ.

# დახმარება ქუთაისს

## „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ქუთაისის მე-7 ჯგუფის მოწაფე-ვაჟებიდან შემდეგ ამხანაგებს: ავთანდილ წერეთელს, ალიოშა ქურციკიძეს, ლეო ახვლედიანს, აკაკი დოლიძეს, ნიკო ჯაიანს, საშა კვიტაშვილს, არჩილა ანჯაფარიძეს და ანდრო მიზანდარს.

თბილისიდან: ვალიკო და მარუსა ჯაფარიძეებს, ტუტუშა სისორდიას, ლადო და დათუნა ჯაფარიძეებს.

**მოწაფე არჩილ (ლუტო) ჯაფარიძე.**

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგ ქალიშვილებს: ნინა კორძაიას, ელენა ნიკურაძეს, მერო ლეჟავას, პაშა მხეიძეს, ბაბული ჟორდანიას, ვენერა გროგოლაშვილს, ზოია ანჯაფარიძეს, თამარა მდივანს, ქეთო გურულიშვილს და თამარა ჰეჩინაძეს.

თბილისიდან: მერიკო ბრეგაძეს, და დოდიკო ჭარხალაშვილს.

**მოწაფე ცაცუკა ჟილიძე.**

ოთარი ელიაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნათელა გიორგაძეს, შოთა გეწაძეს, თამაზი მალულარიას, ვალოდია სულაძეს, ოზურგეთიდან: ლილი უშვერიძეს, ეთერი ლომინაძეს, ბორია და ვალია ხომერიკებს, აიგენგო ჯიბლაძეს, გუდაუთიდან: ვახტანგ ნიკოსძე ხომერიკს.

**ლევანიკო დიმიტრის-ძე ხომერიკი.**

გაიოზ კ. კალანდაძეს გამოწვევით შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ: მარგალიტა ს. კოქრიაძეს, ცქრიალა ვ. მინდიაშვილს, ქეთო გ. ცქვიტიშვილს, კოწია ბ. მიქაძეს.

**ნათელა მ. კალანდაძე.**

ნათელა სამადლაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი დაზარალებულ ბავშვთა ქუთაისელების სასარგებლოდ და ვიწვევ: ტუტუ ბარნოვს, ხულხან ნასიძეს, ვანი ვარდოსანიძეს, მერო მაყულაშვილს, ნათელა ბათიაშვილს, შოთა ხუბეიროვს, ოთარ მრევლიშვილს, ლევან ლომიაშვილს, მაყვალა ელიაზედაშვილს და თინა პირას.

**მანანა ჩაჩანიძე.**

თენგიზ ბაქანიძის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: ჟუჟუნა და ცუცა სუხიშვილებს, კაკლი საყვარელიძეს, გოგია კორძახიას, ბორია შაფათავას, ცორქოკა ნარსიას, ქეთო ბერიძეს, შოთა გამზარდიას, ცუცუნა ურუშაძეს, გივი ლულაძეს, ნოდარ ოვანეზოვს და დაია კორძაიას.

**თამაზ კორძახია.**

ქ. თბილისის რკინის გზის მე-11-ე სკოლის მეხამე ჯგუფს შემოაქვს 4 მან. 06 კაპ. ქუთაისში უსახლკაროთ დარჩენილ ბავშვთა სასარგებლოდ და იწვევს ქ. ბათომის და ქ. თბილისის რკინის გზის მე-4-ე, მე-5, მე 6, მე 8, და მე 10 შრომის სკოლების მეხამე ჯგუფებს.

**კლასკომი.**

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოგვაქვს 6 მანეთი და ვიწვევთ შემდეგ პირებს: ვარლამ იაშვილს, დაველოსტი იაშვილს, ვლადიმერ ოთაროვს, მიშა გომართელს, ვასილ ხუციშვილს, კოლა პატარქლიშვილს, არუთინ მეჰდლოვს, სტეფანე ლარიბოვს, ნესტორ აბაშვილს და აპოლონ ჯაფარიძეს.

**ტრიფონ და კოსტა იაშვილები.**

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ. ალექსი ჭიბალაშვილს, სერგო მარქაროვს, იროდი თაგაურს, ვარა შათირიშვილს, გ. ჰუმბურიძეს, ივანე მანონცოვს, გიორგი მამალაძეს,

**ნიკო. კოლელიშვილი.**

ტოლია ნადარეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ზურიკო მაყაშვილს, ლეო ფხაკაძეს და ბუბუჰეიშვილს.

**ნოდარი ნოდია.**

ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 1 მ. 50 კაპ. და ვიწვევ ბავშვებს: თამაზი მალულარიას, ფუცკური ჩხეიძეს, ლიარივონი ვადაჭკორიას, ეთერი ტოროტაძეს, თინა გაწერელიას, ნინო ვადაჭკორიას. ბათომიდან: კაკო ცინცაძეს და შოთა სურგულაძეს.

**მედეია ცინცაძე.**

გურამ იმნაძის და ნათელა სამადლაშვილის გამოწვევით შემომაქვს 2 მ. და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ლამარა შავიშვილს, ფეოზულა კონტრიძეს, ფაცა და ქეთო გიორგობიანებს, გულო და გულნარა გოგიჩაიშვილებს, რეზიკო ურუშაძეს, რეზიკო ჩუბინიძეს, ციხანა მესხს და ნანა ლორთქიფანიძეს.

**თინა თუხარელი.**

ყარაიაზის საცდელი სადგურის მუშა-მოსამსახურეები, ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი.

თოფჩიაშვილი ვლადიმ. 5 მ. 83 კ., სიზოევი სიმონი 5 მ., ოდიშარია აკაკი 2 მ. 28 კ., ბარათაშვილი მიხეილი 1 მ. 67 კ., თევდორაძე იაკობი 3 მ. 64 კ., მარქარაშვილი თამარა 1 მ. 06 კ., ალექსანდრია ვლად. 3 მ. 64 კ., კოკვაძე იასონი 3 მ. 64 კ., შავშიშვილი გიორგი 1 მ. 66 კ., ცხოვრებაშვილი სოლომ. 1 მ. 66 კ., პოტაპოვი მათე 1 მ. 48 კ., ვლასენკო სიმონი —1 მ. 48 კაპ., ირზაალლი ბაირამ 1 მ. 30 კ., მარჯანიშვილი იური 5 მ. 83 კ., ლვინერია იოსები 3 მ. 58 კ. ავალიშვილი ნოე 2 მ. 67 კაპ., აბდალაძე ივანე 2 მ. 28 კაპ., ნოვოსარდოვ ხაქო 3 მ. 64 კ., მუხატასოვ ისრაელ 1 მ. 84 კ., გევორქოვ არამ 1 მ. 84 კ., შამანაური გაბრიელ 1 მ. 84 კ., ჭოგინავა გრიგოლი 1 მ. 84 კ., ჰილაშვილი კოლა 1 მ. 48 კ., ტოკაშვილი ალექსი 1 მ. 48 კ., დვალიშვილი აკაკი 2 მ 50 კ. გაგნიძე გერონტი 2 მ. 50 კ., ხეთაგური სიმონი 4 მან., თოდუა ივანე 1 მ. 70 კ. აბესაძე ივანე 1 მან. 84 კაპ..

რეზა ახობაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლია კახიძეს, ლამარა ბოკერიას, თინიკო რევაზიშვილს, მინდია მოსაშვილს, მერაბ თავდიშვილს, კარლო ჩანჩაშვილს, მიტო ხახუტაშვილს, ნოდარი ჯანბერიძეს და მარხაანიდან: ნიკო ყიასაშვილს.

**ვეფხო. ვეფხოს ძე აკობაშვილი.**

თალიკო დავითის ასული გვაზავას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ეთერი სიხარულიძეს, რევაზ ფარცხალაძეს, ქეთო და კოტე კუპრავებს, ლილი მაყვალიძეს, მედეა ლაზრიშვილს, ლარისა ლორთქიფანიძეს, ფაცურა მისაბიშვილს, ალია ქავთარაძეს, ჟულეტა საგუან, ნელი თეთვაძეს ასულს ჩიქოვანს,

**ნელიკო. კაშაძე.**

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ამხ. თენგიზ ნიკოლაიშვილის გამოწვევით ერთი მანეთი და ვიწვევ ჩემს მხრივ თბილისიდან: პეტრე მანსურაძეს, ტარიელ მანსურაძეს, ხილნალიდან: მედიკო შალიკაშვილს და ბათომიდან კარლო ხელაძეს.

**ციცია ხელაძე.**

ამხ. ნათელი ქებაძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: რუსუდან ლომაძეს, არჩილ სულაქველიძეს, უტა ცინცაძეს, მაკა ფანცხავას, ლილი ელენტს, ცისანა ჩადუნელს.

**ფარნაოზ მეგრელიშვილი.**

ამხ. სოლომონ ნიშნიანიძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: არმენაკ თარიანს, შოთ ხვადაგიანს, ილია ზაუტაშვილს, დავით მელიქაძეს, სოსო მრევლიშვილს, ვახო ანდღულაძეს და მოსე გეგუბერიძეს.

**პარმენ მეგრელიშვილი.**

თენგიზ ბაქანიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ: კლარა ჩხარტიშვილს, ლილია დუმბაძეს, მედიკო ჯაში, გივი კალანდაძეს, ლილია გიორგობიანს, ნათელა გამყრელიძეს, გოგი კანდელაკს, შალიკო ჯანელიძეს, კიმი თალაკვაძეს და მერიკო გორგაძეს.

**რობერტ სუციშვილი.**

ქუთაისის დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ ვწირავ ერთ მანეთს და ვიწვევ: აჩიკო შარაბიძეს, შალიკო შარაბიძეს და საზურიდან ოთარ მანჯავიძეს.

**თენგიზ შარაბიძე- მანჯავიძე.**

შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ცაციკო კობახიძეს, ვაჟა მანსურაძეს, ზიზიკო რევაზოვს, ზიზიკო ბაკურაძეს, აპოლონ ვოლდეიტს და თენგიზ ჩიტალაძეს.

**შარმაზან კაპანაძე.**

საქ. ბინათ კავშირის მუშა მოსამსახურეები ვწირავთ ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ ჯამაგირის 2 პროც. ე. ი. სულ 92 მან. 90 კაპ.

საქ. ბინ. თანამ. **კირილე დობორჯგინიძე.**

ტოლია ნადარეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი.

**ტოჩი ნოდია.**

მედეა ჭელიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გივი ანდრონიკაშვილს, გია კლდიაშვილს, ანდრია ბუაჩიძეს, ირაკლი და ვახტანგ ლეჟავებს, თამარ გაჩეჩილაძეს, ნათელა თოდრიას, ლამარა ხამაშურიძეს, ცუცუ ლეკვეიშვილს და ნოდარ მდივანს (ქუთაისიდან).

**ზურიკო ქვარიანი.**

ქალ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კარლუშა სვანიძეს, ლიონჩიჩქა ქავთარაძეს, ნათელა მეტონიძეს, კუკუ შელიას, ზინაბ ბერიას, ვალიკო კემულარიას და სოსო ქებურიას.

**ყარლუშა ნიკოლაიშვილი.**

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი სვანიძეს, ქსენია მახარაძეს, ივანე მინდიაშვილს, ვალოდია ნანობაშვილს, კოლია ლვაბერიძეს, თამრო დიდებულიძეს, ნინო ზალიშვილს, ნინო კუპრაშვილს, ჟენია ცარახოვას და კიმა ამირხანოვას.

**მოწაფე თამარა კვახაძე.**

შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 3 მანეთი და ვიწვევ: გ კაჭახიძეს, ვ. ჩხაიძეს, კ. კალანდარაშვილს, აკ. ჩიქოვანს, ქ. თოხლიანს, ვ. ქიმმარიას, ან. ყვავაძეს, გ. გარსიაშვილს, კ. ძაგნიძეს, პ ობიშვილს.

**ვ. გუჯაბიძე.**

**ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გუშინ „კომუნისტი-“ს კანტორაში შემოვიდა 210—66. სულ წინათ შემოსულთან ერთად 13.553—97.**

# გამოხმაურება

## მთავრობის კომისიაში

### ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის წვლილი

ცეცხლისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის დასახმარებლად ა.-კ. კომუნისტურმა უნივერსიტეტმა მთავრობის კომისიას გადასცა 377 მანეთი.

### სულ შემოსულია 60.388 მან.

მთავრობის კომისიის ცნობით, ცეცხლისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის სასარგებლოდ გუშინდლამდე კომისიაში შემოვიდა სულ 60.388 მანეთი.

# საქ. ცაკის პრეზიდიუმში

### სასამართლოს ახალი წევრები

იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნოს ამხ. ხარაზაძე, წევრებად: გ. კაჭარავა და გიორგი საყვარელიძე. თბილისის მაზრის სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. აფთიონ ყალანდაძე.

### სატერმინოლოგიო კომიტეტში

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ცაკთან არსებულ სატერმინოლოგიო კომიტეტში ჩაბმული იქნეს შემდეგი ახალი წევრები: პროფ. გ. ახვლედიანი, პავლე ინგოროყვა, მიხ. ჯავახიშვილი, გერ. ქიქოძე, ს. აბაშელი, ლ. ქიაჩელი და რუსუდან ნიკოლაძე.

### მშრომელ ებრაელთა მიწეზე მომწყობი კომისია

მშრომელ ებრაელთა მიწად - მოწყობის საკითხის მოსაწესრიგებლად ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსებული იქნეს ცალკე კომისია. კომისიის შედგენა მიენდო ცაკის მცირე პრეზიდიუმს.

### დოკუმენტალური რუკა

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოცემული იქნეს საქართველოს დოკუმენტალური რუკა.

### დახმარება წითელარმიელებს

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მისცეს ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალმასკომებს და ყველა მაზრ. აღმასკომებს წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნა დღემდე მიღებული ადგილობრივ წითელარმიელთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად და მათ ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად.

ამას გარდა პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას გამოიკვლიოს, როგორ და რა სახით განახორციელეს, ან რა ზომები მიიღეს ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა წითელარმიელთა და მათი ოჯახებისათვის დახმარების გაწევის შესახებ არსებულ საქ. ცაკის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

# საქართველოს სამთა-მადნო მუშათა მე-7 ყრილობა

## უკანასკნელი სხდომა

გუშინ დამთავრდა სამთა-მადნო მუშათა მე-7 ყრილობა.

უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები კავშირის მომავალი მუშაობის და შრომის დაცვის საკითხების მოწესრიგების შესახებ. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები.

### რეზოლიუციების მიღება

ცენტრალური გამგეობის მომავალი მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ ძირითად ორგანოებმა გააძლიერონ მუშაობა, განსაკუთრებით, სატარიფო-ეკონომიურ დარგში, შემდეგ რეზოლიუცია მოითხოვს კავშირის ძირითად ორგანოების აქტიურ მონაწილეობას სამეურნეო ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენაში. ამ მიზნით ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ საწარმოო გეგმები ირჩეოდეს მუშათა საერთო კრებებზე და შემდეგ დასამტკიცებლად გადაიდოდეს უმაღლეს ორგანოებში. რეზოლიუცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა მუდმივი კადრის შექმნას ტყიბულსა და ჭიათურის მაღაროებისათვის და კვალიფიკაციური მუშახელის მომზადების საკითხებს. ამ მიზნით რეზოლიუციაში შეტანილია მრავალი პრაქტიკული ხასიათის მითითება.

შრომის დაცვის დარგში რეზოლიუცია ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ტრამვატიულ შემთხვევათა შესამცირებლად და საერთოდ მუშათა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რეზოლიუციაში განსაკუთრებით ხაზგასმითაა აღნიშნული საბინაო მშენებლობის გაძლიერების საჭიროება—ორ მთავარ სამრეწველო რაიონში—ჭიათურასა და ტყიბულში.

### სამანდატო კომისიის მოხსენება

ყრილობას დაესწრო სულ 125 დელეგატი. აქედან მუშა 99, მოსამსახურე—21, მოწაფე—5, პარტიული—79, კომკავშირელი—6, უპარტიო—45, მამაკაცი—121, დედაკაცი—4.

### ცენტრალური გამგეობის არჩევა

ამხ. ფურცელაძის წინადადებით ყრილობამ დაადგინა კავშირის ცენტრალური გამგეობა ჭიათურიდან გადმოყვანილ იქნეს თბილისში.

შემდეგ გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: კაშია, მახარაძე, კვანტალიანი, ჩიხლაძე, იაკობიძე, ლიდუაშვილი, ერგემლიძე, ლეჟავა, ცეცხლაძე, სტურუა, მიქაძე, ნასარიძე, ბუბალცერი, ბაჩეჩილაძე, სელიტოვი, ცირეკიძე, ჩიალაშვილი, ხარაბაძე, ედიბერიძე, ტერ-ვართანოვი, ხვედელიძე, კანდიდატებად: გოგავა, კილურაძე, ლომიძე, გოგიაშვილი, დარსაძე და სვანიძე.

სარევიზიო კომისიაში: მალიანი, ქარსელაშვილი, გოცაძე, კანდიდატებად: გვინეტაძე და გორგაძე.

ყრილობა დახურა ამხ. ხვედელიძემ, რომელმაც დასკვნები გაუკეთა ყრილობის ნამუშევარს და უსურვა ახალ გამგეობას ნაყოფიერი მუშაობა დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

## ცენტრალური გამგეობის პლენუმი

ამავე საღამოს შესდგა ცენტრალური გამგეობის პლენუმი, რომელმაც გამოჰყო პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში შედიან: ხვედელიძე, ცირეკიძე, ჯალალაშვილი, ხარაბაძე, ნასარიძე; კანდიდატებად—ედიბერიძე, ცენტ. გამგ. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ს. ხვედელიძე. სატარიფო განყოფილების გამგეთ და ცენტრალური გამგეობის მდივნად ამხ. ცირეკიძე. საორგანიზაციო და კულტგანყოფილებათა გამგეთ ამხ. ნასარიძე.

# საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს მეორე პლენუმი

## მეორე სხდომა

### სარევიზიო კომისიის მოხსენება

პლენუმის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლეჟავას მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მატერიალური მხარე დღიდან საზოგადოების დაარსებისა 1926 წლის 1 ოქტომბრამდე არ იყო მოწესრიგებული. რაიონული და სამაზრო ორგანიზაციები დავალიანებული იყვნენ, საწევრო გადასახადის აკრეფა თითქმის არ სწარმოებდა, რაც შესამჩნევად აფერხებდა მუშაობას.

ეხლა, ამბობს მომხსენებელი, საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობა გამოკეთებულია და ბევრი ნაკლი აცილებულია თავიდან.

### კამათი

ამავე სხდომაზე დაიწყო კამათი პრეზიდიუმის საანგარიშო და სარევიზიო კომისიის მოხსენებების ირგვლივ:

კამათში მიიღეს მონაწილეობა: ამხ. ბრიჩევმა (წითელი არმიის სახლი), შუპილუკმა (მანგლისი), სახურიამ (თბილისი), ჯღარკავამ (ზუგდიდი), კოლიკოვმა (ახალციხე), სტეფანოვმა (ალბულახი), ევიაჯაროვმა (ბორჩალო), წილოსანმა (თავდაცვა-ავიაქიმი), იაგნეტინსკიმ (თბილისი), გნატიუკმა (თბილისი) და სხვა.

კამათში გამოსული ამხანაგები მეტ წილად ეხებოდნენ იმ ნაკლს, რომელიც თან ხდევდა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ადგილებზე სწორად არ არის დაყენებული წევრთა აღრიცხვა, საზ-ბის პრეზიდიუმი არ უწევს ადგილებს ცოცხალ ხელმძღვანელობას, სამაზრო ორგანიზაციებს არ მოეპოვება ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ნაციონალურ უმცირესობისათვის.

ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგები შეჩერდნენ სოფლად მუშაობის საკითხებზე, მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ გლეხობის დასაინტერესებლად და ჩასაბმელად ავიაქიმის ორგანიზაციებში, საჭიროა სოფლის უჯრედების მომარაგება თვალსაჩინო ხელსაწყოებით და ლიტერატურით.

ზოგიერთ ადგილობრივ პროფორგანიზაციებს არა აქვთ შეგნებული თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიზნები და ამოცანები და ამ ნიადაგზე ხშირად აქვს ადგილი გაუგებრობას, პროფორგანიზაციები არ უწევენ დახმარებას თავდაცვა-ავიაქიმს და ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უშლიან მის მუშაობას.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები სუსტად აწარმოებენ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, ამ მუშაობისათვის არ არის გამოყენებული არსებული ფორმები და მეთოდები.

კამათში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ზაფხულის პერიოდში საჭიროა ბანაკათ გასულ წითელი არმიის ნაწილების გამოყენება.

ავიაქიმის ორგანიზაციების მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად ზოგიერთმა ამხანაგებმა საჭიროდ სცნეს საწევრო გადასახადის გარდა სხვა წყაროების გამოძებნა, როგორიც არის წარმოდგენების მოწყობა, ლატარიების გამართვა და სხვა.

—:—

პლენუმის მესამე სხდომაზე, რომელიც შესდგება დღეს დილის 9 საათზე, მოსმენილ იქნება ამხ. ლ. აბაშიძის და ლეჟავას საბოლოო სიტყვები.

# ა.-კ. ცაკში

### სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს 1928-29 წლის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის და დამტკიცების დაჩქარებას.

ა.-კ. ფინსახკომს დაევალა ერთი თვის განმავლობაში დაამუშაოს და ა.-კ. სახკომსაბჭოში წარმოადგინოს პროექტი ღონისძიებებისა იმ საუწყებო ხარჯთაღრიცხვების განხილვის გამარტივების შესახებ, რომლებიც შედის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში. ა.-კ. ფინსახკომმა უნდა დაამუშაოს აგრეთვე სამეურნეო და საოპერაციო გეგმების, და აგრეთვე იმ ღონისძიებების შედგენის და დამტკიცების წესი, რომელთა გატარება უზრუნველყოფს რესპუბლიკების მიერ ბიუჯეტების თავის დროზე წარდგენას. ბიუჯეტის სათანადო ინსტანციებში გატარება უნდა სწარმოებდეს ისე, რომ 15 სექტემბრისათვის ამიერ-კავკასიის მთლიანი ბიუჯეტი წარდგენილი იქნეს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოში.

### ხარჯების ანაზღაურება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო დაწესებულებების იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც გამოწვეულია კერძო პირების ისეთი სამუშაოების შესრულებით, რომელთა შესრულება არ შედის დაწესებულების ვალდებულებაში.

სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც არის დაწესებულება, რომელიც ამა თუ იმ მუშაობას აწარმოებს კერძო პირებისათვის (ფიზიკურ ან იურიდიულ), შეუძლიათ ა.-კ. ფინსახკომთან შეთანხმებით დააწესონ განსაკუთრებული გამოსაღები.

რესპუბლიკების ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გამოსცენ ანალოგიური დადგენილება რესპუბლიკანური დაწესებულებების მიმართ.

# ა.-კ. სახკომსაბჭოში

### ტიპიური დებულება

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოიწონა ა.-კ. სტატსამართველოს მიერ წარდგენილი რესპუბლიკანურ სტატსამმართველოთა ტიპიურ დებულების პროექტი.

ა.-კ. ცაკთან არსებულ საკანონმდებლო კომისიას დაევალა ა.-კ. და საქართველოს სტატსამართველოების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაოს პროექტის საბოლოო რედაქცია და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა.-კ. ცაკს.

### წყალთა მეურნეობა

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო გაუქმებული იქნეს მტკვრისა და არაქსის მიდამოების გამოსაკვლევათ ა.-კ. სახკომსაბჭოსთან დაარსებული კომისია.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი და გენერალური გეგმების შესადგენად ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან მოეწყოს ცალკე კომისია. ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წინადადება მიეცა გაუქმებული კომისიის თანხები გამოიყენოს მომავალ გამოკვლევებისათვის, შეუდგეს შირაქის ველების გამოკვლევას და მდინარე მტკვრის წყალის გამოყენების გენერალური გეგმის შედგენას.

გამოკვლევათა და გეგმების სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნება გაუქმებულ კომისიის ტეხნიკური აპარატი.

### სასკოლო შენობების აგება

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიმართა ა.-კ. ცაკს დაავალოს რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმ. კომიტეტებს გამოსცენ დადგენილება, რომლის თანახმად მუშათა ბინების მშენებელ სამრეწველო დაწესებულებებს უნდა დაევალოს სასკოლო შენობების აგებაც.

# საექსტრაქტო ქარხნის აგება აფხაზეთში

(საუბარი პროფ. მ. დუკელსკისთან)

ამ რამოდენიმე თვის წინად სოხუმის რაიონის სატყეო სიმდიდრეების შესასწავლად გაემგზავრა მოსკოვის ქიმიო-ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი მ. დუკელსკი. სააქციო საზ-ბა „დუბიტელ“-ის მიერ მას დავალებული ჰქონდა გამოერკვია, თუ სად უფრო ხელსაყრელი იქნება ტყავეულობის მრეწველობის საქიროო საექსტრაქტო ქარხნის აგება შავი ზღვის სანაპიროებზე. ექსტრაქტების წარმოებისა და ამ მხრივ საქართველოს ტყეების მნიშვნელობის შესახებ პროფ. დუკელსკიმ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— საბჭოთა კავშირს, ყოველწლიურად სჭირდება 12 მილიონი მანეთის ექსტრაქტება, რომელიც თითქმის სულ საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, საუკეთესო ექსტრაქტები დგება წაბლის და მუხის ხიდან და ზოგიერთი ყვავილებიდან. იმისათვის, რომ ექსტრაქტების იმპორტი შევწყვიტოთ, საჭიროა იქნება დაახლოებით 15 საექსტრაქტო ქარხნის გახსნა.

ქარხნების აგება-მოწყობა და საერთოდ საექსტრაქტო საკითხის მოგვარება დაკისრებული აქვს მოსკოვში ახლახან დაარსებულ სააქციო საზოგადოება „დუბიტელს“, რომელმაც შესაფერი გამოკვლევების ჩასატარებლად გამომგზავნა ამიერ-კავკასიაში. სოხუმის ოლქის დათვალიერების დროს შევაგროვე ყველა ის მასალები, რაც საჭიროა ქარხნის ასაგებათ და რადგან საზ-ბა „დუბიტელს“ გადაწყვეტილი აქვს ერთი ქარხნის აგება აფხაზეთში, ამიტომ უკვე ძნელი აღარ იქნება ქარხნისათვის ადგილის გამონახვა.

საექსტრაქტო ქარხნების აგების მიზნით ჩატარებული იქნება გამოკვლევები აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

საქართველოში საექსტრაქტო ქარხნების აგება გადაწყვეტილია დაწყებულ იქნეს მომავალი წლიდან.

# მუშათა ცხოვრება

### რაციონალიზაციას ხელს უშლიან

№ 1 აგურის ქარხანა მდებარეობს ავლაბარში, რკ. გზის გადაღმა მაღლობზე, სადაც ზაფხულობით, როდესაც ქარხნისათვის წყალი მთავარ იარაღს წარმოადგენს, წყალი ვერ ამოდის, რადგან წყალსადენის დონეზე უფრო მაღლაა. ამ ქარხანის სხვა 6 ქარხანასთან შედარებით უკეთესი თიხა მოეპოვება, მაგრამ თუ წყალი არ არის, აგურის ქარხანაში მუშაობა შეუძლებელია.

წყალი მოაქვთ კასრებით კერძო პირებს, გასულ წლის სეზონში ქარხანის დაუჯდა 2.750 მ., ქარხანაში კი მუშაობდა 9 წყვილი მეყალიბე და დამზადდა 2 ნახევარი მილიონი აგური. მიმდინარე წლის სეზონში მუშაობს 17 წყვილი მეყალიბე და უნდა დამზადდეს ხუთ მილიონამდე აგური. ისე ,რომ სამუშაო ორჯერ გადიდებულია და ცხადია გადიდდება აგრეთვე წყალის საჭიროებაც. მაშასადამე ქარხანას მიმდინარე წელს მოუნდება 5.000-6.000 მანეთის წყალი.

ამავე დროს ქარხნის ახლოს არის წყარო, პატარა მდინარე, რომელიც ე. წ. ელიას მთიდან ჩამოჩუხჩუხებს და ტყვილა უბრალოდ იკარგება. შეიძლება ამ წყაროს გამოყენება. საჭიროა წყალსადენის მილების დალაგება. რაც 5.000 მანეთზე მეტი არ დაჯდება. წყალი სავსებით დააკმაყოფილებს ქარხნის მოთხოვნილებას და ამ აუარებელ ხარჯებსაც თავიდან აიცდენს.

არის კიდევ მეორე წყალიც, რომლის კასრებით მოზიდვა უფრო ადვილიცაა და 50 პროც. იაფიც დაჯდება, ვიდრე ქალაქიდან მოტანილი წყალი.

ეს წყაროები და წარმოების გამაუმჯობესებელი საშუალება აღმოაჩინა ქარხნის ინსტრუქტორმა, ამხ. ჩიჩელნისკიმ, რომელიც ნამუშევარია მოსკოვის აგურის ქარხნებში და ზედმიწევნით იცნობს ამ საქმეს. უკანასკნელს ამის შესახებ რამოდენიმეჯერ ჰქონდა ლაპარაკი თბილისის აგურის ქარხნების ინჟინერთან ტერ-ხაჩატუროვთან, მაგრამ უკანასკნელმა ყურიც არ ათხოვა ინსტრუქტორ ჩიჩელნისკის წამოყენებულ გეგმებს. მან არც თვითონ გააკეთა საქმე და არც ჩიჩელნისკის მისცა უფლება გაეკეთებია და უზრუნველეყო ქარხანა წყლით.

გარდა ამისა ინსტრუქტორმა ჩიჩელნისკიმ შეიმუშავა გეგმა თიხის სათლავის მოსაწყობად, რომელზედაც ოთხი კაცის მოვალეობას შეასრულებს ერთი ცხენი და ერთი კაცი. მოზელილი თიხა იქნება უმაღლესი ხარისხის და მუშებიც ტალახში არ იქნებიან ჩამდგარი. ეს გააუმჯობესებდა აგრეთვე მუშების სამუშაო პირობებს და შრომის ნაყოფიერებასაც საგრძნობლად აწევდა, მაგრამ ინჟინერმა ტერ-ხაჩატუროვმა არც ამის მოწყობის ნება მისცა. ბოლოს ქარხნების მმართველმა, ამხ. ჯაფარიძემ ნება დართო ამ მანქანის მოსაწყობად. ამხ. ჩიჩელნისკი უკვე შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. ახლო მომავალში დამთავრდება ეს მანქანა და წარმოებაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ქარხანა უზრუნველყოთ წყლით. ინსპექციამ კი უნდა გამოარკვიოს ვინ უშლის რაციონალიზაციას ხელს.

**უდაბელი.**

### ცუდ მაგალითს მიბაძეს

თვითმპყრობელობის დროს, რკ. გზის მემანქანეები დასცინოდნენ მემუხრუჭეებს, რომ უკანასკნელებს დაჰყავდათ უბილეთო მგზავრები და ეწეოდენ ქურდობას. მემუხრუჭეები ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მაშინდელი ხელისუფლება თავს არ იწუხებდა არც მემუხრუჭეებისა და არც სხვა მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. სულ სხვაა დღეს. მუშურ-გლეხური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. მემუხრუჭეებმაც თავი დაანებეს უბილეთოთ მგზავრების ტარებას მატარებლით და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ თვითმპყრობელობის დროინდელ მემუხრუჭეების მაგალითს ახლა მემანქანეებმა მიბაძეს: მემანქანეების ერთი ნაწილი ისე დაწვრილმანდა, რომ ამ ბოლო ხანებში აშკარა ქურდობას მიჰყო ხელი, რაც პროფკავშირის წევრს არ უნდა ეპატიოს. ზოგიერთ მემანქანეს საკმაოდ დიდი თანხები აქვს გამოტანილი რკ. გზიდან ყალბი სვლა-გზების საშუალებით, რომელსაც თითონვე სწერენ. ამ საქმეზე ექვსამდე მემანქანე იქნა დატუსაღებული, მაგრამ ზოგიერთი მემანქანე მაინც განაგრძობს სხვადასხვა სახის ქურდობას.

17 მაისს, დილის 9 ს. 30 წ. სადგურ კავთისხევში გამოიცვალა მიმწოდი ორთქლმავლის ბრიგადა, ფომენკოსი და კუზმინის შემადგენლობით. უკანასკნელნი უნდა წასულიყვნენ პირველ მატარებლით თბილისში და მათი მისვლა მაშინვე უნდა აღენიშნათ სადგურის სამორიგეობაში მეტაბელესთან, მაგრამ ბრიგადი განზრახ ჩამორჩა მატარებელ № 10-ს, მათ თავი შეაფარეს სადგ. ქსანის მახლობელ სამიკიტნოში და თბილისში მოვიდნენ 4-5 საათის დაგვიანებით. ამ დაგვიანებულ დროში, თვითეულმა მათგანმა მიიღეს საათში 1 მ. 20-დან 1 მან. 50 კ-მდე. ეს თანხა კი გამრავლებული მთელ ბრიგადზე, გვარიანად დიდ თანხას შეადგენს.

ასეთ ბოროტმოქმედებას ეწევა ზოგიერთი მემანქანე. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

**მურლული.**

### არა სწორი რაციონალიზაცია

ტრამვაის გაჩერებული ადგილები უნდა შეიცვალოს და შემოკლდეს. პლეხანოვის გამზირზე, რკ. გზელთა საგზაო კომიტეტთან და მე-10 სამილიციო კომისარიატთან ჩერდებოდა ტრამვაი. ტრამვაის დირექციის უკანასკნელი განკარგულებით კი ეს გაჩერებები შემცირებულია, რაც ჩვენის აზრით არ არის მიზანშეწონილი. საგზაო კომიტეტთან ტრამვაის გაჩერება აუცილებელია იმიტომ, რომ საგზაო კომიტეტში როგორც რკ. გზის სხვადასხვა დაწესებულებიდან, ისე ქალაქის სხვა ორგანიზაციებიდანაც აუარებელი ხალხი დაიარება საჭიროებათა საქმეებზე. გარდა ამისა ამავე დაწესებულების შენობაში მოთავსებულია „ზაკტპო“-ს გამგეობაც, რომელსაც აგრეთვე საკმაოდ ბლომა ხალხი მისდის სხვადასხვა ცნობების მისაღებად.

მე-10 სამილიციო კომისარიატთან კი, კომისარიატის გარდა არის კბილის სამკურნალო კლინიკა, გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს რედაქციების მისავალი გზა, მუშფაკი და ტეხნიკუმებიც და ბოლო აქვე მახლობლად არის მუშათა სახლებიც, რომლის მცხოვრებნი აუცილებლად საჭიროებენ ტრამვაის გაჩერებას, როგორც დილით, სამუშაოზე წასვლის დროს, ისე შუადღესაც და საღამოთიაც. ამ ადგილებზე ტრამვაის გასაჩერებლების მოსპობა აუცილებლივ აფერხებს ჩვენს საერთო საქმიანობას.

ტრამვაის დირექციამ და ქალაქის აღმასკომმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ უამრავ დაწესებულებებს და ტრამვაის გაჩერება აღნიშნულ ადგილებზე აღადგინონ.

**ვინმე.**

### მებარგე მუშებში

23 მაისს, თბილისის სადგურის მებარგე მუშათა ადგილკომმა, მოიწვია მებარგეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ ლენრაიონის და კავშირის წარმომადგენლები, დღის წესრიგში იყო მებარგე მუშების კოლექტივში შექმნილი არანორმალური მდგომარეობის გამოკვლევა და მისი ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა.

მებარგე მუშები თავიანთ სიტყვებში მიუთითებდნენ კავშირის კოლექტივის ზოგიერთ ნაკლზე და მოითხოვდნენ მის გამოსწორებას. სადგურის უფროსი ლვამიჩავა აღნიშნავს, ბარგის გადატანის ნიხრის დარღვევის შემთხვევებს და მოითხოვს რათა სასტიკად იქნეს დაცული ხელშეკრულების ყველა მუხლები.

დასასრულ კრებამ კოლექტივის საქმიანობის გამოსაკვლევად და მომავალი მუშაობის მისაწესრიგებლად გამოჰყო ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ახლო მომავალში მოაგვაროს კოლექტივის ყველა მტკივნეული საკითხები.

**დამსწრე მუშ.**

### მუშკორთა წერილებიდან

**გარეცხეთ ეტლების სადგომები.** თბილისში ეტლების გასაჩერებელ ადგილებს საშინელი მყრალი სუნი უდის. განსაკუთრებით პლეხანოვისა და ჟორესის ქუჩის კუთხის ეტლების სადგომებს ისეთი სუნი უდის, რომ შეუძლებელი ხდება გავლა. საჭიროა ეს ადგილები დღეში სამჯერ მაინც ირეცხებოდეს.

**დ. ვეძელი.**

**პურს არ გვაძლევენ.** ავჭალის წყალსადენის კოოპერატიულ სავაჭროს გამგე, ამხ. ჯანჯღალაშვილი, წითელ არმიელებს რატომღაც არ აძლევს პურს. ამის შესახებ წ. არმიელებმა აღძრეს საჩივარი სათანადო ორგანოს წინაშე, რომელმაც ნება დართო კოოპერატივიდან პურის გაცემა წითელ არმიელებზეც, მაგრამ ჯანჯღალაშვილი მაინც ძველებურად ჯანჯღალობს და არ აძლევს პურს წითელ არმიელებს.

**წ.-არმიელი.**

**გახსენით კოოპერატივები.** აგარაკ კიკეთში, სადაც უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები მიდიან საგარაკოთ, არც ერთი კოოპერატიული სავაჭრო არ არის. ამიტომ კიკეთში სურსათ-სანოვაგის საშინელი კრიზისია ხოლმე ზაფხულობით. მოაგარაკენი იძულებული ხდებიან თბილისიდან უგზავნონ ცოლშვილს სანოვაგე. საჭიროა კიკეთში გაიხსნას კოოპერატიული სავაჭროები.

**ი. დ. მათიაშვილი.**

**ახალი ადგილკომი.** „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშებმა მოისმინეს მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ და აირჩიეს ახალი ადგილკომი 11 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

**ვოსტოკელი.**

**ფუწამლებით გვიშველეთ.** ახალ სანაპირო გზაზე დაგუბებული გუბეები, რომელსაც ერთვის კანალიზაციაც, ისე ყარს, რომ გავლა შეუძლებელია. ერთ ხანებში დაიწყეს აქ მუშაობა გუბეების გასაწმენდათ, მაგრამ მალე თავი მიანებეს. სანიტკომისიავ, დაიცავი სისუფთავე.

**ნ. ახლამაზაშვილი.**

### ჩვენ მუშკორებს

**ლილინებულს.** ხელმოუწერელ წერილს არ ვბეჭდავთ.

**ჭუბაშობლოს.** „აღმშენებელთა კავშირის (საყურადღებოდ)“ არ წავა. ამაზე ბევრი ვწერეთ.

**მჭედლიშვილს.** არ დაიბეჭდება.

**ტია-ტია-ს.** „სუნით ვიხრჩობით“ არ წავა.

**ალმეს.** „თვით წინ წაწევა“ არ დაიბეჭდება.

**ვანო შავიძეს.** შემოიარეთ რედაქციაში.

**ვ. ი. ფრუიძეს.** არ დაიბეჭდება.

**გამვლელს.** არ წავა.

# მუშა-გამომგონებელთა ფონდი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას აცნობა, რომ მუშა-გამომგონებელთა ფონდის შექმნის საქმეს ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ხშირია შემთხვევები, როცა ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციები ხელს არ უწყობენ ასეთი ფონდის შექმნას და ცხოვრებაში არ ატარებენ სათანადო ორგანოების დირექტივებს აღნიშნულ საკითხზე. ზოგი სამეურნეო ორგანოები კი ასეთ ფონდებს აარსებენ თვით ტრესტებთან და არა წარმოებებთან, რაც მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული ფონდების ცენტრალიზაცია ცენტრებში შეუძლებელს ხდის სწორად იქნეს აღრიცხული ეკონომიის ის ნაწილი, რომელიც მიღებული იქნება საწარმოო თათბირების საქმიან წინადადებათა ცხოვრებაში გატარებით. აღნიშნული ფონდების ცენტრალიზაცია იწვევს აგრეთვე საქმის გაჭიანურებას და ხელს უშლის მუშა-გამომგონებელთა საქმიან წინადადებების თავის დროზე დაჯილდოვებას. დაჯილდოვების საკითხი ხანდახან გადაუწყვეტელი რჩება 3—4 თვის განმავლობაში. ხანდახან კი გრძელდება წლობითაც, რაც დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

საქართ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მორიგმა სხდომამ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილა საქართ. პროფკავშირთა საბჭოს მიმართვა მუშა-გამომგონებელთა ფონდის შესახებ და დაადგინა: დაუშვებლად იქნეს ცნობილი ზოგიერთ სამეურნეო ორგანოების მხრივ (აბრეშუმის ტრესტი, სატყეო ტრესტი, ზეთსახდელი და საფეიქრო ტრესტი, თამბაქოს და ლითონ ტრესტები) გამოჩენილი დაუდევრობა და საქმის გაჭიანურება მუშა-გამომგონებელთა დაჯილდოვების ფონდის შექმნის საქმეში. საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხს და ცხოვრებაში გაატაროს სათანადო ორგანოების დირექტივები მუშა გამომგონებელთა საქმიან წინადადებების დაჯილდოვების შესახებ.

# ლენინგრადში

(შთაბეჭდილებანი)

ლენინგრადში მისული ამხანაგი უთუოდ ინახულებს სმოლნის. რა არის სმოლნი?

პირველყოვლისა ის უზარმაზარი სახლია. უზარმაზარი არა სიმაღლით (სულ სამი სართულია), არამედ სიგრძით და ოთახების სიმრავლით.

აქ არის ხუთასამდე ოთახი.

მერე როგორი ოთახები! 50-ზე მეტი დიდი დარბაზია, სადაც ათასს კაცამდე მოთავსდება.

ამ სახლში თავმოყრილია დღეს ლენინგრადის მთავრობის, კავშირის და პარტიის დაწესებულებანი. აქვე აუარება ოთახები მუშა-მოსამსახურეებით დასახლებული. ამ სახლშივე ერთი დიდი ეკლესია გადაკეთებულია საერთო საცხოვრებლად ეკსკურსანტებისათვის.

აქვეა მრავალი ოთახი სტუმრათ ჩამოსულ დელეგაციის წევრებისათვის. აი, ამ ოთახებში მოვთავსდით თბილისის საბჭოს დელეგაცია.

რა იყო სმოლნი წინათ?

სმოლნი აგებულია ცენტრიდან მოშორებით, მდინარე ნევის ნაპირას, ოხტის, ანუ პეტრე პირველის სახელობის დიდ ხიდთან.

აქ წინად ყოფილა „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი“. აქვე ყოფილან თავად-აზნაურობის და სხვა წარჩინებულ პირების გაუთხოვარი ქალები, პანსიონერები, დიდი ხარისხის მონოზნები და ამათგვარი პარაზიტები.

რამდენიმე ეკლესია თვით სახლშია გაკეთებული, რამდენიმეც ეზოში.. სახლს აკრავს ყოველმხრივ მშვენიერი ეზო. შემოვლებული აქვს რკინის მაღალი ღობე. არათუ სახლში, ეზოშიც კი „ჩიტი ვერ ჩაფრინდება“.

სმოლნის აქვს აგრეთვე დიდი რევოლიუციონური წარსული.

აქ პირველად გამაგრდნენ ოქტომბრის რევოლიუციის დროის მუშები. აქ პირველად ჩამოყალიბდა მუშების, გლეხების და წითელარმიელთა და მატროსების საბჭო.

ამ სახლში გამაგრდნენ პირველად რევოლიუციონური მუშები და აქედან შეუტიეს მთელ ქალაქს. აქ არის ილიჩის მაშინდელი ორი ოთახი, საცა ილიჩი რევოლიუციის დროის ცხოვრობდა, მუშაობდა და საიდანაც იძლეოდა განკარგულებებს.

ოთახები შენახულია სწორედ ისე, როგორიც იყო ის მაშინ, რევოლიუციის ხელმძღვანელისათვის მიჩნეული.

რამდენიმე უბრალო გადაუფარებელი მაგიდა, რამდენიმე სკამი. კარებ ჩამომტვრეული ტანისამოსის შკაფი. ორი უბრალო, ძველი კრაოტი.

ამ სახლის წინ დღეს აუგიათ რევოლიუციის ბელადისათვის დიდი ძეგლი.

აქ ძეგლიდან ლენინი გაიშვერს—რა ხელს ევროპისაკენ და მოუწოდებს მთელი ქვეყნის მშრომელთ, დაჩაგრულთ და უფლება წართმეულთ—შეერთებისაკენ.

აქ დილიდან დაწყებული შუაღამემდი სიცოცხლე სდუღს და გადმოდის. ერთ დიდ დარბაზში მოთავსებულია ქალაქის საბჭოს სამდივნო. ლენინგრადის საბჭოს გამოყოფილი ყავს 10 სექცია, თვითეულ სექციის მდივანი ამ დარბაზშია მოთავსებული.

ჩვენი მთავარი სამუშაოც აქ იყო. აქ გავეცანით საბჭოს და სექციების მუშაობას, რასაც მოუნდა ორი დღე.

მცხოვრებთა რიცხვი აქ დღეს ორ მილიონზე ცოტა ნაკლებია.

ეს რიცხვი სწრაფად იზრდება.

ქალაქი დაყოფილია ექვს რაიონად და 22 სამილიციო უბნად.

ამ დიდ ქალაქში 1915 წელს მოდიოდა 1000 სულზე ხუთი ქორწინება, 22 დაბადება, 22 სიკვდილი. 1926 წელს-კი ათას კაცზევე მოდის ქორწილი 13, დაბადება 28 და სიკვდილი 14.

ასი ახლად დაბადებულ ბავშვიდან 1915 წ. კვდებოდა 24,—ხოლო 1926 წ. 14.

სამაგიეროთ განქორწინების სტატისტიკა სულ სხვა სახეს ღებულობს: 1920 წელს განქორწინება ყოფილა 1.370, ხოლო 1926 წელს-კი 5.534.

პატარა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება აქ საქარხნო-საფაბრიკო მუშების რიცხვი:

1922 წელს მუშების რიცხვი იყო 83.477, 1925 წელს 199.447 და 1926 წელს 223.151.

ვინახულეთ აგრეთვე ისაკიევის კოშკი. ავედით ამ კოშკის წვერზე, საიდანაც მთელი ლენინგრადი ხელისგულივით სჩანს. აქედან ვხედავთ ლოგოდეევის ტბას, რომლიდანაც გამოდის მდინარე ნევა. მოდის, მოიკლაკნება. ქალაქში ნაწილდება რამდენიმე არხად და ასე ერთვის ბალტიის ზღვას. რას არ ხედავ აქედან... ძირს ჩამოსვლა აღარ გინდა...

**ს. დოლიძე.**

21 მაისი. ლენინგრადი.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### „ქართული მწერლობა“ № 4

„ქართული მწერლობის“ სარეცენზიო ნომერი განახლებული რედაქციით და შეცვლილი ფორმატით გამოვიდა. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობის შემდეგ ასეთი რამ საჭიროც იყო. საჭირო იყო „ქართული მწერლობის“ ორგანო უფრო ახლოს მისულიყო თანამედროვე ცხოვრების სინამდვილესთან. მაგრამ ეს სავსებით ასე არ მოხდა. გარეგნული ცვლილების გარდა ჟურნალში ყველაფერი ძველებურადაა. ჟურნალის მეთაური წერილი „ჩვენი მწერლობა და კულტურული რევოლიუციის საკითხები“ ობლად და კენტად გამოიყურება ჟურნალის ფურცლებიდან. ავტორის (მოსულის) მიერ საჭირო იყო ამ საკითხის უფრო ფართოდ გაშლა და მისი ქართული ლიტერატურის პრაქტიკასთან დაკავშირება. უმჯობესი იქნებოდა დაბეჭდილიყო ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება ამავე საგანზე, გაკეთებული მწერალთა კავშირის ყრილობაზე უფრო ვრცლად.

ამხ. ს. ხუნდაძის წერილი: „ნ. ნიკოლაძის სოციალურ პოლიტიკური იდეალები“ მრავალ სადაო დებულებებს შეიცავს. ამხ. ხუნდაძე აქაც იმეორებს იმ შეცდომებს, რაც მან თავის ნაშრომებში („სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“) დაუშვა და რაც სოციალისტების და რევოლიუციონერების იარლიკების გულუხვად დარიგებაში გამოიხატება. კარგია გულუხვობა, მაგრამ არა ისტორიის წერაში.

ავტორი განსვენებულ ნიკოლაძის შემთხვევით განწყობილებას და ძირითად მისწრაფებას ერთმანეთში ურევს. ამასთანავე ამხ. ს. ხუნდაძე ერთ დიდ შეცდომასაც უშვებს. არსებულის უარყოფა, არსებულისადმი კრიტიკული მოპყრობა და მისი ნაკლულოვანებათა აღნიშვნა ყოველთვის არ ნიშნავდა და არ ნიშნავს სოციალიზმის და სოციალისტობის ქადაგებას. ისტორიაში ხშირია შემთხვევები, რომ ბევრი უარყოფდა არსებულს, მაგრამ არა უკეთესის, არამედ უფრო უარესის სასარგებლოდ. ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი. თემობის მოქადაგეები რუსეთში ობიექტიურად რეაქციონურ საქმეს აკეთებდნენ. ბურჟუაზიული ურთიერთობა თემთან შედარებით პროგრესიული მოვლენა იყო. ისინი ამ პროგრესიულ მოვლენას ეწინააღმდეგებოდნენ და უკან თემისაკენ იყურებოდნენ. ლენინს, პლეხანოვს და სხვებს თემის მომხრეთა ეს რეაქციონური ბუნება მშვენივრად აქვთ დახასიათებული თავიანთ ნაწერებში. ავტორი კი მხოლოდ არსებულ წყობილების კრიტიკისათვის რევოლიუციონერად და სოციალისტად აღიარებს ნიკო ნიკოლაძეს.

მაგრამ ნიკოლაძის მიმართულებაში არც ეს ნაროდნიკობაა მთავარი. ყოველივე ის, რაზედაც ამხ. ხუნდაძე მოგვითხრობს, შედეგია შემთხვევითი განწყობილების. განწყობილება კი მიმართულება არ არის.

რომ ნიკოლაძეში ნაროდნიკობა იყო შემთხვევითი და წუთიერი განწყობილება, ამას თვით ნიკოლაძე ამბობს, როდესაც ის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დროს სწერს:

„რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს“.

კიდევ უფრო გარკვევით ქვემოდ სწერს*).

„...ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებში ჩვენ სხვადასხვა აზრისანი ვართ, მაგრამ ჩვენი საზოგადო მიზანი (ლაპარაკი აქვს კონკრეტულად გ. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და ს. მესხის შესახებ) ყველას ერთი და იგივე გვაქვს (ხაზგასმული ჩვენია) და უნდა გვქონდეს“.

თუ ავტორის ლოღიკას გავყვებით, უნდა ვაღიაროთ, რომ გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, სერგეი მესხი და სხვა სოციალისტები ყოფილან, რაიც ჩვენის აზრით სრულიად მიუღებელია.

მეტად დაუსაბუთებელია და ზერელე ვახტანგ კოტეტიშვილის წერილი „ნიკო ნიკოლაძეზე“, რადგან ავტორს არ გააჩნია გარკვეული საზომი მწერლის შეფასებისათვის.

ვალერიან გაფრინდაშვილის „გაზაფხული თებერვალში“ ძველი ჰანგების გამეორებაა. აქ არავითარ სიახლესა და მიღწევაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ქართველ ერისათვის გაზაფხული მართლაც თებერვალში გათენდა და ბევრს მოეგებოდა პოეტი, რომ ლექსი ამ მხრივ გაეშალა.

რაჟდენ გვეტაძის ლექსში „ფარული სტამბა არქიელის გორაზე“ რამოდენიმედ თემატიური სიახლეა.

ვარლამ რუხაძესაც უკეთესი თემა ვერ მოუნახავს თუ არა სოფლის ბუნების აწერა და ალუბლისა და ტყემლის გალმერთება.

ტიციან ტაბიძეც დარიალის ხეობის ბუნებით აღფრთოვანებული ვაჟა ფშაველას ფილტვებით სუნთქავს და ხიმიკურის გულს იდგამს.

გრიგოლ ცეცხლაძე ერთობ აღმერთებს ძველ ფირალობას, ამშვენიერებს მას და გმირობისა და რაინდობის შარავანდედით მოსავს.

ნოე ზომლეთელიც კი ამ ნომერში წარსულისაკენ იყურება.

„ქართული მწერლობის“ ამ ნომერში წარმოდგენილი ლექსები არც ერთი თემატიურად თანამედროვე სინამდვილესთან ახლო არ არის. ყველანი თავმომაბეზრებლად და მეტად მონოტონურად იმღერიან ძველ სიმღერებს.

ამავე ნომერში მოთავსებულია აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის რომანის გაგრძელება „ფალესტრა“, კ. გამსახურდიას „ენრიკ იბსენი“, ბ. ჟღენტის „არიფიონი“ და სხვა. ლიტერატურული ქრონიკის განყოფილება საკმაოდ მდიდარია.

**ბიბლიოგრაფი.**

---

*). ის. „კრებული“ 1873 წ.

### Н. КАРПОВ «Экономика современной Персии»

„ზაკკნიგა“-ს გამოცემა გვ. 204 ფასი 2 მ. 25 კაპ.

აღმოსავლეთის ქვეყნების შესწავლას ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით გაძლიერებულ კოლონიალურ -განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით იზრდება ინტერესი იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ერთა სოციალური ვითარების და ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად. კერძოთ ჩინეთი, ეს რამოდენიმე წელია საბჭოთა საზოგადოებრიობის მეტად სერიოზულ საგანს წარმოადგენს, ჩინეთის უკანასკნელმა ამბებმა გამოამჟღავნა, თუ რამდენათ ნაკლებად ვიცნობთ ჩვენ ახლობელ თუ შორეულ აღმოსავლურ ქვეყნებს და რამდენათ ძნელდება ამ ქვეყნების შესწავლა მათ შესახებ სათანადო ლიტერატურის უქონლობის გამო ჩვენთვის გასაგებ ენებზე.

სპარსეთი, აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი საინტერესო მხარეთაგანია. ის, როგორც ავტორი ლაპარაკობს, განსაკუთრებულად მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობის მქონეა. „სპარსეთი ისეთი ქვეყანაა, რომელიც ძევს უახლოეს მომავლის უდიდეს სავაჭრო და სტრატეგიულ გზების ჯვარედინზე“ „სპარსეთი გადიქცევა იმ ქვეყნად, სადაც გადიკვანძება ოდესმე მის ახლო-მახლო მყოფ ოთხი ქვეყნის გიგანტურ საქონლის ბრუნვის უდიდესი არტერიები“—ლაპარაკობს ამხ. პავლოვიჩი თავის საუკეთესო გამოკვლევაში „მომავლის უდიდესი სარკინიგზო და საზღვაო გზები.

სწორედ ამ მნიშვნელობით აიხსნებოდა მსოფლიოს ორი დიდი იმპერიალისტური ქვეყნის: ინგლისის და მეფის რუსეთის განუწყვეტელი ლტოლვა სპარსეთისაკენ, მათი დაუსრულებელი ინტრიგები, მტაცებლური ქიშპობა, რაიც დაგვირგვინდა 1907 წელს სპარსეთის დაყოფით რუსეთის და ინგლისის გავლენის სფეროებად.

ამ ქვეყნის გაცნობა სურს მკითხველისთვის ავტორის ხსენებული გამოკვლევით, რომელიც, ჩვენის აზრით, ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომთაგანია ამ დარგში. აღმოსავლეთის ქვეყნების გამოკვლევა საერთოდ დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ამიტომ მრავალი მკვლევარი ხშირად იძულებულია სათანადო ცნობების უქონლობის გამო გვერდი უაროს მთელ რიგ პრობლემებს.

მოსახლეობის რაოდენობის და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის სტატისტიკურ აღრიცხვას აღმოსავლეთის ქვეყნებში ხელს უშლის მოსახლეობის ცრუმორწმუნეობა. პოლიტიკური დეცენტრალიზმი და ცუდი მიმოსვლის საშუალებანი. ამის და მიუხედავად, კარპოვს სპარსეთის და უცხოეთის მრავალ საყურადღებო გამოკვლევათა გამოყენებით შეუდგენია მთლიანი სურათი სპარსეთის დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობაზე და სოციალურ წყობილებაზე.

ავტორი ჯერ გვაცნობს სპარსეთის გეოგრაფიულ მდგომარეობას, მის სახელმწიფოებრივ წყობილებას და ადმინისტრატიულ მმართველობას. მოკლეთ მოთხრობილია სპარსეთში ნაციონალური დინასტიის დაცემა და ე. წ. კაჯართა დინასტიის გამეფება, 1906 წლის რევოლიუციონური მოძრაობა, მეჯლისის დაარსება და კაჯარების დაცემა 1923 წელს.

მრეწველობა სპარსეთში უმნიშვნელო როლს თამაშობს და ამიტომ სახალხო მეურნეობის გაბატონებულ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. სპარსეთში მხოლოდ ნავთის მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა არსებობს. მრეწველობის განვითარებას მრავალი მიზეზი უშლიდა ხელს, რომელთაგან უმთავრესია: უცხო ქვეყნების საქონლის კონკურენცია დაბალი საბაჟო გადასახადების გამო, ინგლისის და ყოფ. მეფის რუსეთის მიერ წინააღმდეგობის გაწევა ადგილობრივ მრეწველობის განვითარებისადმი, მიმოსვლის სულ უმნიშვნელო საშუალებანი, ადგილობრივ კაპიტალის უქონლობა, კვალიფიციურ მუშათა კადრების უყოლობა საერთო ჩამორჩენილობის გამო და მრავალი სხვა.

სპარსეთში განსაზღვრულ როლს შინა მრეწველობა თამაშობდა, მაგრამ ისიც ჩქარა დაქვეითდა, რაც ევროპაში დაიწყეს აღმოსავლეთის საქონლის დამზადება. ევროპაში დამზადებულ საქონლის სიიაფემ გაანადგურა სპარსეთის შინა-მრეწველობა. სპარსეთში აღსანიშნავია მრეწველობის მხოლოდ ერთი დარგი, რომელიც დღითი დღე იზრდება. ეს ნავთის მრეწველობაა, ის განსაკუთრებით 1914 წლის შემდეგ დაწინაურდა და ეხლა დიდი პერსპექტივების მქონეა. სპარსეთის ნავთის წარმოებაში ხელმძღვანელი როლი ინგლისს ეკუთვნის. რომელიც დღემდე განუსაზღვრელი ბატონ-პატრონია სპარსეთის მდიდარი ნავთიანი წყაროებისა.

ავტორს მოჰყავს ცნობები სპარსეთში მიწათმოქმედების მდგომარეობის შესახებ. მთელი მიწის 80 პროცენტი სახელმწიფოს განკარგულებაშია, რომელთა გამოყენების, ექსპლოატაციის უფლება შაჰებს ეკუთვნით. სპარსეთის გლეხს იშვიათ შემთხვევაში აქვს საკუთარი მიწა. ის უმეტეს შემთხვევაში მემამულეთა მიწების მოიჯარადრეა: მემამულეს კი მოსავლის 60—70 პროცენტი მიაქვს. ამას ზედ ერთვის უამრავი სახელმწიფო გადასახადები, მემამულეთა ხარჯები და ფართოდ გავრცელებული მევახშეობა, რის გამო სპარსეთის გლეხი ნახევრად მონურ მდგომარეობაშია.

საყურადღებოა წიგნის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სპარსეთის ბიუჯეტზე. სპარსეთის ბიუჯეტი კარგა ხანია რაც დეფიციტიანია გადასახადების მოუწესრიგებლობის, დიდი საგარეო სესხების და საჭირო ბალანსის პასიურობის გამო. მთელი ბიუჯეტის 40 პროც. მეტი სამხედრო ხარჯების დაფარვას უნდება, ხოლო სახალხო განათლებაზე და სახალხო ჯანმრთელობაზე მთლიანად მოდის 3.7 პროცენტი.

წიგნის სხვა თავებთან აღსანიშნავია მიმოსვლის საშუალებანი და რკინის გზების მშენებლობის ამოცანები, სპარსეთის შინაურ და საგარეო ვაჭრობის მიმოხილვა და სპარსეთის დამოკიდებულება უცხო ქვეყნებთან. აქ ავტორს დაპირისპირებული აქვს სპარსეთის მიმართ იმპერიალიზმის და საბჭ. კავშ. პოლიტიკა, რომელიც ერთმანეთისაგან პრინციპიალურად განსხვავდება. დასასრულს მოთავსებულია სხვადასხვა დოკუმენტები სპარსეთის საგარეო პოლიტიკის და კერძოთ 1921 წელს დადებული ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის. წიგნი თითქმის ამომწურავ წარმოდგენას იძლევა სპარსეთზე და ამიტომ ის გასავალს იპოვის საბჭოთა მკითხველებში.

**ნ. ვ—ძე.**

### ტ. კოსტროვი—„მეშჩანობა და კულტურა“. თარგმ. პ. აბრამიასი. გამომცემლობა „ახალგაზრდა კომუნისტი“. ტირაჟი 3.000 36 გვ.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ კულტურული რევოლიუციის შესახებ. მაგრამ იშვიათად თუ შევძლებით მივუთითოთ იმ კონკრეტულ და ყოველდღიურ ღონისძიებებზე, რომელთა მიღება საჭიროა ამ მხრივ. კოსტროვმა მდიდარი ფაქტიური მასალების დაგროვებით და მათი სათანადო ანალიზით შესძლო დაეძლია ეს ნაკლი. ეს წიგნაკი ერთი საუკეთესოთაგანია ამ დარგის ლიტერატურიდან.

კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ბოლშევიკური ტიპის ადამიანისათვის ბრძოლაა. მაგრამ მეშჩანობა და მისი კულტურა აქტიურად ებრძვის სოციალისტურ საზოგადოებრივობის ჩანასახებს. აქაც ფრონტებია და კლასებია და აშკარა, უფრო კი ფარული ბრძოლა სწარმოებს. უკანასკნელი გარემოებით აიხსნება კულტურის და ყოფა-ცხოვრების ფრონტზე ბრძოლის სიძნელეებიც. მეშჩანობა—გამძლეა, „ლოიალური“, შემპარავი და „ტკბილი“. მეშჩანობა—აქტიურად ებრძვის კომუნიზმს. მეშჩანობას დიდი ტრადიციები აქვს და მის წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრესად საქმით შეგვიძლია. მეშჩანურ-ინდივიდუალისტურ ჩვეულებებს, წვრილ ბურჟუაზიულ ტრადიციებს, რომლებიც ძლიერია ჩვენში და რომლებიც ხშირად ცრუ ინტელიგენტების და კულტურის სამოსელით გვევლინება, ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ რაიმე ახალი ,პრაქტიკული და ძლიერი.

კოსტროვის სარეცენზიო წიგნაკი უფრო თავდასხმაა მეშჩანობაზე, მაგრამ ამასთანავე მაგალითებზე გვიჩვენებს, თუ რა არის მეშჩანობა, როგორი არ უნდა იყვეს არამეშჩანი და პირველ რიგში პროლეტარი და კომუნისტი.

ადამიანის ადამიანისადმი და საზოგადოებისადმი დამოკიდებულების ხასიათით გამოიცნობა მეშჩანობა—სწერს კოსტროვი. „მეშჩანობის გამოცნობა—ამბობს ავტორი—შესაძლოა არა გალსტუკის, კოსტიუმის ან გრამაფონის საშუალებით, არამედ დამოკიდებულებით ამხანაგისადმი („საკუთარი პერანგი უფრო ახლოა სხეულთან“), საზოგადოებრივ საქმისადმი („საქმე მგელი არ არის, ტყეში არ გაიქცევა“), ქალისადმი („ქათამი ფრინველი არ არის, ქალიც ადამიანი არ არის“), ნათესავებისადმი („როგორ არ უნდა შეუწყო ხელი შენიანს“) და, ბოლოს, საზოგადოებისადმი („ნაგავი ქოხიდან არ გაიტანო“, „რას იტყვის მარია ალექსის ასული?“. „ჩემი ქოხი განზე სდგას—მე არა ვიცი რა“)“.

ამიტომაა, რომ ზოგიერთი გარეგნულად ახალი ადამიანი ასეთი ვერ არის, თუ მას ადამიანისადმი ბიუროკრატიული, მეშჩანური და ეგოისტური დამოკიდებულება ახასიათებს.

მაგრამ არ შეიძლება კოსტროვს სავსებით დავეთანხმოთ იმაში, თითქოს მეშჩანობის გამოცნობა ადამიანის ნივთებისადმი დამოკიდებულებით არ შეიძლებოდეს. ნივთებისადმი არაპრაქტიკული, ცრუ-ესთეტიური, მესაკუთრულ-მტაცებლური დამოკიდებულება უეჭველად მეშჩანობის ერთერთი თვისებაა. ევროპის ბურჟუაზიული ყოფის პროვინციალურ-მეშჩანური სტილიზაცია ჩვენში განსაკუთრებით საშიშ ფორმებს ღებულობს.

მეორე მეტად სერიოზული საკითხი, რომელსაც იხილავს კოსტროვი, ძველი კულტურისადმი დამოკიდებულების საკითხს ეხება. ავტორი აქ კატეგორიულ და სამართლიან ფორმულას იძლევა: „ჩვენს წინაშე ამ შემთხვევაში ორგვარი საფრთხეა: პირველი, არ შევიგნოთ ჩვენი უკულტურობა, დავრჩეთ კულტურულად მოუმწიფებელი, უსუსურნი, და ამ მიზეზით ვერ გავიმარჯვოთ ბურჟუაზიულ კულტურასთან შეჯიბრების დროს, და მეორე—ფართედ გაუღოთ კარი ბურჟუაზიულ კულტურას, დავემორჩილოთ მას, ჩვენ თვითონ ვერ დავიმორჩილოთ ის და ამრიგად შეუმჩნევლად შეუსისხლხორცდეთ მას და უღალატოთ ჩვენ კლასობრივ ბუნებას. მე 11 პარტიულ ყრილობაზე ამხ. ლენინი ამბობდა: ის ხალხი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა,—თუ დამარცხებულზე კულტურული აღმოჩნდა, მაშინ პირველი აიძულებს მეორეს მიიღოს თავისი კულტურა, თუ კი წინააღმდეგ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაშინ დამარცხებული ცდილობს გამარჯვებულს შეაპაროს და თავზე მოახვიოს თავისი კულტურა..“.

რომელი საფრთხე უფრო რეალურია ჩვენთვის?

ჩვენ გვგონია, რომ დღეს, ოქტომბრის რევოლიუციის მეორე ათეული წლის დასაწყისში, როცა მილიონიან მშრომელ მასებს შეგნებული აქვთ კულტუროსნობისა და სწავლების უდიდესი მნიშვნელობა, მტრულად განწყობილ ძველ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ და მეშჩანურ ელემენტების პოლიტიკური და კულტურულ აქტიური ბრძოლის დროს— მთავარი ხდება მეორე საფრთხე, ე. ი. არა კრიტიკულად ძველ ბურჟუაზიულ კულტურისა და მასთან შეგუება. ამიტომ ძლიერი ცეცხლი უნდა დაუპირდაპიროთ პროლეტარიატის ბურჟუაზიულ კულტურით დატყვევების ცდას (ხაზი ჩვენია). ეს ამავე დროს ნიშნავს იმასაც, რომ სანძარი ავმართოთ მეშჩანობის საწინააღმდეგოდ“.

საქართველოშიც ძველი კულტურის წინაშე ქედის მოხრას ფართო ადგილი აქვს. პრესაში ხშირად ვხვდებით მტკიცებას, თითქოს კულტურული რევოლიუციის მთავარი და თითქმის ერთად ერთი ამოცანაც კი—მხოლოდ ძველი კულტურის მიღებაში მდგომარეობდეს. აქ მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი მაგალითი. „პოეზიის დღე“-ში ამხ. ს. ამაღლობელი სწერს:—„კულტურული რევოლიუცია ჩვენს პირობებში, ჯერ კიდევ (მხოლოდ! პ. ქ.) ბურჟუაზიული კულტურის შესწავლას და მის კრიტიკულ გადამუშავებას გულისხმობს“. მაგრამ სად დაეკარგა ავტორს პრინციპიალურად ახალი საკუთარი პროლეტარული კულტურის შექმნის აუცილებლობა. განა პროლეტარიატი მხოლოდ მოსწავლის როლით დაკმაყოფილდება და დაკმაყოფილდება? განა ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე ჩვენი ზეგავლენის მოხდენით შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ, როგორც ამტკიცებს ამხ. ამაღლობელი?

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში „მეორე“ სენიც ძლიერია. ამგვარად საგრძნობს, პროლეტარულ მწერლების ფენებში მაინც, ძველი კულტურის შესწავლის საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. საჭიროა პირველ რიგში მოწინააღმდეგე კლასების კულტურის იმ ნაწილის, შესწავლა, რომელიც ამ კლასების განვითარების პროგრესიულ საფეხურზე წარმოიშვა.

კოსტროვის აღნიშნული წიგნაკი საკმაოდ პოპულიარულია. ყოველმა მოწინავე ადამიანმა და პირველ რიგში კომკავშირელმა უნდა წაიკითხოს იგი. კომკავშირის საკმაო საშუალებები მოეპოვება წიგნის გავრცელებისათვის.

წიგნის თარგმანი დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი ფორმულების გადმოთარგმნის სიძნელეს.

**პლ. ქიქოძე.**

# ქრონიკა

### თათბირი სოფლად საექიმო პერსონალის მუშაობის საკითხებზე

დღეს, 30 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. პროფკავშირთა საბჭოს წითელ დარბაზში, სოფლისა და ქალაქის დამაკავშირებელი თბილისის საზოგადოება ხელმეორედ იწვევს საზოგადოების წევრ-საექიმო პერსონალის თათბირს საზოგადოების უჯრედების თავმჯდომარეებთან ერთად. ამხ. ფრანგულიანი გააკეთებს მოხსენებას ჯანსახკომის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ თათბირი განიხილავს სოფლად საექიმო პერსონალის მუშაობის ამოცანებს.

თათბირზე მოწვეული არიან საზოგადოების არა წევრი (საექიმო დარგის) მუშაკებიც.

### სატარიფო თათბირი

ამიერკავკასიის პროფსაბჭომ დაადგინა ივნისში მოიწვიოს სატარიფო თათბირი მოსამსახურეთა ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის ხელფასის მომატების შესახებ.

თათბირზე მოწვეულია რესპუბლიკანური პროფსაბჭოების, საქართველოს და აზერბეიჯანის საბჭოთა სავაჭრო და მედსანშრომის კავშირების ცენტრ. გამგეობათა და ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარიატის სატარიფო განყოფილების წარმომადგენელნი.

### კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი

პარასკევს, 1-ლ ივნისს, დილის 9 საათზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგება კავშირების კულტგანყოფილებათა გამგეების და კლუბების გამგეობათა თავმჯდომარეების თათბირი.

### კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება

27 მაისს მოხდა ლითონტრესტის პროფტექნიკური კურსების მსმენელთა გამოშვება. აღნიშნულ კურსებზე სწავლობდა 36 მუშა, რომლებიც მუშაობენ ლითონტრესტის ქარხნებში. კურსები გაიხსნა ლითონტრესტის ინიციატივით ამ 6 თვის წინად და მსმენელებათ მიღებულ იქნენ მხოლოდ წარმოებაში ჩაბმული ის მუშები, რომელთაც ესაჭიროებოდათ კვალიფიკაციის ამაღლება. კურსებზე მეცადინეობა სწარმოებდა რუსულ და ქართულ ენებზე.

მსმენელთა გამოცდები ჩატარდა 25 და 26 მაისს. კურსდამთავრებული მუშები მომავალში გადაყვანილი იქნებიან უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოებზე.

### აბრეშუმის ქარხნების ამუშავება

ახალშენებათა სამმართველომ ხონში და ოზურგეთში მიავლინა ინჟ. ვანაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია, თუ როდის შეიძლება ხონის და ოზურგეთის აბრეშუმის სახვევი ქარხნების ამუშავება.

ინჟ. ვანაძემ გამოარკვია, რომ ადგილობრივ აღმასკომებთან შეთანხმებით ორივე აღნიშნული ქარხნის საზეიმო გახსნა მოხდება 24 ივნისს.

### შაქრის ჭარხლის მეურნეობა

შაქრის ჭარხლის საცდელ მეურნეობის საწარმოებლად წელს გადადებულია 16.000 მანეთი. წელს ჭარხალი საცდელად გაშენებული იქნება გორის მაზრის შემდეგ ადგილებში, გომში, მოხისში, წნისში, ნადარბაზევში, და ქ. გორის მიდამოებში.

შაქრის ჭარხლის საცდელმა მეურნეობამ გასულ წლებში დადებითი შედეგები გამოიღო. წელს ცდები უფრო ფართო მასშტაბით იწარმოებს. თუ წლევანდელმა ცდებმა სასურველი შედეგები გამოიღო, გორის მაზრაში დაიწყება შაქრის ქარხნის აგება.

### საამშენებლო მასალა

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე საამშენებლო სეზონში საქართველოს მშენებელ ორგანიზაციებისათვის საჭიროა შემდეგი საამშენებლო მასალა: 52.569 კასრი ცემენტი, 10.308.000 ცალი აგური, 337 ტონა ხარისხოვანი რკინა, 257 ტონა სახურავი რკინა, 770 ფუთი მინა, 648 ვაგონი ხე-ტყის მასალა, 4939 ფუთი ოლიფა და 1.703 ფუთი გუდრონი.

ხე-ტყის მასალისა და აგურის გარდა, ყველა ჩამოთვლილი მასალა შემოტანილი იქნება რუსეთიდან.

### ფეიქართა კლუბი ოზურგეთში

ფეიქართა კავშირის შუამდგომლობის თანახმად, საქართველოს პროფსაბჭომ აუცილებლად სცნო ძაფსახვევ ფაბრიკების მუშაობის გაფართოვების გამო აგებული იქნეს ოზურგეთში კლუბი. საქ. პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ს. მ. უ. ს. წინაშე, რათა გადადებული იქნეს თანხები კლუბის ასაგებად მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან. თავის მხრივ პროფსაბჭოც გადასდებს განსაზღვრულ თანხას კლუბის ასაგებად.

### ექსკურსიები

ს. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის საექსკურსიო ბიურომ ამიერ-კავკასიის შორეულ ადგილებში ექსკურსიების მოსაწყობად დაუთმო 300 ადგილი; აქედან საქართველოს—110, აზერბეიჯანს—140 და სომხეთს—50 ადგილი. ყველა ამ ადგილებს კავშირის მუშა-წევრებს შორის გაანაწილებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პროფსაბჭოები.

### ნატახტარის წყალსადენის გაყვანის დაწყება

ნატახტარის ახალი წყალსადენის გამომკვლევ სამუშაოთა სამმართველოს ცნობით, საჭირო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა წყალსადენის გასაყვანად დასრულებული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

ზამთრიდან დაიწყება წყალსადენის გაყვანა.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ქალაქის გაფართოება.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა შეადგინოს ქალაქის ახალი რუკა ქალაქის ფარგლების გაფართოების მიზნით. ქალაქის ფარგლების გაფართოება განზრახულია განსაკუთრებით მეტეხის მიმართულებით.

◆ **გლეხის ტიპიური ოჯახი.** აღმასკომს განზრახვა აქვს მაზრის რამდენიმე თემში მოაწყოს გლეხის სანიმუშო ოჯახი—მეურნეობა.

◆ **მოძრავი კინო.** პოლიტგანათლების განყოფილებამ შეიძინა ახალი მოძრავი კინო მაზრისათვის.

◆ **სანიტპირობების გასაუმჯობესებლად** სანიტარული სექცია ამ დღეებში შეუდგება სახლების და ეზოების დათვალიერებას.

◆ **სკოლების შეკეთება.** განათლების განყოფილებამ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა სკოლების შესაკეთებლად. სკოლების შეკეთება დაიწყება სწავლის შეწყვეტისთანავე.

### მიწსახკომში

◆ **ჯიშიან ცხვრის მოსაშენებელ სადგურის** „ოდაბნო"-სათვის მიწსახკომმა გერმანიაში შეიძინა სანაშენო ცხვრები.

◆ **მეაბრეშუმეობა.** მიწსახკომმა მეაბრეშუმეობის რაიონებში მეაბრეშუმე გლეხებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მიავლინა ინსტრუქტორები.

### სახალხო ჯანმრთელობა

◆ **საქ. კურორტებზე** არსებულ სანატორიუმებში წელს გაიგზავნება 1326 ავადმყოფი.

◆ **დასასვენებელი სახლი.** მედსანშრომის მუშაკთა კავშირმა თავის წევრებისათვის ახალ დაბაში (სუმბათოვო) მოაწყო დასასვენებელი სახლი, რომელიც გაიხსნება 1 ივნისს.

◆ **წყალსადენი აბასთუმანში.** ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აბასთუმანში წყალსადენის გასაყვანად. წყალსადენის სავსებით მოწყობა დამთავრდება 1930 წელს.

◆ **ყველა დასასვენებელ სახლებში** მუშა-მოსამსახურეების გაგზავნა დაიწყება 1 ივნისიდან.

### კრებები და მოხსენებები

◆ **დღეს,** საღამოს 8 საათზე, სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიუმში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 12) შესდგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის საზოგადო კრება.

### სხვადასხვა

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** თელავიდან—გვანცელაძეს, ომსკიდან—ასიამოლოვიმს, აბასთუმანიდან—ზაალიშვილს, აბაშიდან—გოგავას და ხეთიდან—ბუკიას.

## ხელოვნების ქრონიკა

### სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა გაერთიანება

**ცხინვალი,** 28 მაისი. შესდგა სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა პირველი კრება. კრებაზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი ამხ. ეული, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა გაერთიანება პროლეტმწერალთა საკავშირო ასოციაციის პლატფორმაზე. კრებამ დაადგინა: შეიქმნეს სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერლების ასოციაცია და აირჩია საორგანიზაციო ბიურო საოლქო კონფერენციის მოსაწვევად. ასოციაციის ორგანო იქნება ჟურნალი „ფიდიოს"-ი.

◆ **მცირე თეატრის მიერ** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მომგებიანი ადგილი".

◆ **„ჭიქა წყალი".** მცირე თეატრის დასის მეორე შემადგენლობით რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ჭიქა წყალი".

◆ **პროლეტარულ დრამატიული სახელოსნო** თავის არსებობის სამი წლის აღსანიშნავად ახლო ხანში მუშათა კლუბებში გამართავს ლიტერატურულ-იუმორისტულ საღამოებს.

◆ **სამხატვრო აკადემიის კლუბში** 3 ივნისს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი საუკეთესო ძალთა მონაწილეობით.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრის ბიუროს** სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 ს. გაზ. „ახალ. კომუნ." რედაქციის ბინაზე. სხდომას უნდა დაესწრონ: დ. რონდელი, ვ. ლუარსამიძე, დ. ვოლსკი, ა. სულავა, ი. ხოშტარია, ს. წეერავა და გ. ქაჯაიძე.

### შემთხვევები

**თვითმკვლელობა**

გუშინ, დღისით თვითმკვლელობის მიზნით, იოდის ხსნარით თავი მოიწამლა ალექსანდრა გლაშოვამ. გლაშოვას ქალი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

**ქურდობა**

გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა ქურდობის 4 შემთხვევას. დაპატიმრებულია ორი ქურდი.

# ავტო-მიმოსვლა

### ავტო-მიმოსვლის განახლება საქ. სამხედრო გზაზე

თბილისში დაბრუნდა „ზაკავტოპრომტორგ"-ის კომისია, რომელმაც დაათვალიერა საქართველოს სამხედრო გზატკეცილი. ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე—თუ რა მდგომარეობაშია საქ. სამხედრო გზა. კომისიის წევრებმა განაცხადეს:

თოვლი კავკავამდე სრულიად გამდნარია. გზის მახლობელ ფერდობებზეც აღარ დარჩენილა თოვლი და ამგვარად ზვავების ჩამოწოლის საშიშროება აღარ არსებობს. სწარმოებს მუშაობა რკინის ხიდის ასაგებათ დარიალის ხეობაში. მუშაობა დამთავრდება ივნისის პირველ რიცხვებში.

რამდენიმე დღეა, რაც კერძო მანქანები უკვე მუშაობენ გზაზე.

საქართველოს სამხედრო გზაზე ავტო-მიმოსვლის სეზონი გახსნა „ავტოპრომტორგ"-მაც პირველი ავტობუსი თბილისიდან გაიგზავნა შაბათს, 26 მაისს.

28 მაისიდან დაიწყო რეგულიარული ავტო-მიმოსვლა თბილისსა და კავკავს შუა.

პირველ ხანებში გზაზე იმუშავებს 10-მდე ავტობუსი, შემდეგ კი მოთხოვნილებისამებრ, მათი რაოდენობა გადიდებული იქნება. მიმოსვლის ტარიფი წელს ძველივეა, როგორც შარშან.

### ავტო-მოძრაობის მოწესრიგება აფხაზეთში

ამ დღეებში საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველომ აფხაზეთში მიავლინა ავტო-ინსპექტორი ე. ცაგარელი. ავტო-მანქანების ტექნიკურათ შესამოწმებლად და ავტო-მოძრაობის მოსაწესრიგებლად. ამხ. ცაგარელი უკვე დაბრუნდა თბილისში. მან ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

სოხუმში შესდგა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ავტო-მოძრაობის მოსაწესრიგებლად აფხაზეთში.

დამთავრდა ყველა მანქანების ტექნიკური შემოწმება. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საჭის სისტემას, მუხრუჭების და მოწყობილობის მდგომარეობას.

თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ნორმალური ავტო-მოძრაობისათვის თვალყურის დევნება.

# სასამართლო

### წალკელი ანტისემიტი

— ჩვენ, ებრაელები, ბევრი არა ვართ სოფელ ბაშკოვში (წალკის რაიონი). სამიოდე მოსახლე ვიქნებით. მუდამ კარგს დამოკიდებულებაში ვიყავით მეზობლებთან. გვქონდა ერთმანეთთან მიმოსვლა. გაჭირვებისა, თუ დაღონების დროს ერთმანეთს ვუწევდით ხელს. მაგრამ მღვდელმა იაკობ კატანოვმა გადაგვკიდა მეზობლები. პირდაპირ ველარ ვცნობილობთ ჩვენს მეზობლებს.

— როდის გამოჩნდა თქვენს სოფელში მღვდელი კატანოვი?

— დაახლოვებით 1927 წ. ივნისის ბოლო რიცხვებში.

— რა ხერხს მიმართავდა მღვდელი კატანოვი გლეხების ასამხედრებლად თქვენს წინააღმდეგ?

— აი, მოგახსენებთ, ეკლესიაში რას ლაპარაკობდა არ ვიცი. ეკლესიის გარეთ კი ხშირად მინახავს ასეთი სურათი. კატანოვი თავს შეუყრის მის მიმდევარ გლეხებს და უქადაგებს: „ახლოს არ გაეკაროთ ებრაელებს! ისინი უწმინდური ხალხია. შეგვირყვნეს სარწმუნოება. მაგათი ბრალია, რომ ეხლა მორწმუნეებსაც აღარ სწამთ ღმერთი. ებრაელებმა ჯვარს აცვეს „ძე ღვთისა" იესო ქრისტე. ისინი არიან ჩვენი მოსისხლე მტრები. უნდა გავრეკოთ ჩვენი სოფლიდან. არ შეუშვათ სახლში. არ დაუჯდეთ მათ ახლოს სუფრასთან, არაფერი სჭამოთ, ჩაიც არ დალიოთ მათთან ერთად"...

— მერე რა ნაყოფი გამოიღო ასეთმა ქადაგებამ?

—ამასაც მოგახსენებთ. გლეხების შეუგნებელი ნაწილი აჰყვა პროვოკაციას. ჩვენ საერთო წყარო გვქონდა, საიდანაც სასმელ წყალს ვიღებდით. კატანოვმა რომ მრევლი შეიბირა, მას შემდეგ აგვიკრძალეს წყალით სარგებლობა. ჩვენ წყურვილით ხომ არ ამოვიხოცებოდით. ზოგჯერ ფარულად მოგვქონდა წყალი. ეს რომ გაიგეს ზოგიერთმა გლეხებმა წყარო დაანგრიეს და დააყრუეს. საკუთრად გაიჩინეს მიმოჩრებით სხვა წყარო.

მეორე მაგალითი. ჩემი მეზობელი ძალიან კარგს განწყობილებაში იყო ჩემთან, სანამ მღვდელი კატანოვი გადმობრძანდებოდა. ერთ დღეს ვხვდები ჩემს მეზობელს და სალამს ვაძლევ. მეზობელი პასუხს არ მაძლევს. იღებს ქვას ხელში და განზე აგდებს. გამიკვირდა. „ხომ არაფერზე გეწყინა?"—ვკითხე მე. მეზობელი მომიბრუნდა, შემომიფურთხა და წავიდა.

შემდეგ გავიგეთ, რომ ქვის ხელში აღება მღვდელმა კატანოვმა ასწავლა ჩემს მეზობელს. ებრაელის სალამის მიღება ცოდვაა. ქვას რომ აიღებ, ჩაითვლება, რომ ებრაელის სალამი ქვას ეკუთვნისო...

გამომძიებელმა ჩაიწერა ებრაელის ნაამბობი.

დანარჩენმა მოწმეებმაც დაადასტურეს ყოველივე ზემოდ ნათქვამი. აღშფოთებულმა შეგნებულმა გლეხობამ მოითხოვა „წმინდა" იაკობის დასჯა.

საქმე გადაეცა წალკის სახალხო სასამართლოს.

„ქრისტეს მოციქული" იაკობ კატანოვი ერთი წლით გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

### ფეხმძიმეობასთან „მებრძოლი" მანდილოსანი

თამარ ნიკოლოზის ასული ქვათაძე გახლავთ „სპეცი", რომელიც არავითარ რთულ ოპერაციის წინაშე არ შედრკება მამა-პაპური ხელსაწყოებითაც კი.

არსად სათანადო ცოდნა არ მიუღია ქვათაძის ქალს, არავის უნახავს მისი დიპლომი, მაგრამ მიუხედავად ამისა თავისი „ნიჭისა" და „გამბედაობის" მეოხებით „სპეცის" სახელი გაითქვა აბორტის გაკეთების მსურველ ქალებს შორის.

რვა თვის ფეხმძიმე ქალს ისე ოსტატურად მოაჩვენებდა მუცლის მოშლის სირთულეს, რომ ქალი თავის სიცოცხლეს დაუგირავებდა ქვათაძეს, თუ ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა.

— რისი გეშინია ქალო! მე, ალბათ, ვიცი და იმიტომ გეუბნები. ჩემისთანა ხელსაწყოები მთელს რუსეთში არავის აქვს. ორ დღეში გაგანთავისუფლებ, მხოლოდ ფული წინდაწინ უნდა გადაიხადო წამლების შესაძენად(!).

ფულს წინდაწინ იმიტომ ითხოვდა ექიმბაში, რომ კლიენტსი გადარჩენის იმედი ნაკლებად ჰქონდა. წინდაწინ უნდოდა გაენაღდებია თავისი გასამრჯელო.

რამდენიმე წლის განმავლობაში „იბრძოდა" ქვათაძე არალეგალურად (ცხოვრობდა აკ ჰალის შესახვევში № 13) ფეხმძიმეობის წინააღმდეგ. ბევრი გაგზავნა საიქიოს, ბევრი დაასახიჩრა და დააზიანა სამუდამოდ, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ჩუმად, ფარულად და ხელისუფლების ყურამდე არ მიდიოდა.

უკანასკნელად ქვათაძემ აბოვიანის ქალისგან მუცლის მოსაშლელი ჯილდო მიიღო წინდაწინ, საშიში იყო მოშლა, მაგრამ ქვათაძის „გამბედაობა" აქაც გამოჩნდა.

მუცელიც მალე მოუშალა და სისხლიც მოუწამლა. აბოვიანის ქალი გარდაიცვალა. ეს იყო „სპეც"-ექიმბაშის უკანასკნელი პრაქტიკა.

დააპატიმრეს ქვათაძის ქალი. გაჩხრიკეს მისი ბინა. ქვათაძეს თურმე სასაკლაო ჰქონდა სამზარეულოში. ახალ შობილ ბავშვებს ქვათაძე ასაფლავებდა თავისავე სამზარეულოში, აუარებელ ბავშვების ჩონჩხები აღმოჩნდა მიწაში ჩამარხული.

ქვათაძე გაასამართლა მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლომ და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 2 თვით. **ბერ.**

# საჰაერო მიმოსვლა

საზოგადოება „უკრვოზდუხპუტის" რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში—ქეზერიამ ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ „უკრვოზდუხპუტს" გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს საჰაერო მიმოსვლის ახალი ხაზები მოსკოვსა და ამიერკავკასიას შორის შემდეგი მიმართულებებით: მოსკოვი-ხარკოვი-დონის-როსტოვი-ტუაპსე-სოჭი-გაგრა-სოხუმი-ფოთი და თბილისი. თბილისიდან ჰაეროპლანები გაფრინდება ლენინაკანისა და ერევნისაკენ. შემდეგი ხაზი იქნება ერევანი-ჯულფა-თავრიზი.

ყველაზე უფრო მოკლე გზათ თბილის-მოსკოვის დასაკავშირებლათ ითვლება კავკასიონის ქედი, მაგრამ ქედზე გადაფრენა დაკავშირებულია მრავალ საშიშროებასთან. მთელ კავკასიონის ქედის მანძილზე შეუძლებელი გახდა ისეთი პუნქტის გამონახვა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საჭიროების დროს დაშვება აეროპლანის.

ახალი ხაზით მიმოფრენას თბილის-მოსკოვს შორის აწარმოებს ახალი კონსტრუქციის სამგზავრო აპარატებით.

# საგლეხო სესხი

### კიოსკები

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟის ადგილებზე ქუთაისსა და განჯაში სახ. ბანკის ა.-კ. განყოფილება აწყობს სპეციალურ კიოსკებს, სადაც ტირაჟის დროს იწარმოებს ყველა სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გაყიდვა. ამავე კიოსკებში იწარმოებს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი მოგებათა გაცემა.

### მოგებათა გაცემა

სახელმწიფო ბანკის ა.-კ. განყოფილებამ სას.-სამ. ბანკთან შეთანხმებით დაავალა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს აწარმოონ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟის მოგებათა გაცემა. ამ ღონისძიების მიზანია გლეხობისათვის მოგების მიღების გაადვილება.

### მოთხოვნილება იზრდება

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟის მოახლოვების გამო საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება აღნიშნული სესხის ობლიგაციებზე.

# წარმოებების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე

ზაჰესის ენერგიაზე წარმოება-დაწესებულებათა გადაყვანის ხელმძღვანელ კომისიის თათბირზე, რომელიც 28 მაისს შესდგა, მოხსენებით გამოვიდა ტრამვაის წარმომადგენელი ინჟ. ხაჩატუროვი. რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად ტრამვაი ზაჰესის დენით მუშაობს 16 საათის განმავლობაში. ტრამვაი დღე-ღამის განმავლობაში ხარჯავს დაახლოვებით 20.000 კილოვატ-საათ ენერგიას. 10 ივნისიდან ზაჰესის დენის მიმღები ტრამვაის ქვესადგური სავსებით იქნება ამუშავებული და ამის შემდეგ ტრამვაი ზაჰესის ენერგიით მთელი დღე-ღამის განმავლობაში ისარგებლებს.

ამას გარდა მომავალი წლიდან ამუშავებული იქნება ტრამვაის მეორე ქვესადგური, რომელსაც აგებენ ავლაბარში.

ქალაქის წყალსადენის წარმომადგენელი ინჟ. ლ. დიასამიძე თათბირს აცნობს, რომ ზაჰესის ენერგიაზე წყალსადენის გადაყვანის დაგვიანება გამოიწვია საზღვარგარეთ შეკვეთილი ელექტრო-საქაჩების თავის დროზე მიუღებლობამ. 1927 წლის 7 მარტს შეკვეთილი მანქანები დღესაც არაა მიღებული..

ინჟ. დიასამიძის განცხადებით, ამჟამად მიღებულია ცნობა, რომ მანქანების ნაწილი გამოგზავნილია, ხოლო მანქანების უკანასკნელი პარტია თბილისში მიღებული იქნება აგვისტოში. ამგვარად, თუ მთელი მოწყობილობა აგვისტომდე იქნა მიღებული, სექტემბრისათვის სავსებით მოესწრება წყალსადენის ელექტროფიკაცია.

დასასრულ თათბირზე განხილულ იქნა ორთაჭალის და დიდუბის გერმანელთა კოლონიების წყალსაქაჩავების ელექტროფიკაციისა და ოპერის თეატრისა და ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნების ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანის საკითხი.

თათბირმა დაადგინა მიღებულ იქნეს სასწრაფო და გადამჭრელი ზომები ყველა დაწესებულებებთან და წარმოებათა გადაყვანის დასაჩქარებლათ ზაჰესის ენერგიაზე.

# მეცხენეობის განსავითარებლად

მეცხენეობის განვითარებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 1922 წელს, როცა პირველად მოეწყო ცხენების გასაშენებელი ქარხანა, რომელიც ზრდიდა ცხენებს სახელმწიფო ცხენთა საჯინიბოს შესავსებად. მეურნეობის თანდათანობითმა აღორძინებამ შემდეგში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საშუალება მისცა მეტი ყურადღება მიექცია გლეხის მეურნეობაში ცხენის ჯიშის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით დაარსდა მეორე ცხენთა გასაშენებელი ქარხანა და პირველად რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში მოეწყო ფაშატების ხელოვნური განაყოფიერებელი პუნქტები.

ამავე დროს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ენერგიულად შეუდგა მეცხენეობის კოოპერატიულ ამხანაგობათა მოწყობას. შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და ამჟამად საქართველოში არსებობს ასეთ კოოპერატივების ფართო ქსელი, რომელიც მუშაობს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით. კომისარიატი მათ აწვდის სათესლე მასალას, აწარმოებს მათთვის საჯინიბოების მოწყობას და სხვა.

ახალგაზრდა ცხენების ყოველმხრივ გამოსაცდელად და გასაწვრთნელად კომისარიატმა მოაწყო საწვრთნელი საჯინიბო და სახელმწიფო იპოდრომი. ქარხნებში კვიცები (წლონახევრის ასაკისა) გადაყავთ საწვრთნელ საჯინიბოში და ცნობილ მწვრთნელების ხელმძღვანელობით გადიან გამოცდის სრულ კურსს—თბილისისა და საბჭოთა იპოდრომებზე. ამგვარად,—დოღს სპორტიულ მნიშვნელობის გარდა, მიეცა პრაქტიკული დანიშნულება.

1927 წლამდე მეცხენეობის განყოფილებას თავისი ცხენები გამოყავდა მხოლოდ თბილისისა და ბაქოს იპოდრომებზე. მხოლოდ 1927 წლიდან პირველად ჩვენი ცხენები გაიგზავნა ამიერ-კავკასიის გარედ. შარშან მოსკოვის იპოდრომზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს საჯინიბოდან გაგზავნილმა 9 ცხენმა. გამოცდის პირველ დღეებში ჩვენმა ცხენებმა გამოაშკარავეს საუკეთესო თვისებები და სეზონის დასასრულს საქართველოს ცხენთა საჯინიბომ დაიჭირა პირველი ადგილი მიღებულ ჯილდოების მიხედვით. განსაკუთრებით თავი ისახელეს „ეთერმა", „დარდიანმა" და „დარდიმანდმა", რომელთაც მიიღეს ოთხ-ოთხი პირველი ჯილდო.

მიმდინარე სეზონისათვის მოსკოვში გაგზავნილი იქნება საქართველოს ქარხნებიდან 17 ცხენი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის იპოდრომზე გამართულ დოღებში.

# ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი

20 მაისს ქ. დნეპროპეტროვსკში დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი. 20 მაისს საღამოს და 21 მაისს დილით გათამაშებულ იქნა 7.100 ასმანეთიანი მოგება, რომლებიც ხვდა შემდეგ სერიების ყველა (თითოეულ სერიაში 50 ობლიგაციაა) ობლიგაციებს:

### 20 მაისის საღამოს სხდომა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 007871 | 027742 | 067348 | 106582 | 125423 | 016151 | 057661 | 093378 | 122040 | 156438 |
| 017976 | 037004 | 083767 | 116797 | 147289 | 024380 | 057941 | 104624 | 123567 | 157776 |

### 21 მაისის დილის სხდომა

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 002182 | 029612 | 044186 | 070999 | 086002 | 109943 | 133323 | 153477 |
| 002640 | 030024 | 044756 | 073919 | 088776 | 111869 | 134550 | 154730 |
| 005492 | 030487 | 047489 | 074276 | 089631 | 113534 | 135243 | 155282 |
| 007938 | 030920 | 048170 | 075107 | 091147 | 114415 | 136632 | 155601 |
| 013402 | 031512 | 048650 | 076197 | 091451 | 115551 | 138347 | 155900 |
| 015074 | 031748 | 051289 | 076510 | 094070 | 116443 | 142211 | 156950 |
| 015971 | 033401 | 051849 | 076593 | 094686 | 117196 | 142898 | 157757 |
| 818096 | 033823 | 058279 | 077046 | 094745 | 118003 | 143630 | 157763 |
| 018097 | 034754 | 058373 | 077327 | 094991 | 119856 | 144938 | 157915 |
| 018703 | 035158 | 058763 | 077350 | 095537 | 121037 | 146305 | 158548 |
| 020502 | 035363 | 058937 | 080095 | 095669 | 122157 | 147576 | |
| 020550 | 035846 | 061911 | 080826 | 097090 | 124610 | 147886 | |
| 021690 | 038602 | 062534 | 083364 | 097227 | 128752 | 148104 | |
| 022325 | 038739 | 063511 | 084752 | 103659 | 131270 | 149915 | |
| 022889 | 041918 | 064906 | 084983 | 106846 | 132320 | 150980 | |
| 026046 | 043573 | 070117 | 085440 | 109649 | 132537 | 151688 | |

### 21 მაისის საღამოს სხდომა

(ასმანეთიანი მოგებანი)

მოგებანი ხვდა შემდეგ სერიების ყველა ობლიგაციებს:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 001747 | 033402 | 084416 | 121095 | 020748 | 062791 | 106001 | 142154 |
| 002083 | 035416 | 084569 | 121392 | 020956 | 063035 | 106072 | 144511 |
| 002142 | 040754 | 084607 | 121430 | 021582 | 064228 | 106148 | 145229 |
| 007886 | 043877 | 086640 | 122391 | 022226 | 065270 | 108331 | 150189 |
| 011338 | 044141 | 087015 | 124424 | 023407 | 068121 | 108520 | 150292 |
| 011865 | 044896 | 088705 | 128800 | 024773 | 068863 | 109143 | 150714 |
| 012612 | 051058 | 092402 | 130674 | 024940 | 070869 | 109198 | 152570 |
| 012711 | 051180 | 093684 | 131289 | 027841 | 071135 | 110761 | 153413 |
| 012817 | 053954 | 095365 | 132086 | 028996 | 073511 | 112469 | 153467 |
| 013270 | 054110 | 097481 | 132441 | 030545 | 078781 | 112905 | 154071 |
| 015354 | 054545 | 097576 | 136019 | 030672 | 080864 | 113747 | 154604 |
| 015959 | 058799 | 098106 | 137709 | 030845 | 080965 | 116136 | 155380 |
| 017166 | 059617 | 099151 | 138532 | 031880 | 080994 | 117161 | 156262 |
| 018109 | 061984 | 099788 | 141539 | 033023 | 081088 | 118486 | 156906 |
| 019620 | 062684 | 101289 | 141748 | 033150 | 083156 | 120006 | 159136 |

### 22 მაისის დილის სხდომა

(ასმანეთიანი მოგებანი)

მოგებანი ხვდა შემდეგ სერიების ყველა ობლიგაციებს:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 003059 | 041381 | 090329 | 135593 | 023429 | 072412 | 116470 | 156243 |
| 008948 | 043138 | 098824 | 135609 | 023715 | 080295 | 119698 | 157877 |
| 009846 | 044970 | 102554 | 147375 | 026433 | 086010 | 122303 | |
| 015902 | 049223 | 102773 | 148242 | 031646 | 086037 | 126465 | |
| 018132 | 055524 | 107072 | 151077 | 035346 | 088786 | 134488 | |
| 018353 | 055934 | 110300 | 152811 | | | | |

# რადიო-გადაცემა

### ოთხშაბათი, 30 მაისი

დღეს, 30 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

ბრძოლა ნაწლავების პარაზიტებთან—მოხსენება ქართულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—მოხსენება ქართულ ენაზე.

კომკავშირი და კულტურული რევოლიუცია—მოხსენება რუსულ ენაზე.

კულტურული რევოლიუცია და პრესა—მოხსენება რუსულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე.

გლეხთა ექსკურსიები საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში—რუსულ ენაზე.

მუშა-ქალ დედის განთავისუფლებისათვის—სომხურ ენაზე.

პასუხი რადიო-მოყვარულთა წერილებზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

# შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

**კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ელენე ზავალოვა, ალექსანდრე აბულოვი და ზამბი დანილოვი.

**გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** კოტე არჩვაძე, ალექსი მელიქოვი, მარიამ გალეგინა, ალექსანდრე სალუქვაძე, ილია კისლოვიჩი, ანდრონიკ ტევოიანი, მარგარიტა კურიანი, ეგონ სარქისოვი, დავით მერაბიშვილი, ა. აკოპიანი, დავით ხითარიშვილი, სტეფანე გრიგორიანი, ივანე ზაკამალოვი, ავეტიკ სამოიანი, ბაზილ გოგეშვილი, იაკობ ზარუცკინი, ნინო ტერალოვა, ანაიდა ყარაგოზოვა-ფერზოთიანსა და ალექსანდრე ოგანოვი.

**მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ალექსანდრე ისელიძე, ეფრემ ხარივი, არსენ პარასტეევი, სტეფანე მარუაშვილი, ვლადიმერ გავაშელიშვილი, ტაგიევი-იამან-ოღლი, შალვა ნამორაძე, სარდიონ სოლომაშვილი, აიკ აირაპეტოვი, ნავრუზ ალი-ოღლი, ნიკოლოზ ნემსაძე, ლუკა ჩეროლიოვი, მამედ-აჯარზადე და კონსტანტინე კაკოევი.

### საამშენებლო მუშა-ხელის მომზადება

ამ დღეებში მოხდა შრომის ბირჟის მიერ მოწყობილ საამშენებლო დარგში მუშების მოსამზადებელ კურსების გამოშვება. კურსები გაიარა 211-მა კაცმა; მათ მომზადებაზე დაიხარჯა 11.746 მ.

დამზღვევ სალაროს საამშენებლო დარგის მუშათა მომზადებისათვის გადადებული აქვს 60.000 მანეთი. აღნიშნული თანხა გადაეცემა შრომის ბირჟის კომიტეტს

# ნარევი

### „ლუკუტატე"

გერმანიის ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში ამ რამდენიმე ხნის წინათ მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ლუკუტატე".

„უკანასკნელი წლების განმავლობაში",—ნათქვამი იყო წერილში, გაახალგაზრდავების საკითხი ჩვენს ყურადღებას იპყრობდა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ადამიანი ძლიერ ჩქარა ბერდება, იგი საშუალოდ 77 წელიწადს ცხოვრობს. ეს იმ დროს, როცა არსებობენ ცხოველები, რომლებიც 150-200 წელიწადს სძლებენ".

„როდესაც მე რამდენიმე წლის წინად ინდოეთში, ბირმაში და სიამში ვმოგზაურობდი,—განაგრძობს წერილის ავტორი,—ჯაიპურის მაგარაჯამ (მთავარმა) პირველად მიაქცია ჩემი ყურადღება „ლუკუტატეზე". ინდოეთში სპილოების სიცოცხლის ხანგრძლივობას ხსნიან იმით, რომ სპილოები სჭამენ „ლუკუტატეს", რომელსაც სიცოცხლის გაგრძელების შესანიშნავი თვისება აქვს. „ლუკუტატე" წმენდს და აახალგაზრდავებს ჯირკვლებს, სპობს ორგანიზმში დაგროვილ მავნე ნივთიერებას და ამაგრებს გულს, იზრდება ეს მცენარე ტროპიკულ მაღლობ ადგილებში, რომლებსაც სპილოები წელიწადში სამ-ოთხჯერ ესტუმრებიან ხოლმე, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ამ მიზნით დიდი მანძილის გავლა უხდება.

გამოირკვა, რომ გარდა სპილოებისა, „ლუკუტატეს" სჭამენ თუთიყუშები და მიმინოები. ეს ფრინველებიც ძლიერ ხანგრძლივად ცხოვრობენ.

ერთ-ერთ მოშინაურებულ სპილოს 92 წ. ჰასაკში მოხუცებულობის და სისუსტის გარკვეული ნიშნები აღმოაჩნდა. მას მისცეს „ლუკუტატე". სპილო მოღონიერდა და შთამომავლობაც კი გაუჩნდა.

მკვლევარები ამტკიცებენ, რომ „ლუკუტატეს" მიღების შემდეგ ცხოველებს ემჩნევა მოღონიერება. ხალისი. ინდოეთში, ერთ მოხეტიალე ცირკში, ასი წლის სპილო კვდებოდა. სწორედ ამ დროს ცირკის პატრონმა გაიგონა „ლუკუტატეს" შესახებ, იშოვა მისი ნაყოფი, აჭამა სპილოს, რომელიც ისე მოღონიერდა რომ სამი კვირის შემდეგ ისევ შეეძლო მონაწილეობის მიღება წარმოდგენებში.

ამჟამად სცდიან, თუ რა გავლენას მოახდენს „ლუკუტატე" ადამიანზე. პირველი შედეგები დამაკმაყოფილებელია. თუ მოლოდინი სავსებით გამართლდა, ეს გადატრიალებას მოახდენს მკურნალობის თანამედროვე მეთოდებში და კაცობრიობა მიიღებს გაახალგაზრდავების ბუნებრივ საშუალებას.

# ფეხბურთი

### მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

ხუთშაბათს, 31 მაისს, საღამოს 5 ნახ. საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეორე კატეგორიის პირველ ჯგუფის გუნდების საფინალო შეჯიბრი. თამაშობენ მედსანშრომის მუშაკთა პირველი გუნდი და სტალინის სახელობის გუნდი; მსაჯი იქნება კრაიჩენკო.

3 ივნისს დინამოს სტადიონზე შესდგება საფინალო შეჯიბრი მესამე კატეგორიის გუნდებს შორის. თამაშობენ: „მექანიკური ქარხანა"—„რკინისგზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა"; მსაჯი გალპერინი. შეჯიბრი დაიწყება დილის 11 საათზე.

### გემო-კავების ფეხბურთელთა გუნდის გამგზავრება

საქ. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ და საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიურომ ნება დართო გემო-კავების მუშაკთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდს ჩაატაროს ამხანაგური მატჩები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. გუნდი თბილისიდან გაემგზავრება ა. წ. 4 ივნისს. გუნდში შედიან: ნ.სალონინი, მატიენკო, ვორონოვი, იმნაძე, გონელი, დოლგოლევი, დემიდოვი, ასლამაზოვი, ზარიკალო, მაღალაშვილი და აივაზოვი. სათადარიგო მოთამაშეებათ: როგაჩევი, დიაჩკოვი და თედეევი. მსაჯათ გუნდს მიჰყვება მდივანი.

# იურიდიული რჩევა-დახმარება

### კავშირის წევრს № 3108

**კითხვა**

კერძო პირისა და კერძო პირთაგან შემდგარ საზოგადოების მოქმედების გამო, მე ვიყავი შარშან დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული ს. ს. კ. 18, 195 და 19, 194 მუხ. მიხედვით. ეს საქმე გაარჩია სამაზრო სასამართლოს სესიამ და სრულიად უდანაშაულოდ მცნო. მაქვს თუ არა უფლება (თუ მაქვს, რა და რა მუხლის ძალით), რომ აღვძრა ფულადი ძიება ზემოხსენებულ კერძო პირის და კერძო პირთაგან შემდგარ საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც უსამართლოდ შეურაცხყოფილმა, ფიზიკურად დაზარალებულმა ციხეში ყოფნის დროს და ნივთიერადაც დაზარალებულმა.

**პასუხი**

ზარალის გადახდევინებაზე უფლება არა გაქვთ.

### რამა ჩიტაძე-[illegible]

**კითხვა**

1919 წელში მომიკვდა [illegible] ვიდა უკმაყოფილება და მაზლმა ძალით გამაძევა ოჯახიდან. გეკითხებით, მეკუთვნით თუ არა წილი?

**პასუხი**

თქვენ, როგორც კომლის წევრს, გეკუთვნით მიწა და საერთო ქონებიდან წილიც. მიწის მოთხოვნა შეგიძლიათ, თუ სხვა კომლში არ ირიცხებით და თვითეულს თქვენგანს, თუ კი სხვა წევრები არ არის კომლში, ხვდებათ არა ნაკლებ მიწის ნახევარი ნორმისა. რაც შეეხება ქონებას (სახლს და სხვას), ამ ქონებიდან წილის მიღების უფლება გაქვთ, მიუხედავად იმისა ხართ თუ არა ამჟამად კომლის წევრი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის წესების დამტკიცების შესახებ**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგადასახადო გარეგანი ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ" 1926 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 67 №-ით) მე-12 მუხ. განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები—საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის შესახებ.

### წესები

**საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის შესახებ.**

1. სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების განაკვეთების გამონაგარიშების მუშაობის დამთავრების შემდეგ, პირდაპირი გადასახადების ინსპექტორები მოვალენი არიან, ერთი თვის განმავლობაში, წარუდგინონ ხოლმე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ცნობები გადამხდელთა რიცხვისა და გაწერილი გადასახადების თანხის შესახებ მათ უბნებში:

**შენიშვნა.** დამატებითი დაბეგვრის ასეთივე ცნობები ინსპექტორებმა უნდა წარადგინონ ორი კვირის განმავლობაში დაბეგვრის დამთავრების შემდეგ.

2. ყველა ცვლილება, რაც-კი უმაღლესი ორგანოების დადგენილებით შეტანილ იქნება გადასახადის განაკვეთებში, ინსპექტორებმა უნდა აცნობონ აღმასრულებელ კომიტეტებს ნახევარ-ნახევარ წლობით არა უგვიანეს ნახევარ წლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3. გადასახადის შეტანისათვის დაწესებულ ვადების გასვლის შემდეგ ინსპექტორებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ცნობები შეტანილი, დარჩენილი და ნარჩენებში გადარიცხული თანხების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე აღნიშნონ, თუ რა ღონისძიება იქნა მათ მიერ მიღებული ნარჩენის გადასახდევინებლად.

4. შემდეგი პერიოდების ნარჩენის მოძრაობის შესახებ ინსპექტორები წარუდგენენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ამ წესების მე-3 მუხლში გათვალისწინებულ ცნობებს კვარტალობით არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

5. საგადასახადო წლის დამთავრების შემდეგ ინსპექტორები წარუდგენენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მიმოხილვას თავიანთ უბნების მოქმედების შესახებ, თანაც აღნიშნავენ, რა ეკონომიურ მდგომარეობაში არიან ეს უბნები:

6. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება არა აქვს უშუალოდ ჩაერიოს საგადასახადო გარეგან ზედამხედველობის მუშაობაში. ყველა იმ ნაკლულოვანებას, რაც შენიშნული იქნება პირდაპირი და არაპირდაპ. გადასახადების ინსპექტორის მუშაობაში, აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სათანადო ღონისძიების მისაღებად.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი**

**პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. იანვრის 19.

თბილისი—სასახლე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 30 მაისს, დღის 1-ლ საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ფილ. მახარაძე, (საქ. ცაკი), დ. კანდელაკი (საქ. განსახკომი), არტ. კვირკველია, კახიანი, (ამ. კავკ. ცაკი), სიმ. ხუნდაძე და მალ. ტოროშელიძე (სახ. უნივერსიტეტი).

მოწვეულ ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

—:—

**სახ. უნივერსიტეტის აკ. ლ. კ. კ. ბიურო** კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 30 მაისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე შესდგება სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის აკ. ლ. კ. კ. მე-3-მე და მე-4 ხე უჯრედის ბიუროს სხდომა.

ბიუროს წევრ-კანდიდატების გარდა, სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ ყველა ის კომკავშირელები, რომელთაც არ შეუვსიათ ანკეტები (თვისობრივად შემსწავლელი).

—:—

**ლენ. მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება** იტყობინება, რომ დღეს, 20 მაისს, ნაშუადღევის ორ საათზე რაიკომის შენობაში შესდგება **ქალორგანიზატორების** და **ქალთა კომისიების თათბირი**, პიონერთა კოლექტივების ხელმძღვანელებთან ერთად.

ქალთა კომისიის ყველა წევრების და ქალორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

**დღეს, 30 მაისს, საღამოს 8 საათზე** საქ. პროფკავშირთა საბჭოს წითელ დარბაზში ხელმეორედ მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის წევრ მედპერსონალის თათბირი ქალაქისა და სოფლის კავშირის უჯრედთა ბიუროების თავმჯდომარეებთან ერთად.

დღის წესრიგშია: საქ. ჯანსახკომის მოხსენება—მედპერსონალის ამოცანები სოფლად. (მომხ. ამხ. ფრანგულიანი).

**დღეს, 30 მაისს, საღამოს 5 საათზე შესდგება საქ. აკ. ლ. კ. კ. ცეკას საკონ. კომისიის მორიგი სხდომა.**

სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ნ. მჭედლიშვილი, კაზარტმინა, კუზანოვა, კიკნაძე, სომოელიანი, შ. ვარსამაშვილი, ნ. დრემოვა, პეტროსიანი, დ. მიქაბერიძე და ვ. მაისურაძე.

—:—

**დღეს, 30 მაისს, საღამოს 6 საათზე** თბილისის მუშათა თეატრის (ზუბალაშვილის ყოფ. სახლში) **გაიხსნება საქალაქო ხადელეგატო კონფერენცია.**

კონფერენციაზე არჩეულ დელეგატ ქალთა დასწრება აუცილებელია.

—:—

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** დღეს, 30 მაისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

მარიამ ჯოშუავას, ნიკოლოზ გეიჯანოვს, კარაპეტ ელრიანცს, სტანისლავ ვენგრიჯანოვსკის, სპირიდონ ჩიქოვანს, ისაკი ჩოჩელის, ალექსანდრე ჯებაშვილს, ანდრონიკე ოგანეზოვს, პეტრე შაბაზოვს, შალვა ცხედიანს, შალვა ნათიშვილს, არუთინ ბაბაიანს, ნიკოლოზ ბურჯანაძეს, ზაალი ფარესაშვილს, ალექსანდრე სხირტლაძეს, გიორგი პეტროსიანს, პეტრე გრიგორიადის, ანტონინა რადოვიჩს, პეტრე პოზნიკოვს, ილია ხუნცარიას, კონსტანტინე ლეონტიევს, გიორგი მოხოვს, მიხეილ კლიაკინს, გიორგი ოგანოვს, ადამ ლიშინსკის, ბორის ჩხეიძეს, ალექსანდრე მასხარაშვილს, ლიდა სიხარულიძეს, ლევან სხირტლაძეს, კალისტრატე გელესიანს, დავით კლდიაშვილს, ვასილ გელაშვილს, იაკობ ობოლიანსკის, ალექსანდრე ნეფარიძეს, დავით კვიცინაძეს, სერგო მესარკიშვილი. დიმიტრი დვილოვს, მიხეილ გარსიაშვილს, ნიკოლოზ ალბეკოვს და შალვა ლებანიძეს.

---

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია და სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, 30 მაისს, საღ. 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) შესდგება ახლად გარდაცვალებულ მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის

**სილოვან ხუნდაძის**

ხსოვნის აღსანიშნავი სამგლოვიარო სხდომა. ნ. 1170

---

გულდამწვარნი: მიხეილ ნიკოს-ძე და დარია მიხეილის ასული სამარგულიანები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ სიძის

**სევერიან თომას-ძე ქარსელაძის**

უდროვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 30 მაისს, დილის 12 საათზე, ზინოვიევის ქ. № 15, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2517

---

მუდამ მწუხარე დედა ნატალია, გულმოკლული დები: კატო, ქსენია და ანიჩკა, ძმები: ილიკო, ვალიკო, კირილე და აკაკი კაკაბაძენი თავიანთ ოჯახობით აუწყებენ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ მათთვის უსაყვარლეს და სამუდამოთ დაუვიწყარ

**მარო კაკაბაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად ხუთშაბათს, მაისის 31-ს, საღამოს 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2520

სახკინმრეწვის კინოები

| | |
|---|---|
| აპოლო | კომედია იმერეთის ცხოვრებიდან **სამანიშვილის დედინაცვალი** დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით რეჟისორი—კ. მარჯანიშვილი, ოპერატორი—ვ. ენგელსი |
| სოლეი | |
| არფასტო | უცხოეთის მხატვრული სურათი **პრერიების კანონი** |
| მინიონი | მეი მურეი სურათში **სენატორის კარიერა** |
| პალასი (საზაფხულო) | მეორე კვირა წარმატებით მიდის **სამი მუშკეტერი** დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით |
| ოდეონი | უკანასკნელად თბილისში **ორი ქმრის ცოლი** |
| დარბაზი | სეზონის საუკეთესო სურათი **ზღვის კანონი** |
| პროლეტარი ავლაბარი | პირლ უაიტ სურათში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** 3 და 4 სერია |

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი „მშვიდობით ახალგაზრდობავ" და „კენიგსმარკ"

პიერ ბენუას ცნობილი რომანი

**კენიგს-მარკ**

მალე საზაფხულო კინო-დარბაზის ეკრანზე

თვალყური ადევნეთ დადგმას

ნ. 1166

**იყიდება სახლი**

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0—2 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

კბილის ექიმი

**დ. ს. რიჟინაშვილი**

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

25—2

**ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა**

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 31 მაისს, დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3, აღმასკომის ადმინვანის დავალიანების ასანაზღაურებლათ დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

გაიყიდება ორი ცხენი, ფურგუნი და საშინაო ნივთები

ნ. 1167

**თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე**

ამით აცხადებს, რომ ის 2 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 95, საბჭოს (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით**, გაყიდის მოქ. გიორგი გილაშვილის მოძრავ ქონებას: 125 ვედრა კახურ და იმერულ ღვინოს, და 2 კასრს შეფასებულს 250 მანეთად, მოქ. შუშანიკა აჯიმამუტოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 24 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, №№ 8328, 8327, 8329 გაცემულ სასამართლოს ბრძანებებისა.

2521

**ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი თ. გოგია**

ამით აცხადებს, რომ ის 2 ივნის 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 18 სოლომონოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პეტროს მინასიანცის მოძრავ ქონებას: სასადილო მაგიდას, ხელის მანქანას „ზინგერს", სამოვარს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 251 მანეთად. სოლომონ ჯანდაგიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-3-მე სახელ. სანოტარო კანტორის 24 თებერვლის 1928 წ. თარიღით № 474 გაცემულ აღმასრულებელ წარწერისა თამასუქზე.

2519

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

**სამკურნალო**

საწოლებით

**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20

25—4

ექიმი

**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება **ფსიქოთერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)-ყორღსის ქ. კუთხე.

**ა. ვ. მიქაბერიძე**

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

**„სილამაზის ინსტიტუტი"**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან.

25—1

ექიმი

**ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8.

25—1

**თვალის საავადმყოფო**

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:

**ა. ნ. შატილოვი**

საოპერაციო დღეებში

**ა. გ. მალაევი**

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90.

25—1

ექიმი

**გ. მ. ფხალაძე**

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. **სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**

**იღებს:** დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

ექიმი

**ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 აათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

13—6

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

**ჩაითვალოს გაუქმებულად:** თამბაქოს ნაწარმოების გადასატანი მოწმობა № 1264 | 265, გაცემული ლაგოდეხის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების მიერ თამბაქოს ტრესტის სახელზე. ნ. 1169

**დაიკარგა:** მეტრიკული ამონაწერი № 110 ნიკოლოზ ბამიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2522

**თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა,** ამა წლის 20 ივნისს შესდგება

**უკანასკნელი და საგოლოდ**

საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება.

13—1

**დაიკარგა:** შვიდ-წლედის დამთავრების მოწმობა № 1296 მოცემული მე-15—შრ. სკოლის მიერ 1926-27 სამოსწავლო წელში, ალექსანდრე ზარდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2515

**დაიკარგა:** ლომბარდის ქვითარი № 026695, ჩ. გ. 2518

**დაიკარგა:** მატრიკული მოცემული თბილ. სახელმწ. უნივერსიტ. სამკურნალო ფაკულტეტის მიერ 1926 წ. № 1118 დიომიდე ძვაძვალას ძ/ სამუშიას სახელზე, ჩ. გ. 25

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64